ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 25.

მეფე დავით აღმაშენებელი

და

მისი დრო

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ტ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა тип.груз.изд. т – ва. л – мел. № 13
1894

მეფე დავით აღმაშენებელი

და

მისი დრო

ისტორიული მონოგრაფია

I

საქართველოს ისტორიულ პანთეონში თუმცა თამარ მეფის გვირგვინი უფრო მეტად ბრწყინავს და ელვარებს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სამეფო კვერთხს მაინც უპირატესობა აქვს. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოკლედ მაინც შევადაროთ თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის პირადი ღვაწლი და ღირსება. თამარ მეფეს გარდასცეს ძლიერი და კარგად განწყობილი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ჰპატრონობდა და თავს დასტრიალებდა მთელი დასი სახელოვან მოღვაწეთა. ზოგი ამ მოღვაწეთაგანი აღიზარდა იმ დროს, როცა დიდებული თამარ მეფე არცკი დაბადებულიყო. ხოლო თვითოეულს იმის სახელოვან მოღვაწეს საასპარეზო კვალი და გზა განკაფული ჰქონდა დავით აღმაშენებლის მირონცხებულ მარჯვენით. თვითოეულმა კერძოდ და ყველამ საერთოდ მხოლოდ ის შეასრულა, რაც ანდერძად და სახელმძღვანელოდ დასტოვა გონებით შორს-მჭვრეტელმა მეფემ. არც თამარ მეფეს და არც იმის თანამოღვაწეებს არ გამოუჩენიათ ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც უმთავრესი მიზეზია სახელმწიფო ცხოვრების აღორძინებისა. თამარ მეფე არც ყოფილა შემკული უზენაესის მეფობრივის ნიჭით, რომელიც ასე უხვად მიმადლებული

ჰქონდა ივერიის აღმაშენებელ მეფეს. ამიტომ თამარ მეფის

პირადი მოღვაწეობა, ცოტა არ იყოს, მკრთალია და ამ მოღ-ვაწეობას აცისკროვნებს და სხივსა ჰფენს მხოლოდ თანა-მოღ-ვაწეთა შეერთებული მხნეობა. აქა-იქ და ისიც იშვიათად თუ მოსჩანს თვით თამარ მეფის გვირგვინოსანი მარჯვენა...

სულ სხვა უნდა ითქვას დავით აღმაშენებელზედ. მეფე ჯერ ისევ ჭაბუკი იყო, როცა ჩაჰბარდა აოხრებული და მტრის-გან დაქცეული საქართველო. დაშლილს და დარღვეულს სამეფოს განახლება და აღშენება ესაჭიროებოდა. ჭაბუკმა მეფემაც პირ-ველადვე სამეფოს ბურჯი და საძირკველი განაახლა და შემ-დეგ ზედ ამოიყვანა მკვიდრი სამეფო შენობა. ხუროთ-მოძღვ-რება თვით მეფემ იტვირთა, შენობის დადგმა და მოწყობაც უმეტესად იმის საქმე იყო. თითქმის ორმოც წლამდე მედგრად და დაუღალავად იღვწოდა ეს ხუროთ-მოძღვარი ძლიერის სამეფოს დასაარსებლად და ამ დროს განმავლობაში იმის კურთხეულს და მადლიანს მარჯვენას არ დაუსვენია. და შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში მოსჩანს მეფის ხელ-მძღვანელობა, თაოსნობა. თვითოეულს საქვეყნო საქმეს იმის დიდ-ბუნებოვანობის ბეჭედი ამჩნევია, იმის ძლიერის სულის გავლენა ატყვია. სამეფოს წარჩინებულნი მოხელენი და მოღვა-წენი მხოლოდ იმის წადილს ასრულებდნენ, იმის გზას მის-ლევდნენ, თითქო თვით-მოქმედებას მოკლებულნი არიან და მარტო ხელმძღვანელს შესცქერიანო...

აი ეს არის მიზეზი, რომ დავით აშენებელი პირადად მაღლა სდგას თამარ მეფეზედ. მაგრამ განვლეს საუკუნეებმა და დროთა ბრუნვამ შესცვალა ისტორიის პირუთვნელი განა-ჩენი. ეხლაც თამარ მეფის სიბრწყინვალეს არა დაჰკლებია-რა, ჩვენს დროშიაც იმის გვირგვინის შარავანდედი ჰხიბლავს და ანდამატივით იზიდავს ერის გულსა. რომელი უკეთური იტ-ყვის, რომ ეს საჭირო არ იყოს, მაგრამ ერსა და კერძოდ მდა-ბიო საზოგადოებას უფრო თვალთა ხილვა უჭრის... ამიტომაც სამშობლოს უფრო თამარ მეფე ახსოვს და დავით აღმაშენებე-ლი -კი დავიწყებული ჰყავს. უეჭველია, საეროვნო თვით-ცნობიე-

რების აღორძინება და წარსულ ცხოვრების ცოდნა ნათელს

მოჰფენს დავთი აღმაშენებლის დიადს სახეს და ჯეროვან განჩინებას დასდებს იმის დიდებულ მოღვაწეობასა. ამ ჟამად-კი ორიოდე ამბავი თუ იცის ხალხმა თავის უდიდეს მეფეზე და ისიც დასავლეთ საქართველოში, სადაც დავით აღმაშენებლის ხელთა ქმნილი, შესანიშნავი გელათის ტაძარი – ეს უკვდავის გვირგვინოსანის სააქაო სავანე – უნებლიედ მეტყველებს იმის ძლიერებასა. გელათის კედელში, სამხრეთით დატანებული დიდი ქვა და ტაძრის სალაროში დაცული ბეჭედი-ღა მოუთხრობს ხალხს მეფის ახოვნებას და იმის ვაჟკაცობასა [1]), თითქო ბედი მწარედ დასცინის ქართველობას და უდიდესის მეფის მოსაგონებლად მარტო უსულო საგანზე მიუთითებსო!...

სამწუხაროდ, ქართულ მატიანეშიაც არ მოიპოება საკმაო და ვრცელი ცნობები დავით აღმაშენებელზე, მეტადრე იმგვარი ამბები, რომელნიც შეეხებიან იმის კერძო და შინაურ ცხოვრებას! ამ მხრივ გაჭირვებას ვერ ასცდება ვერავინ, რომელიც-კი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმისამებრ, „ისტორიკოსებრ ჰყოფს ძიებასა“. აქაც თითქო ბედს დაუცინია და განზრახ დაუმალავს მეფის სიყმაწვილე და სიჭაბუკე. თუმცა დიაღ ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე ჩვენის მატიანისა ამბობს, რომ დავით აღმაშენებლის ცხოვრება უკეთესად არის შედგენილი, ვიდრე სხვა წინად ყოფილ მეფეებისაო [2]), მაგრამ ეს გარემოება, თუნდაც ნამდვილი იყოს, არ შეეხება მეფის კერძო ცხოვრებას. ჩვენი მატიანე მოგვითხრობს თითქმის მარტო მეფის საქვეყნო მოღვაწეობას. მატიანეში სრულიად მოხსენებული არ არის, – როგორ აღიზარდა მეფე, რა გარემოებას ჰქონდა გავლენა იმის ხასიათსა და მიმართულებაზე, პატარაობისას რა მდგომა-

---

[1]) Грузія и Фрменія, III, გვ. 171, სადაც მოყვანილია ქვის ზომა. იხ. ეგრეთვე «ჯეჯილი» 1890 წ. №№ 5-6. აქ ავტორი, სხვა გარდმოცემათა გარდა, იხსენებს იმასაც, რომ მეფე დავით აღმაშენებელი გელათის ტაძრიდან გადმოვარდა, ირმის რძეში აბანავეს და მორჩა. ირმები მეფეს მიართვა აბშანდაძემ. მეფემ აბშინდაძეს უბოძა სამეფო ტყეების მცველობა და სისხლის სიგელი. ბროსსეს Introduction et

[2]) ბროსეს Introduction. LXII.

რეობაში იმყოფებოდა, რანაირი იყო მისი საოჯახო ყოფა-

ცხოვრება და სხვ. ეს ნაკლი მით უფრო სამწუხაროა, რომ მემატიანე მეფის თანამედროე და დაახლოვებული კაცი ყოფილა [3]). თუმცა ამ მემატიანეს არც სწავლა-განათლება აკლია, თითქო კლასიკური მწერლებიც უსწავლია და ისტორიის მცოდნეც არის [4]), მაგრამ დავით აღმაშენებლის მეფობა რიგით და წესით მაინც ვერ აღუწერია. ცხადად ეტყობა, რომ მემატიანე იმ დროინდელი რიტორი უნდა იყოს, ამიტომაც „ქებათა-ქების“ კილოთი სწერს, თუმცა დიდ ცოდვად-კი მიაჩნია ტყუილის თქმა [5]) ამბობენ, დავით აღმაშენებლის ბიოგრაფი არსენმა იყალთოელიაო! ამ ამბავს ეგრეთვე უმატებენ, რომ არსენმა ვრცლად აღწერა მეფის ცხოვრება და ხელთ-ნაწერი ინახებოდა გელათის მონასტერში, მაგრამ ქუთათელმა მიტროპოლიტმა თავის ძმას, თ. წერეთელს გადასცა იგი ძვირფასი განძი და ეხლა არ იციან, სად მოიპოებაო [6]).

რაკი საქმე ასეა, ისევ „ქართლოს ცხოვრებას“ უნდა მივმართოთ. დროთა ვითარების გამო აქამომდე მაინც ეს მატიანეა უმთავრესი მასალა და წყარო „ისტორიკოსებრ ძიებისა ყოფისათვის...“ მართალია, ამ ბოლო დროს ახალმა – და ვიტყეით საფუძვლიანმაც – გამოკვლევამ ცხადად გვაჩვენა, _ თუ რა დიდი გავლენა ჰქონია ეგრედ წოდებულს **ვახტანგის** რედაქციას ჩვენის მატიანის შედგენაზე და ადგილ-ადგილ ამ, მატიანეში როგორ არეულად ჩართულია სხვა და სხვა ცნობა [7]), მაგრამ, რაც უნდა იყოს, დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღწერა მაინც მატიანეზე უნდა დამყარდეს. პირველად იმიტომ, რომ მატიანე ნამდვილ ამბებს მოგვითხრობს და სინამდვილე ზოგჯერ სხვა საბუთებითაც მტკიცდება; მეორედ, –

---

[3]) Hist. de la Gor. I. 345 n. 7, 350 n. I.

[4]) ქ. ცხ-ბა I. გვ. 250 და სხვ.

[5]) იქვე, გვ. 254 – «და ვთქვა სხვაცა საქმე... რომელსა შინა არა იყოს-რა ტყუვილი, ვინათგან წარსწყმედს უფალი ყოველთა, რომელნი იტყვიან სიცრუესა»...,

[6]) Грузия и Фрмения, III. გვ. 119. საბინინის «საქართველოს სამოთხე», გვ. 512, შენიშვნა.

[7]) ექვთიმე თაყაიშვილის „სამი ისტორიული ქრონიკა“ 1890 წ., წინასიტყვაობა.

უცხოელ მეისტორიეთა ნაწერებში, რაც უნდა იყოს, მეტად ცოტაა ახალი ცნობები დავით აღმაშენებელზედ. თუმცა ერთი მწერალი რომლის ისტორიულმა თხზულებამ ღირსეულად მიიპ-ყრა საზოგადოების ყურადღება, ამბობს, ვითომ დავით აღმა შენებელზე ბევრია დაწერილიო, [8]) მაგრამ ეს მართალი არ არის. სომეხთა და მაჰმადიანთა ისტორიკოსებმა მცირე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები დაგვიტოვეს დავით აღმაშენებელზე. ეს ამბები უმეტეს ნაწილად მეფის სამხედრო მოღვაწეობას შე-ეხებიან [9]).

ყველა ამ მიზეზის გამო დიაღაც რომ საძნელოა დავით აღმაშენებლის ცხოვრების დაწვრილებით და სავსედ აღწერა. და ან რა გზით, რომელ ღონისძიებით შესძლებს „ისტორიკოსებრ მაძიებელი“ ასეთს შრომას, როცა აქა-მდე გამორკვეული და განმარტებული არცკია ზოგიერთი პირველ-დაწყებითი საჭირო ცნობა. მაგ., ისტორიულ მწერ-ლობაში ჯერაც ერთხმივ გარდაწყვეტილი არ არის – დავით აღმაშენებელს დავით მეორე უნდა ეწოდოს, თუ დავით მესა-მე. ზოგი ისტორიკოსი დავით მესამის სახელით იხსენებს (სულ-ხან ბარათაშვილი, პ. იოსელიანი, უცხოელთა შორის – დიუბუა [10]) და სხვ.), მაგრამ ბროსსე სხვაფრივ ჰფიქრობს და საბუთიც მო-ჰყავს, რომ დავით მეორე უნდა ეწოდებოდესო [11]). ამ აზრთა და ცნობათა წინააღმდეგობა არსებობს აგრეთვე ქორონიკონის შე-სახებ. უცილობლად აღიარებული არ არის, – როდის დაიბადა დავით აღმაშენებელი, რაოდენის წლისა იყო, როცა გამეფდა და სხ. ამგვარი. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, დავით აღმა-შენებელი თექვსმე ის წლისა იყო, როცა 1089 წ. სამეფო ტახტზე ავიდა [12]). ამ თარიღს არ ეთანხმება ეგრედ წოდებუ-ლი სომხური ქრონიკა, რომელშიაც მოხსენენებულია – მეფე

---

[8]) ანტ. ფურცელაძე, «ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად», გვ. 4 – «არც ერთს საქართველოს ისტორიაში მომქმედს კაცზედ არ დაწერილა ამდენი, გარდა დავით აღმაშენებელისა, რაც საკაძეზედ».

[9]) ბროსსეს „Additions“... 228 _ 41.

[10]) Hist. de la G. I. 357 n. I.

[11]) ibid. 345 n 5 – 6; 380. n 2.

[12]) ქ.-ცხ., I. გვ. 240.

გიორგიმ, სიბერის ჟამს, თავის ათის წლის შვილს დავითს გარდასცა სამეფთო [13]). მეფობის ხანგრძლიობის გამო ვახუშტი ამბობს, დავით აღმაშენებელმა ორმოც და ერთი წელიწადი იმეფა და შაბათს, 24 იანვარს 1130 წ. გარდაიცვალაო [14]). სომხური ქრონიკა სხვა აზრისაა – მეფე ორმოც და ცამეტის წლისა იყო, როცა საუკუნოდ განისვენაო, და თუ მართლა ასეა, მაშინ ამ ანგარიშით მეფეს ორმოც და სამი წელიწადი უნდა ემეფნა [15]). ხოლო „ქართლოს ცხოვრების“ მოწმობით, დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა ორმოც და ცამეტის წლისა და იმეფა ოც და თოთხმეტი წელიწადი ბროსსეს ჩვენის მატიანის ცნობა უფრო ნამდვილი ჰგონია [16]). იქნება ეს ქრნოლოგიური წვრილმანობა ზოგს საჭიროდ არც-კი მიაჩნდეს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ გენიოსი მეფის სიცოცხლეში თითო დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დავით აღმაშენებელი ჯერ ისევ ძალღონით სავსე იყო, დიდი საქმეებიც ეწადა, მაგრამ ულმობელმა საწუთრომ არ დააცალა... ერთი სხვა დიაღ საყურადღებო-ამბავიც საცილობელია. ბროსსეს აზრით, რაკი მეფე გიორგი მეორემ 1089 წ. სამეფო გვირგვინი გადასცა თავის შვილს დავით აღმაშენებელს, ეს იმის საბუთია, რომ იმავე წელს გიორგი მეფე გარდაიცვალა და ეგრეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც შემდეგ იგი მატიანეში არ იხსენებაო [17]). მართლაც-და არ იხსენება, მაგრამ, ამ ბოლო დროს, ვითომ აღმოჩენილა ქრონიკა, თუ სხვაგვარი წერილობითი ცნობა, რომლიდანაც სჩანს, რომ მამა და შვილი – მეფე გიორგი მეორე და დავით აღმაშენებელი – რამდენსამე წელს ერთად მეფობდნენ და მამა **კესაროსის** სახელით იღვწოდა და სახელმწიფოს განაგებდაო [18]). თუ ეს ცნობა ნამდვილია, მაშინ ამ ახალს გარემოებას დიდი.

---

[13]) Chon. Armén. 61.

[14]) საქარეთველოს ისტორია, გვ. 173, შენიშვნა გვ. 186.

[15]) Chron. Armén, 61.

[16]) Additions… 235 _ 6.

[17]) Hist. de la G. I. 351 n. I. ქ.-ცხ., გვ. 262.

[18]) „ივერია“ 1892 წ. № 209, თ. ჟორდანიას წერილი «ჩვენის ისტორიის მოყვარულთა საყურადღებოდ.»

მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დავით აღმაშენებლის მეფობისა თვის. ხოლო მეფე გიორგის კესაროსობა-კი ძველად-ძველი ამ-ბავია. იგი კესაროსად წოდებულია იმის თანამედროე თეოფი-ლეს მიერ, რომელიც დავით აღმაშენებლის დროსაც მოღვა-წეობდა [19]). ბიზანტიაში კესაროსად იწოდებოდა იმპერატორის თანაშემწე, რომელიც სახელმწიფოს განაგებდა და თვით კესა-როსობა შეადგენდა უდიდეს ღირსებას. ხშირად იმპერატორს, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ვერ შეეძლო მარტო თითონ გას-ძღოლოდა სამეფოს და კესაროსობაც ამიტომ დააწესეს [20]).

მაგრამ დავით აღმაშენებლის მამის კესაროსობას სხვა აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მატიანეში მოხსენებული არ არის – რა გარემოების მიხედვით და გავლენით უნდა დამდგა-რიყო მეფე გიორგი კესაროსად, ე. ი. შვილის თანაშემწედ. პირ-იქით, „ქართლის ცხოვრება“ ჰმოწმობს და ზოგი ისტორიკო-სი [21]) ამტკიცებს კიდეც, გიორგი მეფემ შვილს სამეფო ტახტი გარდასცა იმიტომ, რომ თითონ არ შეეძლო ჯეროვნად სამე-ფო საქმეების გამგეობა და მართვაო. მაშასადამე, ქართული კესაროსობა სხვა ყოფილა, იგი ჰნიშნავდა ცალიერს საპატიო ღირ-სებას და, ვგონებთ, ასეთის მნიშვნელობისა იყო გიორგი მეფის კე-საროსობაც... ამ საცილობელ საგანთან ერთს გარემოებასაც კავ-შირი აქვს. მატიანე დავით აღმაშენებელს „მარტოდ შობილს“ უწოდებს. ნამდვილად რომ ასე ყოფილიყო, მაშინ იქნება მამა-შვილის ერთად მეფობას რაიმე საფუძველი ჰქონოდა, მაგრამ საქმე ისაა. რომ მათე ედესელი ამბობს, _ დავით აღმაშენებელს ჰყავდა ძმა, სახელად თორთომეო [22]). თუმცა ეს ამბავი პირ-დაპირ არ არღვევს ახლად აღმოჩენილ საცილობელს ცნობას, მაგრამ გვიჩვენებს-კი, – თუ რა სიფრთხილეა საჭირო საისტო-რიო და საარქეოლოგიო ძიების დროს. უნდა გვახსოვდეს ეგ-რედვე, რომ ჩვენს მეფეებს ხშირად ნათესაობა და მოყვრობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერატორებთან და უკანასკნელნი უხვად

---

[19]) А. Цагарели, Свѣд. о пам. гр. письм. в. і.1886 г. стр. 80.

[20]) Веберъ, Всеобщая Исторія, т. 6. 1887 г. стр. 419 – 27.

[21]) Баратовъ, Исторія Грузія., IV. стр. 2.
[22]) Additions.. 230 n. 6.

აჯილდოვებდნენ საქართველოს გვირგვინოსნებს სხვა-და-სხვა საპატიო ღირსებითა...

პირდაპირ არა სჩანს, სად დაიბადა მეფე დავით აღმაშენებელი. მარტო გარდმოცემით ვიცით, რომ ს. რუისში გაიზარდა და იქ გაატარა სიყმაწვილე. ამ სოფლის დიდებულ ტაძარში ჯერ ისევ 1848 წ. დაცული იყო ძვირფასი განძი – ღვთის მშობლის შესანიშნავი ხატი, რომელიც მეფემ შესწირა [23]) და, რასაკვირველია, გარდმოცემის სინამდვილეს უფრო სხვა საბუთი ესაჭიროება, ვიდრე ხატის შეწირულება. მართალია, ეგრედ წოდებული **ძეგლის-წერა** ამბობს, მეფემ კრება მოახდინა „მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა, რუისისა და ურბნისისაო“, მაგრამ ეს გარემოებაც ბევრს არას ამტკიცებს...

ქართულ მატიანეში მეფის აღმზრდელის სახელიც არ არის ნაჩვენები. იქ დიდებული მწიგნობართ-უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი მოხსენებულია „ვითარცა მამა“ მეფისა, „თანა-აღზრდილი პატრონთა და თანაგანკაფული ყოველთა გზათა და საქმეთა და ღვაწლთა მისთა“ [24]). ძველი ჩვეულებისამებრ მეფის შვილი მამა-მძუძეს უნდა აღეზარდა, აღმზრდელი უეჭველად წარჩინებული ხელის-უფალი და დიდის გვარისა უნდა ყოფილიყო. და, რადგანაც სახელოვანი გიორგი ჭყონდიდელი წოდებულია „ვითარცა მამა,“ რომლის სიკვდილი დავით აღმაშენებელმა იგლოვა „შემოსითა შავისათა“, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი ჭყონდიდელი იყო მეფის მამა-მძუძეც. ძველად მამა-მძუძეობა უფრო აღზრდას შეიცავდა, ხოლო სწავლისა და განათლების საქმეს ტვირთულობდა რომელიმე შესანიშნავი **ოსტატი**. მამა-მძუძეს გარდა, დავით აღმაშენებელს შესანიშნავი ოსტატიც, მასწავლებელიც უნდა ჰყოლოდა. ვინ იყო იგი? ამის პასუხად არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეფემ დიდი განათლება მიიღო, ყოველგვარი დროის შესაფერი მეცნიერება შეითვისა. მეფე ცნობილია უდიდეს ღვთის-მეტყველად [25]). ყველა ამის გამო სარ-

[23]) Грузія и Арменія, III. стр. 112.
[24]) ქ.-ცხ., 247.
[25]) Грузія и Арменія, III. стр. 164.

წმუნო და დასაჯერებელია, როცა თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ დავით აღმაშენებელს ასწავლიდა გამოჩენილი ფილოსოფოსი და ღვთის-მეტყველი არსენ იყალთოელიო. იმ დროს სხვა უკეთესი მასწავლებელი არც მოიპოებოდა. არსენ იყალთოელი – გვარად თავადი ვაჩნაძე _ მთელ საქართველოში ბრწყინავდა თავის განათლებით. ზედ-მიწევნით იცოდა ბერძნული, არაბული და ასურული ენა. თეიმურაზის სიტყვით, იგი იყო „ღრმათა წიგნთა გამომთარგმნებელი," „ღრმად მეცნიერ და ფილოსოფოსი, სიბრძნითა და ყოვლითა სათნოებითა სავსე". კახეთში, ს. იყალთოს, ამ ღირსეულმა მეცნიერმა დაარსა „დიდი სასწავლებელი" _ აკადემია, სადაც ასწავლიდა „ფილოსოფიას, ღვთის-მეტყველების, ენათა და სხვათა აზნაურებითთა სასწავლებელთა [26]). ცხადია, რომ ასეთი ოსტატი მშვენივრად შეასრულებდა თავის წმიდა მოვალეობას. თვით „ღრმად მეცნიერ და ფილოსოფოსი" მასწავლებელი უწოდებს დავით აღმაშენებელს „ბრძენს, ვითარცა სოლომონ, მეფეთა შორის" [27]). და ეს საქებარი სახელი ცალიერი სიტყვა რომ არ არის, ამას უცხოელნიც ჰმოწმობენ.

დავით აღმაშენებლის დროს დიდი პატივი და მნიშვნელობა ჰქონდა, სხვათა შორის, არაბულ განათლებასაც. არაბნი და საზოგადოდ მაჰმადიანნი წყურვილით დაეწაფნენ ბერძნულ ფილოსოფიას და მეტადრე არისტოტელის სწავლა-მოძღვრებას. ბერძნულმა ფილოსოფიამ და მისმა უდიდესმა წარმომადგენელმა გავლენა იქონია მაჰმადიანთა სარწუნოებაზე, _ ღვთის-მეტყველთა შორის გაჩნდა და ნელ-ნელა გაძლიერდა კამათობა, პაექრობა მაჰმადის მოძღვრების გამო. ორ დასად განიყვნენ. ერთნი ამტკიცებდნენ _კურანი ზეციური, საუკუნო და თვით მეუფისაგან მონიჭებული მოძღვრებაა, ხოლო მეორენი

[26]) ისტორია ივერიისა, გვ. 282-3. აკადემიის ნანგრევები ეხლაც არისო. არსენი მარხია წმ. ზენონის ფერხთით იყალთოს მონასტერში, Груз. Арм. I. стр.

191 – 4.

[27]) „საქართველოს სამოთხე“, წერილი «მეფესა დავითს მონაზონი არსენი» 528 – 30.

წინააღმდეგს ასწავლიდნენ. ბევრი გონებრივი ძალა დაიხარჯა ამ საცილობელ საგანზე და დიდი ჭკუა და ცოდნაც იყო საჭირო, რომ რაიმე საბუთიანი აზრი თქმულიყო [28]). მაგრამ დავით აღმაშენებელს მაჰმადიანთა ღვთის მეტყველებაც-კი ისრე ღრმად შეთვისებული ჰქონდა, რომ მისი მაღალი ჭკუა ძნელს და თითქო გონების მიუწდომელ საგანსაც სწვდებოდა. თანამედროე მეცნიერი, მოჰამედ-ელ-ჰამექი მოგვითხრობს, რომ დავით მეფე დიდი მცოდნეა ჩვენის სარწმუნოებისა და სწავლულებს ებაასება, – კურანი ზეციური თუ ქვეყნიური მოძღვრებააო [29]).

დრო და ჟამი თხოულობდა შედარებით სხვა-და-სხვა ღვთის-მეტყველების შესწავლას. თვით არსენ იყალთოელი დი დად დახელო ვნებული იყო ასეთს სწავლაში და მოწაფე დავითიც თავის გზაზე დააყენა. დავით აღმაშენებელმა საფუძვლიანად შეისწავლა, მართლმადიდებლობის გარდა, სხვა ქრისტიანობრივი მოძღვრებაც და, მაგალითებრ, ანის კრებაზე თავისის ცოდნით გააკვირვა სომეხთა ღვთისმეტყველნი [30]). იყალთოელი ოსტატი თითონ განთქმული იყო საღვთისმეტყველო პაექრობისა ღა კამათობის ცოდნით და იგი ცოდნა გარდასცა მოწაფესაც. საზოგადოდ მასწავლებელს ძლიერი გავლენა ჰქონდა შეგირდზე და ბევრი თავის მიმართულება ჩაუნერგა. ამ გავლენას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ სიკვდილამდე მეფეს პატივი და ნდობა არ მოუკლია ოსტატისათვის. სიკვდილის დროსაც-კი თავისი „ანდერძი“ არსენის „პირით“ დაადგინა, – „ჩვენ მიერ უნდოსა და უღირსისა მლოცველისა მამისა ბერისა პირითაო“, – სწერია იმ ანდერძში [31]). და თვით შინაარსიც ანდერძისა ღაღადებს, თუ რა

---

[28]) Г. Веберъ, т. 6. 462 _ 3. იხ. ეგრეთვე Ф. Шлоссеръ, Всемірная Исторія, т. 2. 1869 г. стр. 335 – 6, 358 – 9.

[29]) Additions… 237.

[30]) ქ.-ცხოვ., I. გვ. 258 – 9.

[31]) Addit… 232 n. 4. თვით «ანდერძი» შეტანილია „საქართველოს სამო-

თხეში“, 512-13. ავტორი ამბობს: ანდერძის დედანი თ. ალექსანდრეს ჰქონდა და, «უთუოთ გაენათიდგან იყო მოპარულიო»... მოპარვისა არაფერი ვიცით, მაგრამ დედანი-კი გელათის ბერების დაუდევრობის გამო დაკარგულა და ოდესმე ჰქონია გენერალ ლეიტენანტს თ. ბაგრატიონს, Груз. и Арм. III. стр. 200.

ნდობით ექცეოდა მეფე თავის მასწავლებელს. საჭიროა მოვიხსენოთ ეგრედვე, რომ დავით აღმაშენებელი, თავისის მასწავლებელის გავლენის გამო, შეიქნა გულ-მხურვალე ქრისტიანი და სარწმუნოებრივი მაღალი გრძნობა დიდის ნიჭითა და ხელოვნებით გამოსთქვა თავის თხზულებაში – „გალობა სინანულისა“ [32]). ენის სიტურფითა და პოეზიის სიმშვენიერით ეს „გალობა“ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს თითქო ეცილება...

განათლების სიყვარულმა სრულიად შეიპყრა მეფის სული და გული; „წიგნთა სიყვარულში“ თითქო ბუნების მოთხოვნილებად და აუცილებელ საჭიროებად გარდაექცა, – მატიანე ამბობს, მეფე „წიგნთა შინა ცხოველ არს და მათ შინა იძვრისო“...
ასე გასინჯეთ, ლაშქრობის დროსაც-კი მეფე „წიგნთა სიყვარულს“ ვერ სტოვებდა და თან დაჰქონდა საკითხავად სხვა-და სხვა თხზულებანი. ნადირობა ხომ გასართობი და სასიამოვნო დროს გატარება და ვარჯიშია, მაგრამ „თვით ნადირობასა შინა წიგნი აქვნდის ხელთა და რა ჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვისო“. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ერთის წლის განმავლობაში მარტო სამოციქულო ოც-და-ოთხჯერ წაიკითხა [33]) და თანამედროვე მემატიანეც უწოდებს მეფეს „ პტოლემეოსად“... მაგრამ
მეფე მარტო წიგნის კითხვას არ კმარობდა. იმისი მკვირცხლი ბუნება თხოულობდა ეგრედვე ცოცხალ სიტყვას, და ცნობის მოყვარე მეფესაც მეტად ესიამოვნებოდა სწავლულებთან ბაასი. იმ დროს მწიგნობრობა სასულიერო წოდების ხელობას შეადგენდა და დავით აღმაშენებელს მეგობრული კავშირი ჰქონდა ბევრ გამოჩენილ სასულიერო კაცთან, რომელიც-კი განთქმული იყო თავისის განათლებითა. ჯერ ისევ პატარაობისას, აღზრდის ღროს, მამა-მძუძემ აღუძრა ყრმას „პტოლემეოსობის“ სიყვარული და შემდეგ იგივე მამა-მძუძე, გიორგი

ჭყონდიდელი, – „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა“, – შეიქმნა

---

[32]) „საქართველოს სამოთხე“ 513-518,

[33]) ქ.-ცხოვრება, I. 253-4.

მუდმივი მესაუბრე მეფისა. რასაკვირველია, მეფის „პტოლემეოსობა“ ააღორძინა და განადიდა იყალთოელ ფილოსოფოსმა, რომელსაც თითონ უყვარდა სამეცნიერო ბაასი. მაგრამ დავით აღმაშენებელი მოსაუბრე და სწავლულ მეგობრებს სხვაგანაც ჰპოულობდა. იმის დროს სწავლითა და გონიერებით განთქმული იყო სომხების ვართაპეტი, არხიმანდრიტი იოანე ხარკაღი. ამ ვართაპეტმა, დასწერა სხვა-და-სხვა თხზულება და მათ შორის ისტორიაც. იგი იღვწოდა და მწიგნობრობდა შესანიშნავ ხახპატის მონასტერში, რომელიც მდებარებდა საქართველოს სამზღვრად [34]). ჯერ ჩეენ დროსაც არა ერთი და ორი ნაშთი ჰმოწმობს მაშინდელ ხახმატის მონასტრის აყვავებულს მწიგნობრობას [35]) და დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს ხომ ხახპატი განათლების ლამპრად ითვლებოდა. მეფემ მეცნიერი ვართაპეტი დაიმეგობრა და მალე მათ შორის გულითადი კავშირი დაარსდა. ბრძენს დავით აღმაშენებელს შეგნებული ჰქონდა სომხური განათლების ვითარება და ღირსება. მიზეზიც აქ არის, რომ ამ განათლების საუკეთესო წარმომადგენელს დაუახლოვდა [36]). საზოგადოდ მეფეს ისე ღრმად უღვიოდა გულში განათლების სიყვარული, რომ თანასწორად ეპყრობოდა ყველა სწავლულს, თუნდა მაჰმადიანიც ყოფილიყო. როცა ტფილისი აიღო, დავით აღმაშენებელმა მაჰმადიანთ პიიტიკოსებს, მქადაგებლებს და სწავლულებს საკუთარი სახლი აუშენა, ულუფა გაუჩინა და სხვა გვარი შემწეობა დაუნიშნაო, – ასე მოგვითხრობს თვით მათი მეისტორიე [37]).

დიაღ, მეფე უხვს მფარველობას უწევდა განათლებას, დროთა ვითარებაც ეგრეთი იყო. საბერძნეთსა და აღმოსავლეთში „მეცენატობა“ თითქო ჩვეულებად გარდაიქცა. ბიზანტიის იმპერატორნი გულ-მოდგინედ ეკიდებოდნენ განათ-

ლების აყვავებას და ზოგნი იქამდე გატაცებულნი იყვნენ სწავლის ხალისით, რომ სახელმწიფო საქმეებს უყურადღებოდ

---

[34]) Всещбщая історія Вардана Великаго, 1861 г. стр. 149 пр. 604, стр. 159.

[35]) Груз. и Арм. II стр. 302 – 7, 309.

[36]) Chron. arm. 60 _ 61.

[37]) Addit…241.

სტოვებდნენ [38]). საქრისტიანოს გარდა, სხვა-და-სხვა სამაჰმადიანო სამეფოშიაც, არაბების წყალობით, აღორძინდა განათლების მფარველობა. სახელ-განთქმული მაჰმუდ გაზნელი (998 -1080წ.) დიდსა პატივსა სცემდა მეცნიერებსა და პიიტიკოსებს. ქ. გაზნას იმის მშვენიერ სასახლეში ცხოვრობდნენ შესანიშნავი ფილოსოფოსნი, პიიტიკოსნი, გეოგრაფოსნი. პოეზიის სიყვარულით აღგზნებულმა მაჰმუდმა შეაკრებინა ირან-თურანის ზეპირ გარდმოცემა, რომელიც უკვდავმა ფირდუსიმ მასალად მოიხმარა თავის პოემისათვის. მაჰმუდმა დაარსა „პიიტიკოსთა აკადემია“. იმის სამეფოში, სულ ცოტა, ოთხასი პოეტი იმყოფებოდა [39]). ინდოეთში ლაშქრობის დროს მან მრავალი სიმდიდრე შეიძინა და უმეტესი ნაწილი მოანდომა სატახტო ქალაქის დიდ აკადემიის გაუმჯობესობას და წიგნთ-საცავის დაარსებას. როცა ხვარაზმის მეფე შეიპყრა, მაჰმუდმა ხარჯი როდი მოსთხოვა, – ხარჯის მაგიერ შენი სახელოვანი ფილოსოფოსი ავიცენნა ჩემის აკადემიის პროფესორად გამომიგზავნეო [40]). იმ სახსოვარ და სანატრელ დროს მთელი აღმოსავლეთი თავის განათლებით ბრწყინავდა. თვითოეული სამეფო გვარი (ბუიდები, სამანიდები და სხ.) თითქო ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდა და ეცილებოდა განათლების წარმატებაში. და მართლაც სასიამოვნო და მომხიბლავი სანახავი იყო ეს კეთილ-შობილური ჯიბრი და ცილობა [41]). მაშინდელი ევროპა განცვიფრებითა და შურის თვალით შეჰყურებდა ბედნიერს აღმოსავლეთს, სადაც, განათლების მეოხებით, აღორძინდა მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა. ასეთს სურათს წარმოადგენდა აღმოსავლეთი დავით აღმაშენებლის ცოტა წინად.

თითონ იმის მეფობაში აღმოსავლეთს ხომ უფრო მეტი სიბრწყინვალე დაეტყო. მეფის თანამედროე და მთლად აღმოსავლეთის ბატონი მელიქ-შაჰ დიდად უწყობდა ხელს განათლებისა და მოქალაქობის წინ-მსვლელობას. იმან ბევრი

[38]) Веберъ, 6 т. стр. 416.

[39]) Веберъ, стр. 445, 466 – 7.

[40]) Ф. Шлоссеръ, 2 т. 351 – 2

[41]) ibid. 347 – 49.

ღვაწლი დასდო მეცნიერებას, – სხვა-და-სხვა ადგილს გამართა ასტრონომიული ობსერვატორია, ბასსორისა და ბაღდადის სკოლები გააუმჯობესა. მელიქ-შაჰის სასახლე პიიტიკოსების სადგურად გარდიქცა. სპარსულ ლიტერატურას ბედნიერი დღე დაუდგა. მეტადრე სახელოვანი ვეზირი ნიზამ-ალ-მულქი საოცარს მხნეობას იჩენდა, არც ერთს საშუალებას არ ზოგავდა განათლების გასავრცელებლად. თითქმის ყველა დიდ ქალაქში დაარსა აკადემია, სადაც მეცნიერნი და პროფესორნი სახელმწიფო ხარჯით ცხოვრობდნენ. უფრო შესანიშნავი იყო ბაღდადის სასულიერო აკადემია, რომელიც აღმოსავლეთის ვარსკვლავსავით უნათებდა მთელს მაჰმადიანობას [42]). დავით აღმაშენებლის მეორე თანამედროე, ბიზანტიის მეფე ალექსი კომნინოსი (1081 – 1118), თუმცა პირმოთნე და მატყუარა იყო, მაგრამ განათლებას დიდად ჰფარველობდა და ამასთანავე ზრუნავდა ეკლესიისა და სასულიერო წოდების სასარგებლოდ. მართალია, იგი ყველასაგან მოძულებული მოკვდა, წყევლა და ქოლვა საკმაოდ წაიღო საიქიოს, მაგრამ მაინც თავის სიცოცხლეში ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა: ლაშქარი კარგად მოაწყო, სახელმწიფოს საფინანსო და საეკონომიო საქმე, შინაგანი გამგეობა და სხვ. წესსა და რიგზე დაყენა [43]). უეჭველია, აღმოსავლეთისა და ბიზანტიის მდგომარეობა დავით აღმაშენებლის ყურადღებას მიიზიდავდა, თანამედროვე მეფეთა მაგალითი გავლენას იქონიებდა და ეს მით უფრო, რომ საქართველოს მეფეს ხასიათად ჰქონდა უცხოე-

თიდან ყოველი კარგი და სასარგებლო დაწესებულება შემოეღო. დავით აღმაშენებელმა პირველადვე დიდი მფარველობა აღმოუჩინა განათლებას და ქართველი ახალგაზდობა ათინაში გაგზავნა უმაღლეს განათლების მისაღებად [44]).

რასაკვირველია, პირდაპირ ძნელია იმის თქმა, თუ რა და რა საგანს ასწავლიდნენ მეფეს და როგორი განათლება მისცეს. არსენ იყალთოელი თავის აკადემიაში ასწავლიდა სა-

---

[42]) Веберъ, 449 _ 50. Ф. Шлоссеръ, 360.

[43]) ibid. 429.

[44]) Варданъ Великій, 147.

ზოგადოდ „აზნაურებითთა სასწავლებელთა,“ ესე იგი ფილოსოფიას, ღვთის-მეტყველებას, ლოღიკას, რიტორიკას, პიიტიკას, გრამატიკას და სხ. შეიძლება, რომ ესევე ასწავლეს დავით აღმაშენებელსაც. ხოლო ნათლად სჩანს, რომ გვირგვინოსან ყრმისათვის იმ დროს სავალდებულო იყო ცხენოსან-მშვილდოსნობა, რომელიც სამხედრო სწავლის დარგს შეადგენდა. მაშინ სამხედრო სწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,მეტადრე მაღალ და კეთილ-შობილ სახოგადოებისათვის ასე გასინჯეთ, სასულიერო კაცისათვისაც-კი საჭირო იყო ეგეთი სწავლა. თვით მწიგნობართ-უხუცესი მოხელეობა იყო უფრო საქველ-მოქმედო და სასულიერო საქმეების გამგეობა [45]). დავით აღმაშენებელს მამისაგანვე დაჰყვა ცხენოსან-მშვილდოსნობის ნიჭი, – მეფე გიორგი მეორე ცნობილია, როგორც „ცნენოსან-შვილდოსანი რჩეული“ [46]), მაგრამ აქაც შვილმა დაშორებით აჯობა მამას, – მატიანის თქმით, ვერც ერთი მოისარე ვერ შეედრებოდა დავით აღმაშენებელს: ხელ-ცალიერი არ მოვიდოდა, ცუდად არ დაიშვროდა „რამეთუ ვინ ჰგავნ ხორციელი, ანუ ვინ იხილა ესოდენ გამარჯვებული ნადირობასა შინაო“[47]). სამხედრო და სალაშქრო საქმეში ხომ დავით აღმაშენებელს მოცილე არა ჰყავდა. იმის საოცარი ნიჭი და საკვირველად გამჭრიახი გონება უფრო მხედრობასა და ლაშქრობაში გამოჩნდა, მისი მსგავსი სარდალი იშვიათად დაბადებულა სხვაგანაც-კი დ საქართველოს, ამ ვაჟ-კაცობისა

და რაინდობის სამშობლოს, ხომ აღარ უხილავს დავით აღმაშენებლისთანა მეომარი. ამიტომაც იგი წოდებულია „უმსგავსო სპასპეტად,“ „ახალ ალექსანდრედ“, „მეორე ალექსანდრედ“ – მაკედონელად [48]). და რომ ეს სახელი გაზვიადებული ქება არა არის, ამას ამტკიცებს იმის სამხედრო და სალაშქრო მოღვაწეობა. როგორც სჩანს, მეფეს შეთვისებული ჰქონია თავის დროის სამხედრო სწავლა. მაგრამ საყურადღებო კიდევ ის არის,

---

[45]) ვახუშტის ისტორია, 1885 წ. გვ. 12.
[46]) ქ.-ცხოვრება, გვ. 235.
[47]) იქვე, 254.
[48]) იქვე, 246 – 8.

რომ თვით საკუთარის ნიჭით შექმნა ახალი სამხედრო სკოლა, რომელიც სახელმძღვანელოდ გარდაიქცა შემდეგის თაობისათვის, ახალს წესსა და გზაზედ დააყენა სამხედრო საქმე...

ნიჭს გარდა, ლაშქრობის ღმერთმა ვაჟკაცობაც უხვად მიმადლა თავის რჩეულსა და საქმეც ისაა, რომ გენიოსი სპასპეტი შემკული იყო სხვადასხვა სამხედრო ღირსებით. ომის დროსო, ამბობს მემატიანე, „უპირატეს ყოველთა თვით წინა, უვიდოდა და ვითარცა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა, თვით გოლიათებრ მიმართებდა... სვრიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთაო“ [49]). არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბუნებამ ახოვნებითაც დაჯილდოვა ეს „გოლიათებრ“ მებრძოლი სპასპეტი. გელათის ტაძრის კედელზე დახატული სახე ამტკიცებს იმის ფიზიკურს და უპირატესობას სხვა მეფეთა წინაშე [50]). ყველა ამას უნდა დაუმატოთ მარტივი და სადა, ნამდვილი სპარტაებრივი ცხოვრება, – „არა ჰსცა... არცა განსვენება ხორცთა თვისთა. არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა, არცა საჭმელი-სასმელთა, არც სიმღერა-სიღოდათა და რაითურთ არა-რა შემკერელთა ხორცთა და გონებისათაო“ [51]). ამისთანა სასტიკი ცხოვრება შეუძლიან მხოლოდ ხორცითა და სულით ძლიერს, მტკიცე ხასიათით აღჭურვილ მეფეს. ყველა ამ თვისე-

ბის აღორძინებას ხელს უწყობს მხედრობისა და ლაშქრობის წესზე ყოფნა-ცხოვრება. განუწყვეტელმა ომიანობამ და დაუ-ცხრომელმა შრომამ დავით აღმაშენებელს განუმტკიცა ზნეობა, მისცა შეუდრკელი ნება, რომელიც ასე საჭიროა დიდებულ სპასპეტისათვის...

მაგრამ ყველა ეს კიდევ ცოტაა დავით აღმაშენებლის ზნეობის დასახატავად. სულიერი და ზნეობრივი ძალა, გონე-ბის აღმაფრენა და გულის პატიოსანი ძგერა ხშირად ჰარმო-ნიულად მოთავსებულია ხოლმე დიდ-ბუნებოვან არსებაში.

---

[49]) იქვე, 242.

[50]) Груз. и Арм. III. 183, 199.

[51]) ქ.-ცხოვრება, 248.

მეფე სწორედ ასრე იყო შემკული. იმის აღმზრდელი – გიორგი ჭყონდიდელი _ განთქმული იყო მთელ საქართველოში მაღალ ზნეობით და ხასიათით და, რასაკვირველია,ზედ-მოქმედება ექნე-ბოდა ჭაბუკზედ. ამას გარდა, იმ დროს აღზრდასა და ზნეობ-რივს განვითარებას დიდს ყურადღებას აქცევდნენ. ესრედ წო-დებული ზრდილობა, ხასიათის გარეგანი ლაზათი და სიმშვე-ნიერე მიუცილებლად საჭირო იყო, მეტადრე მაღალ წოდე-ბის ადამიანისათვის. უზენაესმა მეუფემ ეს თვისებაც სავსებით მიჰმადლა თავის რჩეულს და კარგმა აღზრდამ ხომ უფრო გა-ნავითარა მეფის ზნეობრივი ბუნება. მატიანის თქმით, „მეფე სრული იყო ყოველ ზნეობითა და „კიდით ქვეყანისათ“ შე-მოკრბებოდნენ იმის ხილვისა წყურვიელნიო“, – „ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხვევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სა-სურველ დუმილითა“... „საწადელ დუმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ კროო მელობითა“... „მაღალ უმაღლესთათვის, მდაბალ მდაბალთათ-ვის და თვით მტერთაგანცა თვით საწადელ და საყვარელ“... და სხვ. [52]).

არსებადი თვისება ზნეობრივი აღზრდისა გულის სიწმინ-დე და გრძნობის სისპეტაკეა, ზნეობრივი მოძღვრების ქვა-

კუთხედი ურთიერთი სიყვარული და სათნოებაა. საზოგადოებისა და კერძო კაცის ზნეობა მაშინ სდგას ჭეშმარიტ გზაზედ, როცა გულის სიმები საყოველთაო სიკეთისათვის ჰჟღერენ. შეიძლება ასეთი ჟღერა ზეციურ გალობას და ჰანგებს დაეგვანოს – და მაშინ გულიც მთლად კაცობრიობის ძმობასა და ერთობას ეტრფიალება. მაგრამ ეს ჯერ ისევ მიუწდომელი იდეალია. ისიც დიდი საქმეა, თუ კაცს გულში აღმოფხვრილი აქვს სხვათა მძულვარება და ლმობიერებით ეპყრობა მეზობელ ხალხს, იმის რწმენას, „წმიდათა წმიდას“... დავით აღმა-

[52]) ქართლის-ცხოვრება, I. 261. დავით აღმაშენებლის ზნეობრივი თვისება მოკლედ განმარტებულია ძეგლის წერაში – «...მყუდრო და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ-უხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებასა ღვთისა» და სხვ. იხ. ეგრედვე «მეფესა დავითს მონაზონი არსენი» «საქართველოს სამოთხე»-ში. 518 – 30.

შენებელს სწორედ ამგვარი გრძნობა უღვივოდა. აქაც ჟამთა ვითარებამ თითქო თავისი გავლენა იქონიაო. იმ დროს განათლებამ შესცვალა მაჰმადიანების ველური ხასიათი. ოდესმე მრისხანე და მძვინვარი მაჰმადის მწვანე დროშა, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა და შეუბრალებლად აღარ სდევნიდა ქრისტიანებს და ცეცხლის თაყვანის მცემლებსა [53]). ღირსშესანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელმა მაინც დროს წინ გაუსწრო. იგი დიდს პატივს სცემდა მაჰმადიანებს და იმათ სარწმუნოებას. თვით მაჰმადიანთა ისტორიკოსი ამბობს, – დავით მეფე უფრო კარგად ექცეოდა ჩვენს ერს, ვიდრე ჩვენის სარწმუნოებისა და მოდგმის მთავარნიო. მეფე შვილითურთ დადიოდა ტფილისის მიზგითში, ლოცვასა და კურანს ისმენდაო. მაჰმადიანებს ყველა თხოვნა აუსრულა – ბძანება გასცა ქალაქში ღორები არ დაეკლათ, ქრისტიანებს ერთად მაჰმადიანებთან არ ებანავათ და სხ. [54]). მართალია, მეორე მწერალი თითქო სულ წინააღმდეგს ამტკიცებს, – ტფილისის აღების დროს ქართველები ცუდად მოეპყრნენ მაჰმადიანთა სალოცავს და ყადისაო [55]), მაგრამ ეს ბრალი მეფეს არ ედება და მაჰმადიანთა სხვა ისტორიკოსების თქმულებასაც არ ეთანხმება.

ხალკიდონის კრების შემდეგ, სომეხთა და ქართველთა შორის, სამწუხაროდ, მტრობა და მძულვარება დაიბადა. კიდევ კარგი, რომ ეგეთი განწყობილება სარწმუნოების წრეს არ გასცილებოდა, მაგრამ ჩვენმა მთელმა ერმა ასე არ ინება. აიღეთ ძველი სომეხთა მწერლები. ბევრი მათქანი კილვითა და თითქმის ზიზღითაც იხსენებს ქართველებს, თითქოს ქართლოსის შთამამავლობას რაიმე დანაშაულობა ჰქონდეს ჰაოსის შვილთა წინაშე!... დავით აღმაშენებელი გადურჩა უსამართლო მსჯავრსა. შური და ქვენა-გრძნობა დადუმდა, უძლურ შეიქნა, თითქო შერცხვა დიდის მეფისაო... მათე ედესელი დავით აღმაშენებელს „წმიდად“ აღიარებს და ამბობს, – იგი მართლ-მსაჯული

---

[53]) Ф. Шлоссеръ, 347.

[54]) Addit…241.

[55]) ibid. 238, 242.

იყო, სომხობას სწყალობდა, ქ. გორი აუშენა და ბევრი ეკლესია და მონასტერი დაუარსაო [56]). დიაღ, მეფეს უყვარდა სომხობა, მისი სარწმუნოება და ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ მართლ-მადიდებელ საბერძნეთში სარწმუნოებრივი მძულვარება არ იყო სრულიად მოსპობილი და თანამედროე იმპერატორი ალექსი კომნინოსი სდევნიდა მწვალებლებს [56]).

პირველადვე შევნიშნეთ, რომ მეფის შინაური ცხოვრება სიბნელით მოცულია. მატიანე ამბობს, – „მოიყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა, შარაღან ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოისა“, მაგრამ ეს ზოგადი ცნობა არაფერს არ ნიშნავს. ამას გარდა, თუ სომეხ მეისტორიებს დავუჯერეთ, მეფეს სომხის ქალი უნდა ჰყოლოდა მეუღლედ, რომელმაც ჰშობა ტახტის მემკვიდრე, ღიმიტრი მეფე [57]). ზოგი იმასაც ამბობს, რომ მეფეს ბიზანტიის სამეფო გვარის ქარი ირინე ჰყავდა ცოლადაო. ამ ირინემ ააშენებინა შესანიშნავი ქვათახევის მონასტერი, რომელსაც შესწირა სასწაულთ-მომქმედი ღვთის-მშობ-

ლის ხატი და სხვა ძვირფასი საუნჯეო [58]). მატიანე-კი მხოლოდ გურანდუხტს იხსენებს და იმის მეუღლედ მოყვანა პოლიტიკურ მოსაზრების გამო უნდა მომხდარიყო, – შორს-მჭვრეტელი მეფე ჰხედავდა, თუ რა სასარგებლო იქნებოდა მოყვრული დამოკიდებულება ყივჩაყთა „უმთავრესთან“... ვგონებთ, ცხადია, რომ გურანდუხტზე წინად სხვა მეუღლე ჰყავდა, თუმცა ძნელია სათქმელად, ვინ და საიდან. ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე დიმიტრი მეფე, გურანდუხტისაგან არ იყო შობილი. აი რომელ საბუთით: როცა მეფემ ყივჩაყნი მოიწვია, მაშინ ვაჟი-შვილი ვახტანგ დაებადა და შემდეგ თავის „ანდერძში“ უმფროს შვილს დაავალა –

---

[55]) Additions… 230.

[56]) Веберъ, 429.

[57]) Hist. de la G. I. 362 n. 3 Addit…230 n. 6.

[58]) Гр. и Ар. III. стр. 41 – 43, 113, 183 – 4.

„რათა ძმა თვისი ცვატა [59]) აღზარდოს და, თუ ინებოს ღმერთმან და კარგ იყოს, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა.“ ეს საანდერძო განკარგულება ძირეულად სცვლიდა მემკვიდრეობის წესსა. ცხადია, რომ ცვატა გურანდუხტისაგან-იშვა და მეფეს ჰსურდა ცვატას მემკვიდრეობა საპოლიტიკო მოსაზრებისა და ყივჩაყთა გულის მოსაგებლად. ვაჟებს გარდა, დავით აღმაშენებელს ორი ქალიცა ჰყავდა – კატაჲ და თამარ. პირველი მიათხოვა ბიზანტიის იმპერატორის შვილს ალექსის [60]). მეორე შირვანის მფლობელს აღსართანს ანუ აღისტან შირვან-შაჰს.

II

მეფისა თუ სხვა საზოგადოებრივის მოღვაწის საქმეთა განხილვა და განსჯა შესაძლოა ისტორიულ გარემოებათა მიხედვით. დროთა ვითარებას დიდი გავლენა აქვს საზოგადო ცხოვრების ბრუნვაზე. ხშირად საქვეყნო მოღვაწე ამ ბრუნვას

მისდევს, მაგრამ ბევრჯელ თითქო თავის ნებაზედაც ატრიალებს ცხოვრების ჩარხს. ეს უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია სულიერსა და ზნეობრივს ძალაზე. დამაბრკოლებელ გარემოებათა დასათრგუნველად საჭიროა, ერთის მხრით, მახვილი და შორს-მჭვრეტელი გონება, მეორედ _ მტკიცე და შეუდრკელში ხასიათი. გონებრივს გამჭრიახობას მოკლებული და ხასიათით სუსტი ყოველთვის ქედს იხრის ცხოვრების ბრძოლის მოედანზედ და ხელ-ცალიერი რჩება მაშინაც-კი, როცა ადვილია ძლევა და გამარჯვება. დავით აღმაშენებელი შემკული

[59]) დ. ბაქრაძის აზრით, ცვატა ვახტანგის პატარაობის სახელია, ვახუშტის ისტორია, 187.

[60]) Hist. de la G. I. 360 n. 2., Chron. arm. 58. როგორც სჩანს, კატაალ ქმარი ალექსი უნდა ყოფილიყო ალექსი კომნინოსი. მაგრამ იმას მეუღლედ ჰყავდა კონსტანტინე X დუკას ნათესავი ი რ ი ნ ე, რომელმაც ქმარს დიდი შემწეობა გაუწია სამეფო ტახტის შოვნაშიო, Веберъ, 428.

იყო როგორც მაღალის გონებით, ისრე ძლიერის ხასიათით. დიდ-ბუნებოვანი მეფე გონების თვალით სწვდებოდა ყოველგვარ ცხოვრების გარემოებას, ხოლო ხასიათის სიმტკიცით ებრძოდა და სპობდა ხელის შემშლელ და საქვეყნო საქმის შემაფერხებელ დაბრკოლებას. მართალია, ზოგჯერ თვით ცხოვრების მსვლელობა უადვილებდა მეფეს მძიმე საქვეყნო ტვირთს, მაგრამ მაინც დიდი გონებრივი და ზნეობრივი ძალა იყო საჭირო ამის საზიდველად.

საზარელ უბედურებასა და გაჭირვებაში იმყოფებოდა საქართველო იმ დროს, როცა დავით აღმაშენებელი დაჯდა სამეფო ტახტზე. სახელოვანმა კუროპალატმა დავიტმა დაიწყო საქართველოს გაძლიერება, შემდეგ ბაგრატ მესამემ და ბაგრატ მეოთხემ დიდი ღვაწლი დასდეს თავის სამეფოს, სახელი და პატივი მოუპოვეს, მაგრამ საისტორიო ასპარეზზე ახალი მტერი გამოუჩნდა ამ სამეფოს და მცირე დროის განმავლობაში დაამხო მისი ძლიერება, მოსპო მისი ბედნიერება. ახალი მტერი **სელჩუკები** იყვნენ. ძველადვე, კასპის ზღვის აღმოსავლეთით, სცხორებდა თურანელ მოდგმის მაწანწალა ხალხი, რომელსაც თურქებს

ანუ თურქმენებს უწოდებდნენ. ამ ხალხის ერთად-ერთ საქმეს პირუტყვის მოშენება შეადგენდა. სამკვიდრო ბინას მოკლებული თურქი თავის სიცოცხლეს ცხენზედ და კარავში ატარებდა. თურქები განთქმულნი იყვნენ ვაჟკაცობითა და მამაცობით. როცა ხალიფის ბატონობა შეირყა და იმის სამფლობელოში უწესოება ჩამოვარდა, ეს გარემოება თურქებმა მარჯვედ გამოიყენეს _ მიჰყვეს ხელი ხორასნისა და ამურ-დარიის რბევას. დიდი საძოვარი ადგილები დაიჭირეს. მალე ასტყდა მუდმივი მტრობაც ხალიფის მოადგილეთა შორის. თურქები ხან ერთს მხარეს ჰშველოდნენ, ხან მეორეს. ამათ შემწეობაზედ იყო დამოკიდებული სამეფო გვარეულობისა და ხალიფის მოადგილეს ბედი. ამის გამო თურქების მნიშვნელობა და გავლენა წელნელა მატულობდა. ბოლოს, მეათე საუკუნის დამლევს, საქმე ისე დატრიალდა, რომ იმათ მთავარმა **სელჩუკმა** კირგიზის ხანის ბატონობა უარჰყო და სპარსეთში დაარსა საკუთარი, დამოუკიდე-

ბელ სამთავრო, რომელიც დიდს სამფლობელოს წარმოადგენდა [1]). იმ დროს სპარსეთში განათლება ჰყვავოდა. სალჩუკებმა მაჰმადიანობა მიიღეს და შეუდგნენ სპარსულ განათლების შეძენას, შეითვისეს სპარსთა ზნე-ჩვეულება, მათი მოქალაქებრივი ცხოვრება, ენა სალჩუქნი ყველაფერში ჰბაძავდნენ სახელოვან ბუიდებსა და გაზნავიდებს, იმათ მსგავსად დიდს მფარველობას უწევდნენ განათლებას. ამ მიზეზის გამო სალჩუკის გვარეულობა განითქვა მთელ აღმოსავლეთში და მსწრაფლად უპირატესობაც დაიჭირა. საქებარ მხნეობის გარდა, სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყო სალჩუკის შთამამავლობის გაძლიერებას. მაშინ პირველ და შესანიშნავ გვარეულობას **გაზნავიდები** (გაზნელნი) შეადგენდნენ. მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ამ გვარეულობასაც მალე მოეღო ბოლო. შემდეგ მაჰმადის სიკვდილისა (998 – 1030 წ.) გაზნელთა სამეფოში ამბოხება დაიწყო. სალჩუკის შვილის-შვილმა თოგრილბეგმა, რასაკვირველია, ამ შემთხვევით ისარგებლა და მცირე დროის განმავლობაში, რაკი წინააღმდეგი არა ჰყავდა, განადიდა თავისი სამფლობელო, ისპაანი დაიპყრა და თავისი თავი სპარსეთის სულ-

ტანად აღიარა. თოგრილბეგი მეტად გულ-მხურვალე მაჰმადიანი იყო. თავის სარწმუნოებას ავრცელებდა, მრავალ მიზგითს აშენებდა. ბაღდადის ხალიფმა უყურადღებოდ არ დასტოვა. მართლ-მორწმუნე მაჰმადიანის ღვაწლი და, რადგანაც სასალი ფოში შფოთი და შუღლი არ სცხრებოდა, თოგრილბეგს მიჰმართა შემწეობისათვის, იმას ჩააბარა მთელი თავისი საბძანებელი და უბოძა ეგრედ წოდებული **ამირ-ალ-ომარობა,** რომელიც ხალიფის მოადგილეობას ჰნიშნავდა და უმაღლეს გამგეობას წარმოადგენდა [2]). ამ დროდგან სალჩუკის გვარი შეიქმნა მთელ აღმოსავლეთის ბატონად, სალჩუკთა ხელში ჩავარდა საქრისტიანოს ბედ-იღბალიც. ვერც საქართეელო გადურჩა იმათ მახვილსა. თოგრილბეგის ძმის-წული და იმისი მემკვიდრე ალპ-არსლანი.

---

[1]) Веберъ, 446 – 8. სალჩუკთა ვინაობის შესახებ საყურადღებო ცნობები ნახე Всещбщая Исторія Вардана Великаго, стр. 118, примѣч. 446 – 452.

[2]) Ф. Шлоссеръ, 640 – 42; Веберъ, 442. თითონ ხალიფი სასულიერო საქმეებს განაგებდა, ამირ-ალ-ომარი – სამოქალაქოს.

თანამედროე იყო სახელოვანის ბაგრატ მეოთხისა და დიდი ტანჯვა მიაყენა ჩვენს სამშობლოს. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი არ მოიპოვება ისეთი გულ-ქვავი ბარბაროსი, როგორც ალპ-არსლანი იყო. იმის ველურ ხასიათს ეს მაგალითიც ამტკიცებს: ქალაქ ანის აღების შემდეგ, ძლევა-მოსილმა ალ-არსლანმა დიდი ორმო გაათხრევინა, ათას კაცს ყელი გამოსჭრა, ამათი სისხლი ორმოში ჩაასხა და მერე შიგ იბანავა, _ ეს მსხვერპლი შემიჭირავს ჩემის მკვდრებისთვისო [3]). ქრისტიანობის მძულვარებით აღზნებული მტერი დიდის ჯარით შემოესია საქართველოს. ცეცხლი და მახვილი მოედო ახლად აყვავებულ სამეფოს. მაჰმადიანობას ჰსურდა შთაენთქა ქრისტიანობა, ალპ-არსლანი მკვიდრთ ძალას ატანდა – მაჰმადი იწამეთო. მამა-პაპეულ სარწმუნოებისათვის თავ-განწირულნი ქართველნი საოცარის სიმამაცით წინააღუდგნენ მოსისხლე მტერს და თვით მსოფლიო ისტორია ჰღაღადებს, თუ რა ვაჟ-კაცურად იცავდნენ ტაძარ-მონასტრებს და რა მედგრად ებრძოდნენ

ალპ-არსლანსა [4]). მაგრამ გამარჯვება მაინც სალჩუკებს დარჩათ.

ალპ-ასრლანს თურქესტანში საქმე გაუჩნდა და თითონ იქ წავიდა. საქართველოს აოხრება და დაპყრობა თავის შვილს მელიქ-შაჰს მიანდო. შემწეობა და ხსნა არსად იყო. წინად, გაჭირვების დროს, ქრისტიანობისათვის წამებული საქართველო ბიზანტიაში ჰპოვებდა მფარველობას, მაგრამ მაშინ თვითონ ბიზანტიას ესაჭიროებოდა სასოება და დახმარება. სალჩუკებმა მცირე აზიაში მსწრაფლად შემუსრეს ბერძნების ბატონობა. ამას გარდა, ბიზანტიის შინაური მდგომარეობაც არ იყო სანუგეშო. თუმცა დიდის კონსტანტინეპოლის სრა-სასახლე თავის სიმდიდრითა და მორთულობით ჰხიბლავდა გარეშე მაყურებელს, მაგრამ სახელმწიფოს განაგებდნენ გარყვნილნი სასახლის დედა-კაცნი და ზნეობრივი განხრწნილება არსებობდა მთელ იმპერიაში. ერთის იმპერატორის მოკვლა და მეორესი ძალად ტახტზედ აყვანა თითქო ჩვეულებად გარდაიქცა,

---

[1]) Варданъ Великій, 127.

[2]) Ф. Шлоссеръ, 643.

შეთქმულობა თითქო რჯულად დაიდო. სამეფო სასახლის კაცთა ცბიერება და ლაქუცი გამეფდა და ამ ზნეობის დამამცირებელმა ქცევამ განდევნა პატიოსნება და კეთილ-შობილება. სიღარიბისაგან ხალხი დრტვინავდა და ჰგოდებდა, ხოლო მდიდარი დიდკაცობა განგებ პურს აძვირებდა, – ეგებ უფრო მეტი გამოვსწოვო უიმისოდაც ხარჯით დატვირთულ მდაბიო საზოგადოება საო [5]). იმპერატორებს ხალხის ვაი-ვაგლახი და უბედურება არაფრად მიაჩნდათ. იგინი უფრო მკვდარს სქოლასტურ სწავლას ეალერსებოდნენ და ბეჯითად ჰპატრონობდნენ, – კონსტანტინე მეათეს და მიხეილ მეშვიდეს წიგნები გარშემო ეწყოთ და კითხვით თვალებს იწყალებდნენ [6]), თითქო მარტო ეს-ღა იყო საჭირო სამეფოს დასაცველად!... უეჭველია, რომ ასრე მოშლილი და დაძაბუნებული სამეფოს ვერას გახდებოდა მხნეობითა და ძალ-ღონით სავსე სალჩუკებთან და ამიტომაც ბიზანტიას მალე გამოეცალა ხელიდან მცირე აზია. მაგრამ ამას

ვინღა სჩიოდა. ჩრდილოეთითაც სხვა ბარბაროსნი არ ისვე-ნებდნენ. პაჭანაღებმა, მაგ., სრულად ააოხრეს ფრაკია და მაკედონია: პატივ-ახდილს იმპერიას არც ნორმანები და ბოლ-გარები ეპყრობოდნენ რიდითა. ხანდახან ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ მტრებს ეჭირათ მთელი იმპერია, სატახტო, ქალაქისა და ლაშქრის ბანაკების გარდა. ალექსი კომნი-ნოსის დროს თურქებმა ჰელესპონტამდე უწიეს და მტრის კარავი იმპერატორის სასახლის ფანჯრიდან და წმ. სოფიოს ტაძრის კედლიდან მოსჩანდა. დასასრულ, თუ სადამდე დამცი-რდა ოდესმე ძლიერი ბიზანტია, იმპერატორის რომანოზ დიო-ღენის ტყვედ წაყვანა ამტკიცებს: ალპ-არსლანმა ომში დაამა-რცხა იმპერატორი, ხელთ შეიპყრა, მონების ნიშნად ტყვის ტანისამოსი ჩააცვა, მერე ცალიერ მიწაზე დააწვინა და კისე-რზე ფეხი დაადო [7])... ჩვენი მატიანეც ჰმოწმობს ბიზანტიის დაუძლურებას და ამბობს, _ მეფე გიორგის მეორის დროს, „ძა-

---

[5]) Веберъ, 411 _ 12.

[6]) ibid. 427.

[7]) ibid. 413 _ 28, 448 _ 9.

ლი ბერძენთა შემცირებული იყო“, ბერძენთა დასტოვეს „ქვე-ყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქო-ნდეს, და წარვიდესო“ [8]).

როცა ბერძნებმა მცირე აზია დასტოვეს, საქართველოს ერთი ზღუდე მოეშალა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტერს. მაგრამ ქართველებმა მაინც არა ჰგმეს თავისი სარწმუნოება და ამიტომ ალპ-არსლანმა ბძანა, განსხვავებული ნიშანი დაიკერონ-ტანთსაცმელზეო. ალბად იგი ნიშანი სამარცხვინო რამე იქნე-ბოდა. საქართველოს არ აკმარეს ერთ გზით შემოსევა და აოხრე-ბა. სალჩუკნი ჟამითი-ჟამად არბევდნენ ჩვენს ქვეყანას. ალპ-არ-სლანი გარდაიცვალა 1072 წელს, სწორედ იმ დროს, როცა მეფე გიორგი მეორე ტახტზე ავიდა [9]). იმის ხკვდილს სასი-კეთო არა მოჰყოლია-რა. თურქნი თავისას არ იშლიდნენ და ზედი-ზედ ხმლით იღებდნენ სხვა-და-სხვა საერისთაოს. მართა-

ლია, ახალი ბატონი მელიქ-შაჰ, ალპ-არსლანის შვილი, ხასიათით და გულით მამას არა ჰგავდა; უფრო ლმობიერად ექცეოდა ქრისტიანებს და, ასე გასინჯეთ, მღვდლებსა ღა ბერებს ავალებდა, ილოცეთ და ღმერთს შემავედრეთ, _ გამარჯვება არ მამაკლოსო [10]), მაგრამ საქართველოს იმის ხელშიაც ვაება და მწუხარება არ მოჰკლებია. მეფე გიორგი მეორე უშიშრად და მედგრად ებრძოდა უთვალავს მტერს, მაგრამ ბოლოს ღონე აღარა ჰქონდა და აფხაზეთში შეეფარა. სალჩუკნი მიესივნენ-მთელ საქართველოს. თორმეტი წლის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. მტრებმა დაარღვიეს, მრავალი ტურფა ტაძარ-მონასტერი, მშვენიერი ეკლესიები ცხენების ბინად გარდაჰქმნეს, „საკურთხეველნი ღვთისანი“ გარდააქციეს „სადგურად არა წმინდებისა მათისა“, წირვა-ლოცვის დროს შეუბრალებლად ჰკლავდნენ ეკლესიის მსახურთა, მოხუცთა ჟლეტდნენ,

---

[8]) ქ.-ცბა, I. 237 _ 8.

[9]) ალპ-არსლანი მოჰკლა ვიღაცა უსუფმა, მუცელში ხანჯალი ჩასცა. ამ უსუფს ღალატს აბრალებდა. თუმცა ალპ-არსლანი თავის დროს პირველი მოისარე იყო, მაგრამ ისარი გაადინა და მოღალატეს მსხვერპლი შეიქნა, Веберъ, 448-49.

[10]) Варданъ Великій, стр. 121, пр. 461; стр. 129 – 30.

ქალწულთა შეურაცყოფდნენ, ბავშვთა და ყრმათა ძალად „წინა-დაცვეთას“ აღებინებდნენ. მატიანის თქმით, ეგეთი უბედურება საქართვლოს ჯერ არ ენახა, არ გამოეცადა „ეგეთი ჭირი შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა, სმენილთა“ [11]). ტყე, კლდე, ღრე, ხვრელი ხალხს ველარ იფარავდა. მტრის მახვილი და ისარი ყოველ ადგილს სწვდებოდა. ბევრნი გაიხიზნენ მთებში, მაგრამ, რაც მტერმა ვერ შეიძლო, ის ბუნების მრისხანებამ ჰქმნა: ცივმა და სასტიკმა ზამთარმა, შიმშილმა და უსახლკარობამ მრავალი ხალხი გასწყვიტა. რასაკვირველია, ასეთს მდგომარეობას მოჰყვა ქვეყნის გავერანება. ცხოვრების მაჯის ცემა თითქო შეჩერდა, მუშაობა და მეურნეობა შესწყდა, საქართველო მხეცთა ღა ნადირთა სადგურად შეიქმნა. ღვთისა და მტრის რისხვა თითქო ამასაც არ დასჯერდა: 1088 წელს „რყევა ქვეყნისა“ იყო, მიწის ძვრამ

მრავალი ქალაქი და სოფელი დაარღვია, თვით მთანი და კლდენი „სახედ მტვრისა“ აქცია, დაგალნა [12])... ჯერ ისევ წინად საქართველოს მეფე მელიქ შაჰს ეახლა სპარსეთში, მორჩილება გამოუცხადა და ხარჯის ძლევა იტვირთა. ახალმა ბატონმაც თავისი ქვეშევრდომი წყალობით მიიღო [13])... მაგრამ იგი წყალობა ვერაფერს უშველიდა აოხრებულს ქვეყანას.

ასეთს დროს გამეფდა დავით აღმაშენებელი. იგი ჯერ ისევ ჭაბუკი იყო. მაგრამ გენიოსისთვის ჭაბუკობაც სრულწლოვანებაა, ხოლო კაცუნა მეფე ყოველთვის ჭაბუკია. გენიოს ჭაბუკს ცხადად წარმოდგენილი ჰქონდა სამეფოს მდგომარეობა, იცოდა, რა იყო საჭირო და რომელ გზას უნდა დასდგომოდა. მართალია, მტრისგან დაჩაგრული საქართველო საშინელს სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ქართველობა მაინც სულით არ იყო დაცემული და საკმაო ზნეობრივი ძალა მოეპოებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ერის გამხნევება, სასოებისა

---

[11]) ქ.-ცხ., 238 – 40.

[12]) ქ.-ცხ., გვ. 239. ამ მიწის ძვრაზე სომეხთა მეისტორიენი არას ამბობენ, Hist. de la G. I. 350 n. 3.

[13]) ქ.-ცხოვრება, გვ. 288; Варданъ Великій, 132.

და იმედის აღდგენა. ხოლო ეს მაშინ შეიძლებოდა, როცა მეფის კვერთხი ჯეროვანს პატივსა და დიდებას შეიძენდა. დავით აღმაშენებლის მამა უთოსნო და დაუდევარი კაცი იყო. სულტანმა, ისპაანს ყოფნის დროს, ყოველივე თხოვნა აუსრულა, კახეთ-ჰერეთი მისცა და ჯარიც გამოაყოლა დასაპყრობლად, მაგრამ გიორგი მეფემ, უხასიათობის გამო, ამ საქვეყნო საქმეს აჯამეთში ნადირობა ამჯობინა. იმის დროს სამეფო ტახტს თავისი მნიშვნელობა და ძალა დაეკარგა, მეფობას გავლენა მოაკლდა და ამის უმთავრესი მიზეზი მეფის სუსტი ხასიათი იყო. იქმნება ამიტომაც ნადირობის მოყვარულმა მამამ სიცოცხლეშივე გარდასცა მძიმე სამეფო კვერთხი ენერგიით და თვითმოქმედებით შემკულს შვილს. გარემოება თხოულობდა, უპირველეს ყოვლისა, მეფობის უფლება და ღირსება ადგენილ-

იყო და ჭაბუკმა გვირგვინოსანმაც წინადვე ამას მიაქცია ყურადღება.

რასაკვირველია, მარტო გიორგი მეფის სუსტმა ხასიათმა არ დაამცირა მეფობა. აქ თურქთ ბატონობასაც გავლენა ჰქონდა. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ დავით აღმაშენებელმა უმალ სცნო ეს დამცირება და პირველადვე მიანიჭა მეფობას კუთვნილი დიდება და ღირსება, რომელიც წინად არ ყოფილა, განახორციელა ეგრედ წოდებული **თვით-მპყრობელობა**. ბაგრატ მესამემ და ბაგრატ მეოთხემ საქართველო შეართეს და სამეფო ტახტსაც გავლენა და მორჩილება მოუპოვეს, მაგრამ იმათი მეფობა მაინც თვით-მპყრობელობას მოკლებული იყო. საქართველოს შეერთებაც უფრო გარეგანს კავშირს და ფორმას წარმოადგენდა და იმ შეერთებას არ ჰქონდა ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ნამდვილ თვით-მპყრობელობისგან მომდინარეობს. დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლიც, სხვათა შორის, ის არის, რომ თვით-მპყრობელობაზე დაამყარა საქართველოს დიდება. მართალია, წინადაც მეფე თვით-მპყრობელად იწოდებოდა, მაგრამ ეს მარტო ცალიერს სახელს შეადგენდა. მეფობის დაარსებიდან დავით აღმაშენებლამდე საქართველოს არასოდეს თვით-მპყრობელობითი მეფობა არ უხი-

ლავს, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ამ მოვლენისა ის იყო, რომ ჩვენს სამშობლოს ხშირად უცხოელთა ბატონობა სჩაგრავდა და შინაური თავისუფლება არა ჰქონდა. ჯერ ისევ ვიდრე მეფობა დაწესდებოდა, საქართველო ასურეთს ემორჩილებოდა, – ამას ამტკიცებს ზღაპრული გარდმოცემა სემირამიდის მოსვლის შესახებ [14]). თვით ფარნავაზ მეფე იმავე ასურეთს ექვემდებარებოდა. მერე საქართველოს ბატონობდნენ სპარსეთის სასიანები და რომაელნი. რომის იმპერატორს უნდა დაენიშნა და დაემტკიცნა საქართველოს მეფე [15]). იმათ შემდეგ ბიზანტიელებმა მოიპოვეს გავლენა და მავრიკი იმპერატორმა ბაგრატიონთა გვარის დამაარსებელს მეფის სახელიც კი არ აკადრა და მამფალი უწოდა [16]). არაბების დროს ხომ სრულიად დაირღვა და დაიქსაქსა საქართველოს პოლიტიკური წყობილე-

ბა, მოიშალა მეფობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა თავისებური, ადგილობრივი ერის მმართველობა, მაგ., **ქორიკოზობა, მამფლობა, მთავარ-ერისთავობა.** მართალია, არაბების დროსვე, აფხაზეთში დაარსდა ახალი მეფობა, მაგრამ არც იგი ყოფილა სრულიად დამოუკიდებელი და თვით-მპყრობელობით შემოსილი. ეს ბიზანტიას არ ეპრიანებოდა. მაგრამ თავის უნებურად ბიზანტიამ გავლენა იქონია საქართველოს სამეფო თვით-მპყრობელობის დაარსებაზედ. არაბთა ბატონობის დროს ჩვენი ქვეყანა ძლიერ დაუახლოვდა ბიზანტიას, მათ შორის მჭიდრო გონებრივი კავშირი დაარსდა და ამის გამო ქართველობა აქ იძენდა საპოლიტიკო სწავლას და იქიდან გადმოჰქონდა სამშობლოში ბიზანტიის ძირითადი სახელმწიფო მოძღვრება – თვით-მპყრობელობა. მეტადრე სასულიერო წოდებამ დიდი ღვაწლი დასდო ამ მოძღვრების გავრცელებას, ასე რომ დავით აღმაშენებლის დრომდე თვით-მპყრობელობის აზრმა ნელ-ნელა

---

[14]) თეიმურაზის ისტორია, 64 – 8. შემდეგ, აქამენიდების დროს, საქართველო სპარსეთის სატრაპიას შეადგენდა, დი ბაქრაძის ისტორია, 27.

[15]) ნიზიბის ხელშეკრულობის გამო, Баратовъ. I. 88; იგივე ავტორი ამბობს, რომ ხელშეკრულობას ძალა არა ჰქონდაო, II. стр. 82, მაგრამ არ ამტკიცებს.

[16]) ibid.

გზა განიკაფა საქართველოს ნიადაგზე და განსახორციელებლად მხოლოდ ელოდა უდიდეს მეფეს, რომელსაც, მატიანის თქმისამებრ, დამდაბლებული კვერთხი მეფობისა ისე მაღლა მბრძა) როგორადაც სხვას ვერავის... [17])

დიაღ, დარღვეულ საქართველოს აღსადგენად საჭირო იყო ძლიერი სამეფო კვერთხი. ვიდრე ეს კვერთხი აღემართებოდა, ქართველობა თითქო ვერა ჰბედავდა სამოქალაქო ცხოვრებას-მთაში და ციხეებში იმყოფებოდა და ველად გამოსვლა არ შეეძლო. მტერმა და შინაურმა უწესოებამ თავს ზარი დასცა საზოგადოებას, სამეფო აჩრდილად გარდაიქცა. დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა დიდებულნი და აზნაურნი, ამცნო მეფის უზენაესი უფლება და მოვალეობა და შემდეგ დაიწყო

ხალხის დაბინავება, სამეფოს აღშენება. ოთხი წელიწადი მოუნდა ამ საქმეს [18]). დაბინავებულ ერს წესისა და რიგის აღდგენაც ესაჭიროებოდა და ეს მით უფრო, რომ მტრის ბატონობამ ზნეობრივადაც დაარღვია საქართველოს სამეფო. მეფე მაშინ მეფობს, როცა იმის ნებას ასრულებენ, მისგან და დგენილ წეს-წყობილებას ემორჩილებიან. ხოლო ასე არ იყო, როცა დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე დაჯდა. შინაური უწესოება და ურჩობა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა და უკანასკნელ პატივს უსპობდა უიმისოდაც დამცირებულ მეფობას. რასაკვირველია, კვერთხის მაღლა ამპყრობელმა მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და პირველად „შინაურს მტერს“ მიმართა. ასეთი მტერი იყვნენ ტახტის ურჩნი მთავარნი და ერისთავნი. მათი სილაღე ღა კადნიერება შფოთს ჰბადავდა, ხალოხის ცხოვრების წარმატებას აფერხებდა და მტრის ბატონობასაც ხელს უწყობდა. დავით აღმაშენებელს ყოველივე ეს ბოროტება ცხადად წარმოდგენილი ჰქონდა და ამიტომ თვით-მპყრობელობის განსამტკიცებლად ტახტს ჯერ მოქიშპე და ქედ-მაღალი მთავარ-ერისთაობა დაუმორჩილა.

---

[17]) ქ.-ცბა, 255, 261.

[18]) ibid. 240.

საქართველოს წარსული ცხოვრება ამტკიცებს, რომ ეგრედ წოდებული ერისთაობა ყოველთვის აბრკოლებდა მეფობის აღორძინებას. სულ პირველადვე ერისთაობა მოწინააღმდეგე შეიქმნა მეფობისა და ეს მოვლენა აღნიშნა ჯერ ისევ სტრაბონმა [19]). საქმე ისაა, რომ ერისთავი თითქმის დამოუკიდებელი გამგებელი იყო, ყოველგვარი უფლება და ძალა მინიჭებული ჰქონდა და თავის საერისთაოში პაწია მეფეს წარმოადგენდა. აქ არის მიზეზი, რომ ერისთაობას არასოდეს არ ეპრიანებოდა ტახტის ძლიერება და, როცა ასეთს ძლიერებას შენიშნავდა, ურჩობისა და ამბოხების გზას მისდევდა. ამ შინაურს მღელვარებას დიდი ზიანი მოჰქონდა და პოლიტიკურად ასუსტებდა სამეფოს. ძალა და ღონე უმეტეს ნაწილად

შინაურს მტრობაზე იხარჯებოდა და შურით სავსე მეზობელ-
საც ეს ესიამოვნებოდა. სპარსეთმა და ბიზანტიამ კარგად იცოდა,
თუ რა სენსა და ჭირს შეადგენდა საქართველოსათვის ერის-
თაობა და სწორედ ამიტომაც დაადგინეს, ერისთაობა სამკვიდ-
რო საკუთრებაა და მამის შემდეგ შვილს გარდაეცესო [20]).
მართალია, ჩვეულებისა და კანონის ძალით მეფეს შეეძლო
უღირს მემკვიდრესათვის ერისთაობა არ ებოძა, მაგრამ თვით
ესეთი მეფის უფლება წინააღმდეგობას ჰბადავდა ერისთავთა
შორის. ღირს-შესანიშნავია, რომ თუმცა ასე იყო, მაგრამ
მაინც საქართველოს მეფენი ნდობით უცქეროდნენ ამ დაწე-
სებულების. მაგ., ლევან მეორემ დაარსა თუ არა აფხაზეთის
სამეფო, მაშინვე რვა საერისთაოც დააწესა [21]). ერისთაობა
მიუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, თითქო სამეფოს არსე-
ბობა უიმისოდ შეუძლებელიაო და ეს ალბად იმიტომ, რომ

---

[19]) დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, 113. სტრაბონი ამბობს, კოლხი-
დის მეფეებს თითონვე დაუმცირებიათ თავიანთი ძალა, რომ მრავალ ბატონებისა-
თვის ჩაუბარებიათ ქვეყანაო. ერისთაობა და სხვა წესი, რომელიც ფარნაოზმა
დაამყარა, ინდოეთის საზოგადოებრივს წყობილებას მიაგავსო, მაგრამ ჩვენი საკუ-
თარი ეროვნული ნაყოფი უფრო იყოო, ამბობს დ. ბაქრაძე, ibid 68 – 9, 81‘
118 – 19.

[20]) Баратовъ, II. стр. 37.

[21]) Баратовъ, III. 6 – 7.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება მთლად ფეოდა-
ლობაზე დამყარდა, ხოლო ფეოდალობის ბურჯი ერისთაობა
იყო. დავით აღმაშენებლის წინა დროს ერისთაობა მეტად გა-
ლაღდა, მთავარნი გამრავლდნენ, აზნაურნი გაძლიერდნენ [22]).
და თუ სადამდე მივიდა მძლავრის ფეოდალობის კადნიერება,
ლიპარიტის მოქმედება ამტკიცებს. ამ მთავარმა ბაგრატ მეოთ-
ხე აფხაზეთში განდევნა და თითონ განაგებდა სამეფოს. ბი-
ზანტიას, რასაკვირველია, ლიპარიტის მხარე ეჭირა [28]), რად-
განაც საქართველოს მეფის დამცირება სასარგებლო იყო იმ-
პერატორისათვის. სალჩუკების ბატონობამ ხომ უფრო ხელი
შეუწყო საქართველოს მთავართა ურჩობას და თავ-გასულო-
ბას. მეფობის სისუსტეზე დაფუძნდა ერისთაობის ძლიერება.

მეფე გიორგი მეორეს განუდგნენ ნინია ქვაბულიძე, იოანე ლიპარიტისძე და სვანეთის ერისთავი ვარდან. მეტადრე მედგარწინააღმდეგობას იჩენდა იოანე ერისთავი, რომელმაც მეფე გიორგის სამჯერ „აუშალა ქვეყანა.“ თავისი ძალ-ღონე მეფემ აშლილ ქვეშევრდომთა დამშვიდებას შეალია და ეს მაშინ, როცა სამშობლოს მძვინვარე მტერი თავს ეხვია და სიცოცხლეს უსპობდა [24]), მაგრამ გიორგი მეფემ მაინც ვერ დასთრგუნა მოღალატე ერისთაობა.

დავით აღმაშენებელსაც განუდგა ამირ ლიპარიტი, თრიალეთის და კლდე-კარს ბატონი, ძლიერი და დიდად გავლენიანი ერისთავი [25]). ლიპარიტი იყო წარჩინებულის შთამომავლობისა და მრავალ ყმა-მამულის პატრონი. ეს უფრო აქეზებდა გულ-დიდს ზვავს ერისთავსა, რომლის გვარი წოდებულია **ბაღვივაშად**. ამბობენ, ბაღვივაშნი ორბელიანები იყვნენო [26]) და ორბელიანთა გვარი წარმოსდგა იმ თურქთაგან, რო-

---

[22]) Hist. de la G I. 258, 274 ∂etc.

[23]) Варданъ Великій, 123, 125.

[24]) ქ.-ცბა, 235.

[25]) Chron. arm-ში ლიპარიტის მაგიერ მოხსენებულია შეცდომით იმის მამა იოანე, 57. შეადარე H. De la G. 352 n 2.

[26]) Hist. De la G. I. 353 n 2.

მელნიც ჯერ ისევ მამასახლისობის დროს მოვიდნენ და საქართველოში თაესახლნენო [27]). ძველად ბაღვივაშნი **ლიპარიტის-მეება-**დაც იწოდებოდნენ. მატიანეში მოხსენებულთა, რომ ლიპარიტმა, აფხაზეთის მეფის ადარნასეს დროს, დაიპყრა თრიალეთი და ააშენა კლდეკარის ციხეო. ეს ის ლიპარიტია, რომელიც მეცხრე საუკუნის დასასრულ იღვწოდა და პირველად ამ სახელით იხსენება საზოგადო ასპარეზზედ [28]). გარემოებამ და თვით ლიპარიტების პირადმა მხნეობამ განაძლიერა იმათი შთამამავლობა, ბაგრატ მესამის დროს ამ გვარმა საქართველოში დიდი გავლენა მოიპოვა და დიდება მოიხვეჭა [29]). შემდეგ თანდათან უფრო ძლიერ განითქვა და ისე მძლავრი შეიქმნა, რომ ერთი ამ გვარის წარმომადგენელი, სახელოვანი სარდა-

ლი ლიპარიტ ბაგრატ მეოთხეს ებრძოდა და ჯარში შვიდი ათასი საკუთარი ყმა ჰყავდა [30]). სამწუხაროდ, ლიპარიტის ძენი თავიანთ საოცარს ვაჟ-კაცობას და მხნეობს სამშობლოს სავნებლად ჰხმარობდნენ. იმათი საერისთაო თრიალეთი და შესანიშნავი ციხე **კლდე-კარი** ღალატისა და შეთქმულების ბუდე იყო. გარეშე მტერი ხშირად ლიპარიტის ძეთა შემწეობით არბევდა და აოხრებდა საქართველოს. გასაკიცხი უფრო ისაა, რომ ლიპარიტის ძეთა ქვეყნის ორ-გულობას მაშინ მიმართეს, როცა მეფეებმა დაიწყეს სამეფოს გაერთიანება და აღორძინება. თითონ იმ დროს, როცა მელიქ-შაჰ შემოესია საქართველოს, იოანე ბაღვივაში და იმისი შვილი ლიპარიტ ეახლნენ ძლევა-მოსილს სულტანს. ლიპარიტმა მაჰმადიანობა მიიღო და ამის გამო სულტანმა უბოძა ამირობა. უკვე შევნიშნეთ, რომ ამირ ლიპარიტმა დავით აღმაშენებელის ღალატიც მოინდომა, მაგრამ...

ჯერ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. მელიქ-შაჰ მოწყალე იყო ამირ ლიპარიტისა და იქნება იმიტომაც განიძ-

---

[27]) ibid. n. 2, 4. ვახუშტის ისტ. 24, შენიშვნა 2. ბარათაშვილი ამბობს ორბელიანები ჩინეთიდან გადმოსახლდნენო, III стр. 16.

[28]) H. de la G. I. 270 n. 5, 11.

[29]) ibid. 296 – 7 n. 1.

[30]) დ. ბაქრაძის მონოგრაფია „საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე.“ ვახუშტის ისტორია, გვ. 159, სხოლიო.

რახა ერისთავმა მეფის ღალატი. მაგრამ სულტანი სწორედ მაშინ მოკვდა, როცა ლიპარიტი უკეთურებას დაადგა. მელიქ-შაჰ მოწამლა საკუთარმა ცოლმა თურქან ხათუნმა [31]). იმას ორი ცოლი და ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა. ვეზირი ნიზამ-ალ-მულქი ურჩევდა, მემკვიდრედ უფროსი შვილი ბარქიაროქი დანიშნეო, მაგრამ თურქან ხათუნს ჰსურდა, იმისი ნაშობი ოთხის წლის ვაჟი მაჰმუდი აღმოსავლეთის მბრძანებლად შექმნილიყო და ამიტომ ჯერ ვეზირი დაითხოვა სამსახურიდან და მერე მოხუცს ქმარს მოუღო ბოლო [32]). სულტანის სიკვდილის შემდეგ უკუღმა დატრიალდა იმის უზარ-მაზარ სამეფოს ჩარხი. აღმოსავლეთს მოაკლდა ბრძენი სულტანი, აღარა ჰყავდა დიდებული

ვეზირი ნიზამ-ალ-მულქი, რომლის სახელი ეხლაც კი ვარსკვ-
ლავივით ბრწყინავს მთელს აზიაში. ტახტზე დაბძანდა უსუსური
ბავშვი და თანაშემწედ გვერდით მოუჯდა დედა თურქან ხათუნ.
ძმებმა არ ინებეს ბალღის მაჰმუდის სულტანობა და მტრო-
ბა დაუწყეს. პირველად უფროსი ძმა ბარქიაროქი აღიმხედრა
და აშალა ქვეყანა, სძლია უსუსურ მეტოქეს და თითონ დაიპყ-
რა სამეფო ტახტი. არეულობა ამით არ გათავდა. ბარქიაროქის
ძმებმაც და ბიძა თუთუშიმ ხმალს ხელი იკრეს და ასტყდა სის-
ხლის ღვრა. აღმოსავლეთი შეირყა და დიდხანს მოსვენება.
აღარა ჰქონია შინაურ ომიანობისაგან 33). უეჭველია, ასეთს
დროს ქართველ მოღალატე ერისთავს სულტანისაგან მინიჭე-
ბული ამირობა ვერაფერს უშველიდა. სპარსეთს თავისი დარდი
ჰქონდა. როცა ლიპარატი „მამულ-პაპურთა კვალთა სვლას“
დაადგა, დავით აღმაშენებელმა შეიპყრა იგი და დააპატიმრა.
შემდეგ ერთგულობის ფიცი ჩამოართვა, ღირსება და მამული ისევ

---

[31]) Варданъ Великій, 134. ვარდანი ამბობს, – ერთი მაჰმადიანი ჰმოწმობს, ვითომ მელიქ-შაჰ ნადირობის დროს დაისიცხა და იმისგან მოკვდაო, ib. 150 пр. 522. სულტანი მოკვდა 1091ანუ 1092 წ. H. de la G. I. n. 1. Chrom. arm. 57. თუ ვეზერი მართალს ამბობს, რომ მელიქ-შაჰ მოკვდა 1092 წ. ნოემბერში, მაშინ დასიცხვა დასაჯერებელი არ არის, Веберъ, 450 – 51.

[32]) ოთხმოც და ცამეტის წლის მოხუცებული ნიზამ-ალ-მულქი გზაში მოჰკლეს. ერთის თთვის და ხუთის დღის შემდეგ მოკვდა სულტანიც, Веберъ, 450 – 51.

[33]) Ф. Шлоссеръ, 645. Варданъ Великій, 121, 134 – 5.

დაუბრუნა და გაანთავისუფლა. მაგრამ ლიპარიტ მაინც არ
დასცხრა. იმის მოუსვენარი და დაუდგრომელი ხასიათი ვერ იტა-
ნდა მორჩილებას. მეორედაც დაამარცხეს, მეფეს ორი წელიწა-
დი დაპატიმრებული ჰყავდა და მერე გაგზავნა საბერძნეთში,
სადაც გარდაიცვალა. ბაღვივაშთა გვარი-კი მაინც არ ამოწ-
ყვეტილა. ლიპარიტის შვილი რატი, „კაცი ორგული და ნამ-
დვილვე ნაშობი ექედნესი“, საქართველოში დარჩა. მატიანეში
არ არის მოხსენებული, – როგორ იქცეოდა „ორგული“ რა-
ტი, მაგრამ ცხადია-კი, რომ ბაღვივაშნი თითქმის ათის წლის
განმავლობაში მეფეს ჰღალატობდნენ. რატის სიკვდილის შემ-
დეგ, მეფემ „ლიპარიტეთი, უმკვიდროდ დარჩომილი“, გელა-

თის მონასტერს შესწირა [34]).

შინაური წესიერება დამყარდა და მეფემ დაიწყო სხვა უფრო დიდი საქმე, – საქართველოს გაერთიანება და გარეშე მტრის ბატონობის მოსპობა. შესანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის საქვეყნო მოღვაწეობაში ყოველთვის მოსჩანს საკვირველი საზრის და გონების თვალის შორს-მჭვრეტელობა. ესევე არ ითქმის იმის თანამედროე მელიქ-შაჰზედ, რომელსაც პოლიტიკური გამჭრიახობა აკლდა და რომელმაც საკუთარი ხელით საძირკველი გამოუთხარა თავის სამეფოს და ამით საქართველოს თავისუფლების გზა გაუხსნა. სულტანს განცხრომით ცხოვრება უყვარდა და უმეტეს ნაწილად სიცოცხლეს ნადირობასა და ქეიფში ატარებდა, სხვა-და-სხვა სანადირო ადგილას მრავალი მშვენიერი სასახლე ააგებინა და ორმოც და ათ ათასამდე ლამაზ ცხენს ინახავდა. რასაკვირველია, თითონ ვერ შეეძლო დიდის სამეფოს მოვლა და ამიტომ რამდენიმე ნაწილად გაყო. თვითოეული ნაწილი დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა. სამეფოს ასეთი დანაწილება შეიქმნა მისივე დასუსტების და დამხობის მიზეზად [35]). ამიტომაც სულტანის

---

[34]) ლიპარიტეთი არგვეთის მამული უნდა იყოსო, H. de la G. I. 353 n. 2 ჩვენი მატიანე ამბობს, რატის სიკვდილით «დასრულდა სახლი ბაღვივაშთაო», მაგრამ ე მართალი არ არის, ibid. რატი მოკვდა 1101 წელს, ზედა-ზენის აღების შემდეგ.

[35]) Шлоссеръ, 645.

სიკვდილის შემდეგ ამის სამეფოში უწესოება და ცილობა ჩამოვარდა. ეს გარემოება სასარგებლო იყო დავით აღმაშენებლისთვის. ერთმა მსოფლიო მოვლენამაც გავლენა იქონია საქართველოზე და ეს რაინდული სამეფო კაცობრიობის ისტორიულ ასპარეზზედ გამოიყვანა. თქვენც მიხვდებით, რომ იგი მოვლენა ჯვაროსანთა ომიანობა იყო.

ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყო 1096 წელს. როგორც ყოველ რთულ ისტორიულ მოვლენას, ისრე ჯვაროსანთა ლაშქრობასაც მიზეზად სხვა-და-სხვა გარემოება დაედო. ხოლო უმეტესად სარწმუნოებრივმა გრძნობამ გამოიწვია ეს მსოფლიო

მოვლენა. ჯერ ისევ მეოთხე საუკუნის ადრე ქრისტიანობაში ჩვეულებად დაიდო მაცხოვრის საფლავისა და სხვა წმიდა ადგილთა მოხილვა და იქ ლოცვა. მეათე საუკუნის დამლევს ხმა გავრცელდა, რომ მეორედ მოსვლა მალე იქნებაო. ამავე დროს მთელი ევროპის საზოგადოება მოცული იყო აღგზნებულის სარწმუნოებრივის გრძნობით და ამის გამო ურიცხვი ხალხი დაიარებოდა წმ. საფლავის სალოცავად, მაგრამ დიდს გაჭირვებასა და უსიამოვნებას ჰპოებდა. სალჩუკნი შეუბრალებლად ექცეოდნენ მლოცავ ქრისტიანებს და თვით იერუსალიმში ხომ იმათ ბარბაროსობას საზღვარი არა ჰქონდა. ქრისტიანებს წირვა-ლოცვას უკრძალავდნენ, იერუსალიმის პატრიარქი თმის თრევით გაჰყავდათ ტაძრიდან ღა საპყრობილეში ამწყვდევდნენ, შეურაცხებას და ბილწს სდებდნენ ყველას, რაც-კი ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ქრისტიანობისათვის და სხ. [36]). ევროპამ და საზოგადოდ საქრისტიანომ კარგად იცოდა ეს ამბავი და გულში მაჰმადიანობის მძულვარება უღვივდებოდა. ამას ზედ დაერთო სხვა გარემოებაც. იმ დროს რომის პაპიმ პოლიტიკური ძალა მოიხვეჭა და იმის სიტყვას დიდი გავლენა და გასავალი მიეცა. პაპი, რასაკვირველია, მალე მიხვდა, თუ რა სასარგებლო იქნებოდა წმ. პეტრეს ტახტის გასაძლიერებლად ჯვაროსანთა ომი და გულმხურვალედ შეუდგა ამ საქმის

[36]) Веберъ, 504 _ 8,

ქადაგებას. საბერძნეთის იმპერატორმა პაპის დესპანები გაუგზავნა და შველას სთხოვდა სალჩუკების წინააღმდეგ. პიაჩენცისა და კლერმონის კრებაზე პაპიმ ურბან მეორემ სიტყვა წარმოსთქვა, _ პალესტინა და იერუსალიმი უნდა გავანთავისუფლოთ ურწმუნოთაგანაო, და იმ სიტყვამ მთელი ევროპა ააღელვა, ფეხზე დააყენა. დიდი და პატარა, მდიდარი და გლახაკი, ბერი და ერი მცირე აზიაში მიეშურებოდა. პაპისაც ეს ჰსურდა, – ჯვაროსანთა ლაშქრობა დიდებასა და გავლენას ჰმატებდა [37]) და ყოველივე შემწეობა აღმოუჩინა ჯვაროსნებს. ევროპის რაინდობასაც გული ერჯოდა და ძლიერ მოსწონდა აღმოსა-

ვლეთზედ გალაშქრება. ეს საუკეთესო ვარჯიშობა უნდა ყოფილ-
იყო რაინდებისათვის, რომელთაც უყვარდათ იარაღის ტრიალი
და გმირული თავ-გადასავალი. ეგრედ წოდებულ ტრუბადუ-
რებმა, იმ დროის მგოსნებმა, ხომ უფრო ააპილპილეს რაინდო-
ბა სალაშქროდ. იმათი მუზა თუმცა ებრძოდა ბერულს და
საეკლესიო მიმართულებას, მაგრამ საჯვაროსნო ომიანობის
მომხრე იყო და რაინდებს აქეზებდა მაჰმადიანთა დასამხობ-
ლად [38]) აღმოსავლეთის მდგომარეობაც ევროპას თითქო გა-
ნგებ იწვევდა ბრძოლის ველზე. იმ დროს აღმოსავლეთი უნუ-
გეშო სურათს წარმოადგენდა. მცირე აზია ნაწილ-ნაწილად და-
ყოფილი იყო და თითოეულს ნაწილს საკუთარი მფლობელი,
განაგებდა, ხოლო მფლობელთა შორის მტრობა და შური
სუფევდა [39]). დაიძრა ევროპიდან დიდი ლაშქარი. მტერიც ხმელ-
თა-შუა ზღვის და მცირე აზიის ნაპირებს მიაწყდა, რადგანაც
იქ უნდა გადაწყვეტილიყო ქრისტიანობის და მაჰმადიანობის
შორის დავი-დარაბა... რას აკეთებდა დავით აღმაშენებელი?

მეფემ პირველად სამხედრო საქმის განკარგებას დაი
ლაშქრის გამრავლებას მიჰყო ხელი და სწორედ ეს იყო საჭი-
რო, რადგანაც საქართველოსაც საჯვაროსნო ლაშქრობის ქა-

---

[37]) ibid. 508 –11.

[38]) Вилльменъ, Ист. литер. сред. вѣковъ, I т. 1836 г. стр. 17, 23 – 4, 176 – 190.

[39]) Ф. Шлоссеръ, 639, 655 – 56.

რმა დაჰქროლა და მაჰმადიანობის შესამუსვრელად აშალა. რა-
საკვირველია, დავით აღმაშენებელმა უმალვე უარჰყო სულტა-
ნის ბატონობა და ხარჯი აღარ მისცა [40]). ამის შემდეგ კახეთ-
ჰერეთის დაპყრობა და სამეფოს გაერთიანება დაიწყო. ისტორიულ
გარემოებათა გამო ეს დიაღ სასახელო და საკეთილო საქმე ადვი-
ლი არ იყო. სულ ძველადვე, ჯერ ისევ მირიან მეფის შემდეგ, კა-
ხეთ-ჰერეთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა და მერე ბაგრა-
ტიონთა შთამომავლობის მთავრებს ემორჩილებოდა, საკუთარს
სამთავროს წარმოადგენდა [41]). ამ მიზეზმა განაძლიერა პოლოტიკუ-

რი განცალკევება, რომელსაც ფრთები შეასხა არაბთა ბატონობამ. იმ ბატონობის დროს კახეთ-ჰერეთში დაარსდა თავისებური მარ-თებლობა, ეგრედ წოდებული **ქორიკოზობა.** ქორიკოზო-ბა პირველად დააწესა 790 წელს მთავარმა გრიგოლიმ, შემდეგ ქორიკოზებად სხვა-და-სხვა მთავარნი იწოდებოდნენ. მათი ღირსება და უფლება მემკვიდრეობით არ გადადიოდა, _ ქორიკოზი უნდა ამოერჩიათ, თუმცა არა სჩანს, როგორის წე-სითა და რიგით. რაც უნდა იყოს, მხოლოდ ის კია, რომ ამ თავისებურმა წყობილებამ საქართველოს მოაშორა პოლიტი-კურად კახეთი და ამასთანავე თითონ ეს უკანასკნელი ორად გაყო, _ თვითოეულს ნაწილს, კახეთსა და ჰერეთს, საკუთა-რი ქორიკოზი დაეპატრონა. ღირს-შესანიშნავია რომ კახეთ-ჰერეთის გაერთიანება სწორედ იმ დროს მოხდა, როცა დავით კუროპალატმა და ბაგრატ მესემემ შეკრიბეს საქართვლოს სხვა-და-სხვა ნაწილი და საძირკველი ჩაუდგეს პოლიტიკურს ერთობას. ქორიკოზობამ გასტანა მეათე საუკუნის გასვლამდე [42]) და პირ, ველად კვირიკე მესამემ, ქორიკოზმა, კახეთ ჰერეთი შეაერთა, ქორიკოზობა უარჰყო, თავისი თავი მეფედ აღიარა და ამას-თანავე ერისთაობაც სხვაფრივ მოაწყო [43]), ერთს ერისთავს ება-რა ხერკი (საგურამო), სადაც მდებარებდა მაგარი-ციხე **ზედა-**

---

[40]) ქ.-ცბა გვ. 241

[41]) H. de la G. I. 299 n. 2.

[42]) დ. ბაქრაძე, საქართ. ისტ. გვ. 48, 213.

[43]) ქ.-ცბა, II გვ. 95 – 9.

ზენი, რომელსაც სტრატეღულად დიდი მნიშვნელობა ჰქონ-და [44]). დავით აღმაშენებელმა პირველად ამ ციხეზე მიიტანა იერიში და „წარუღო კვირიკესა“ 1101 წელს [45]). მეორე წელს კვირიკე მეფე გარდაიცვალა და კახეთის სამეფო ტახტზედ ავი-და აღსართან მეორე, რომელსაც „არა ჰქონდა ნიშანი მეფობი-სა“, მოკლებული იყოს მეფურს ღირსებას [46]). მეფობის ნიშანს მოკლებულს აღსართანს დიდებულნი უკმაყოფილოებით უცქე-როდნენ. ჰერეთის დიდებულთა შეიპყრეს იგი და დავით აღმა-

შენებელს გარდასცეს. დავითმა დაიჭირა კახეთი და თავის სამეფოს შეუერთა, მაგრამ კახეთმა ერთთავად არ დასთმო დამოუკიდებლობის და თვით-არსებობის მოსპობა. იქ ყველანი არ თანაუგრძნობდნენ დავით აღმაშენებლის მაღალს აზრს და დიდს განზრახვას _ სახელმწიფოს ერთობას. აღსართანს მომხრენი საკმაოდ აღმოუჩნდნენ. ამას გარდა, არც გარეშე მტერს სულტანსა და განჯის ბატონს ესიამოვნებოდათ საქართველოს გაძლიერება. ისევ ხმალს უნდა გარდაუწყვიტა სადავო საქმე ბრძოლა ასტყდა ერწოს..-ფართო'მინდორზე, რომელიც ჰზდიაღ შესაფერი ალაგია გმირთა გასარჯელად.ო"დავით აღმაშენებელს ცოტა ჯარი ჰყავდა, მაგრამ „დიდის ჯვარის" მადლმა 4.7) და მეფის პირადმა მხნეობამ დაამარცხა ურიცხვი მტერი. მეფე გოლიათებრ იბრძოდა. სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეზედ მჯდომმან „სრულჰყო მის დღისა ომი“. ომში გასწყვიტეს სულტანის ლაშქარი, განჯის ბატონი მოჰკლეს, მთლად

---

[44]) ეს ციხე, «მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა», აღაშენა მეფე ფარნაჯომ, ვახუშტის გეოგრაფია, 330.

[45]) H. de la G. I.353 n. 1. ეს კვირიკე მეოთხე აღსართანის შვილი იყო და 1102 წელს გარდაიცვალა. ვარდანი-კი ამბობს, უმამულო დავითის შვილი იყოო (Давидъ Безземельный) და კვირიკეს ძენი – აბასი და დავით ყარაბაღის მფლობელთან წავიდნენ, თითო ციხე სთხოვეს და სიღარიბით სცოვრობდნენო, Варданъ Великій, 132 _ 33. ეს უნდა მომხდარიყო, როცა დავით აღმაშენებელმა დაიჭირა კახეთის სამეფო.

[46]) ეს აღსართანი კვირიკეს ძმისწული იყოო, Chron. armén 57; ქ. – ცბა, 241. ვახუშტი-კი ამბობს, _ შვილიო, H. de la G. I. 354 n.1.

[47]) ეს ჯვარი ეხლა გელათშია დაცული. იგი წინ უძღოდა ყოველთვის საქართველოს ლაშქარსა, «ჯეჯილი», 90 წ. № VI, 44 – 5, გ. წერეთლის წერილი.

შემუსრეს მტერი ღა ბევრიც დაატყვევეს [48]). იმ დროიდან კახეთი აღარ განდგომია საქართეელოს, სინამდე ერთ-მეფობა არსებობდა.

ერწოს ბრძოლით იწყება დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლევა-მოსილობა, იმისი საკვირველი ლაშქრობა, დიდხანს არ შეწყვეტილა იგი ლაშქრობა და ყოველთვის მეფის წინამძღოლი „დიდი ჯვარი“ სძლევდა მწვანე ბაირაღზე გამოხატულს მთვარესა. მცირე აზიაშიც ევროპიელმა ჯვაროსნებმა გაიმარჯვეს და 1099 წ. აიღეს იერუსალიმი, სადაც საქრისტიანო სამეფო დაარ-

სეს. იმათ გამარჯვებამ თითქოს საქართველოს მეფეც აღაფრ-
თოვანა, იერუსალიმის აღების დროს მთელი ქალაქი წითლად
მოირწყა და შეიღება მაჰმადიანთა სისხლით, რაინდნი და იმათი
ტაიჭნი მუხლებამდე იმ სისხლში სცურავდნენო [49]). მალე საქარ-
თველოც მტრის სისხლით შეიღება და რაინდის მეფის მერანი
მუხლებამდე წითელ მორევში ცურავდა. იქნება ეს სურათი სა-
ნახავად სასიამოვნოც არ იყვეს, მაგრამ ჩვენ მაინც დაწვრილე-
ბით უნდა ავწეროთ მეფის ლაშქრობა.

III

დავით აღმაშენებლის სალაშქრო მოღვაწეობა ორ ნაწი-
ლად განიყოფება. პირველ ნაწილს შეადგენს შინაური მტრის
დამორჩილება და კახეთ-ჰერეთის შემოერთება, ხოლო მეორეს _
გარეშემტერთან ბრძოლა და სამშობლოს განთავისუფლება.
ლაშქრობის ორსავე ხანას საკუთარი ხასიათი და მიმართულე-
ბა ამჩნევია. პირველ ხანის ლაშქრობას ასპარეზი უფრო ვიწ-
რო აქვს. ამას გარდა, შინაური მტერი და კახეთ-ჰერეთი მე-
ფემ მხოლოდ ქართველ ჯარით დაიმორჩილა. გარეშე მტრის
შესამუსვრელად და სამშობლოს განსათავისუფლებლად საჭირო
იყო უფრო დიდი და ფართო ბრძოლის ასპარეზი. ამიტომ მე-
ფემ მიმართა ეგრედ წოდებულს **როქის სპას** და სალაშქროდ
მოიწვია უცხოელნი, რომელთა ჯამაგირი ეძლეოდათ (როქა
ბერძნულად ჯამაგირია).

---

[48]) H. de la G. I. 356, n. 3,4. განძის განჯის მფლობელი ათაბაგად წო-
დებულია, მაგრამ იმ დროს ათაბაგობა არ იყოვო..

[49]) Веберъ, 527.

სულ პირველადვე საქართველოს სამხედრო გამგეობა ფე-
ოდალობის წესზე მოეწყო და თვითეული ერისთავი ვალდე-
ბული იყო, საჭირო დროს, ჯარი მზად ჰყოლოდა ლაშქრის
შეკრება ებარა სპასალარს ანუ სპასპეტს, რომელსაც, სხვათა
შორის, ეპყრა „პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცე-

სობა“. მთელი სამეფო განაწილებული იყო ოთხ სადროშოდ და ჩვეულება უჩვენებდა, – ომის დროს რომელ დროშას რა ადგილი უნდა სჭეროდა. ამას გარდა, შინაურ სპის წეს-წყობილებას განაგებდა განსაკუთრებული მოხელე, ეგრედ წოდებული **მსახურთ-უხუცესი**. სხვაფრივ სწარმოებდა როქის სპის საქმე. ამ საქმეს ჰპატრონობდა მონათ-უხუცესი, როქის სპა თვით მეფეს ახლღა, იმის დროშის ქვეშ იდგა და განსაკუთრებულს წესდებას ემორჩილებოდა [1]). თუმცა სახელწოდება „როქის სპა“ თავდაპირველად არ იხმარებოდა, მაგრამ ჯერ ისევ მირიან მეფის დროიდან ლაშქრის ჯამაგირით დაჭერა ჩვეულებად დაწესდა. რასაკვირველია, როქის სპას ხანდახან თვით საქართველოს მკვიდრნიც შეადგენდნენ. მაგრამ დავით-აღმაშენებელმა როქის სპად უცხოელნი მოიწვია. მეფეს აზრად ჰქონდა საქართველოს ძველი საზღვრები შეეძინა და ამ საქმისთვის შინაური სამხედრო ძალა საკმარი არ იყო. ჯერ-ჯერობით კი მეფე თურქებს ქართველ ჯარით ებრძოდა. მართალია, შინაური ლაშქარი რიცხვით მცირედი იყო, მაგრამ მხნეობას და ვაჟკაცობას კი საოცარს იჩენდა და, სხვათა შორის, ამის მიზეზად მეფის სამხედრო გამგეობა უნდა ჩაითვალოს, თუმცა ესეც კია, რომ დავით აღმაშენებელმა ხელ-უხლებლაღ დასტოვა ამ გამგეობის ძველი ფეოდალური წყობილება.

მატიანის სიტყვით, სამხედრო გამგეობის დაარსება ფარნავაზ მეფეს ეკუთვნის. როცა ამ მეფემ საერისთაოები დააწესა, იმავე დროს დაადგინა **სპასპეტობა**, უპირატესი მხედართმძღვანობა. სპასპეტი შიდა-ქართლში ბრძანებლობდა და თვითეული ერისთავი იმას ემორჩილებოდა [2]). თუმცა სპასპეტი მოხსენებულია მეფობის დაარსების ადრე, ეგრედ წოდებულ

---

[1]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 14, 18, 36.

[2]) ქ. ცბა, 31 – 2.

მამასახლისობის დროს [3]), მაგრამ ეს გარემოება არ არღვევს მატიანის თქმულებას. პირვანდელ დროის სპასპეტობა არ წარმოადგენდა მუდმივსა და განსაკუთრებულს მოხელეობას.

მხოლოდ მეფობასთან ერთად დაარსდა ნამდვილი სპასპეტობა, რომელიც შეეფერებოდა ახლად დადგენილს სამეფო გამგეობას და მართებლობას. ამბობენ, ვითომ ფარნავაზ მეფისაგან დადგენილი სპასპეტობა სომხურს დაწესებულებას მიაგავსო [4]), მაგრამ, როგორც სჩანს, თვით სომხებმა გადაიღეს ქართველებისაგან ზოგი სამხედრო წესი, მაგ., **სეფე წულთა რაზმი** [5]). ერისთავთა შორის სპასპეტი უფროსი ხელის-უფალი იყო, ხოლო თვითეული ერისთავი თავის საბძანებელშუ განაგებდა სამხედროს საქმესაც. ესევე უნდა ითქვას სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელზედაც, რომელსაც საკუთარი ლაშქარი ჰყავდა, თავისი დროშა ჰქონდა და ხშირად ლაშქარს მძღვანობდა. სხვათა შირის, ერისთაობის ძალა და გავლენა ამაში მდგომარეობდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა პირველი ყურადღება მიაქცია სალაშქრო საქმეს და სამეფო კვერთხს დაუმორჩილა მთელი მხედრობა, მთელი საომარი ძალა. სპასპეტობა თვით მეფემ დაიპყრა, უპირატესი მხედართმძღვანი იგი შეიქმნა და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო გამგეობისათვის.

ქართველი ლაშქარი ორად იყო გაყოფილი. ერთს ნაწილს შეადგენდნენ **მხედარნი**, ხოლო მეორეს - **მკვირცხლნი**. რაც შეეხება სალაშქრო საქმის განვითარებას, ქართველნი თავის მეზობლებზე დაბლა არ იდგნენ. საბრძოლავი მსუბუქი ეტლი, საომარ წესისამებრ ჯარის განწყობა ბრძოლის ველზე და სხვა ამგვარი საჭირო ცოდნა იმათ პირველადვე შეთვისებული ჰქონდათ [6]). რომის ისტორიკოსნი და პიიტიკოსნი დიდის ქებით ამკობენ ქართველთა ლაშქარს, რომელსაც ასე ამშვენებდა წითელი ტანთ საცმელი [7]). მრავალჯერ გამოსცადეს რომაელებმა ამ

---

[3]) ისტ. თეიმურაზისა, 101.

[4]) ვახუშტის ისტორია, 29, შენიშვნა I.

[5]) H. de la G. 1. 46, n. 4.

[6]) თეიმურაზი, გვ. 184.

[7]) Баратовъ, I стр. 53 – 4. H. de la G. 1. 63, n. 5.

წითლად მორთულის ლაშქრის ვაჟკაცობა და მამაცობა. ეს ლაშქარი მშვენივრად იყო გაწრთვნილი და დროის შესაფერად შეიარაღებული [8]). დავით აღმაშენებელმა ხომ უპირატესი ყურადღება მიაქცია ჯარის გაუმჯობესობას და ბევრი სასარგებლო ცვლილებაც მოახდინა სამხედრო გამგეობაში. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს...

დაიწყო თუ არა ჯვაროსანთა ომიანობა, სპარსეთის სულტანმა თავისი ჯარი საქართველოდან გაიყვანა. თურქთა დარაჯად და მცველად მხოლოდ მეციხოვნენი დარჩნენ. იმათ ხელთ იყო თითქმის ყველა დიდი და შესანიშნავი ციხე-სიმაგრე და ამის გამო თურქნი უწინდებურად არბევდნენ და აწუხებდნენ ქართველობას. მტკვრისა და იორის მინდორ-ველნი იმათ ეჭირათ. თურქნი უფრო პირუტყვის მოშენებას მისდევდნენ და ამიტომ საძოვარ ადგილებს საჭიროებდნენ. ტფილისიდან მოკიდებული ქ. ბარდამდე მტკვრისა და იორის ნაპირნი იმათ საიალაღო ადგილს შეადგენდა. ზაფხულობით სომხეთის მთებში მიდიოდნენ, მაგრამ შემოდგომის დამდეგს უკან ბრუნდებოდნენ და იმათგან მოსვენება არ იყო: სოფლებს არბევდნენ, ძარცვავდნენ, ტყვეებს იტაცებდნენ. იმათ ავ-კაცობას და თავ-გასულობას თითქო საზღვარი არ ჰქონდა, ალაფის სიხარბეს დასასრული არ ეტყობოდა. ან რისა ვფიქრებოდათ და ერიდებოდათ, როცა ზურგს უკან საიმედო მეციხოვნენი ეყენათ ტფილისს, რუსთავსა და აგარანში [9]). პირველი და თავი მიზეზი თურქებთან შებმისა სწორედ იმათი ბოროტი ქცევა და მოუსვენრობა შეიქმნა.მაგრამ იქნება ამ მიზეზსაც ჯერ-ჯერობით ომიანობა არ გამოეწვია, უკეთუ საზოგადო გარემოება ხელს არ მოუმართავდა მეფის განზრახვას. ჯვაროსანთა ძლევა-მოსილებამ თავს ზარი დასცა მთლად მაჰმადიანობას. ბიზანტიამ ძალა მოიკრიბა, მოღონიერდა, ხელ-ახლად საკმაო ადგილი დაიჭირა მცირე აზიაში. ნაცვლად ამისა, სალ-

---

[8]) სალაშქრო, ამბებს ვახუშტი ასწერს, ისტ. გვ. 16.

[9]) ა გ ა რ ა ნ ი ციხესაც ერქვა და იმ ადგილსაც, რომელიც მდებარებდა მტკვარ-შულავერ-ბოლნისის შუა. H. de la G. 1. 361, n. 1.

ჩუკნი შესუსტდნენ და საშიშარი აღარ იყვნენ ქრისტიანებისათვის, რომელნიც გარეშემო ერტყნენ. ამას გარდა, მაჰმადიანობაში უთანხმოება და განხეთქილება არსებობდა, სხვა-და-სხვა ამირნი ერთი-ერთმანეთს ებრძოდნენ და თუმცა ქრისტიანობის ამოღებული ბასრი მახვილი თავს დასტრიალებლათ, მაგრამ მაინც გონზე ვერ მოდიოდნენ [10]). რასაკვირველია, ქართველობა გაამხნევა, წააქეზა ჯვაროსანთა ძლევა-მოსილებამ. თუ კი საჭიროება მოითხოვდა, მართლ-მადიდებელი ბიზანტია მზად იყო მხარი მიეცა და შველა გაეწია ერთ-მორწმუნე მეზობლისათვის. ეს მეზობელი თითონაც აგზნებული იყო სარწმუნოებრივის გრძნობით და მუდამ ჰხედავდა, თუ ვითარის კადნიერებით მტერი უპატიურად და უკადრისად ექცეოდა ამ წმიდა გრძნობას.

ქვემო-ქართლს, მტკვრის მარჯვნივ, იქ, სადაც ეხლა ბორჩალო სძევს, ძველად სამშვილდე საერისთაო იყო. ამ საერისთაოში, ორის მდინარის – ქციასა და ჭივჭავის შუა მდებარე-ჩ ბდა მაგარი ციხე-ქალაქი, სახელად ორბეთი, რომელსაც შემდეგ სამშვილდე ეწოდა. თითონ ციხე გორაზე იდგა და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა [11]). როცა ალპ-არსლანი ასი ათასის მხედრით საქართველოს შემოესია, პირველი ახალქალაქი და სამშვილდე აიღო [12]). იმ დროიდან სამშვილდეში მტრის მეციხოვნენი იდგნენ. ამ მეციხოვნეთა იმედით მძვინვარებდნენ თურქნი მტკვრის ნაპირად. წინად ქართველთა სამშვილდის აღება განიზრახეს და ეს აზრი პირველად გიორგი ჭყონდიდელს მოუვიდა. ამ მწიგნობართ-უხუცესს და სახელოვანს მოღვაწეს დისწული ჰყავდა, სახელად თევდორე, „კაცი გონიერი და დიდად მყოფი“, რომელსაც მეფემ, რატის სიკვდილის შემდეგ, ბაღვივაშთა მამული – კლდე-კარი და თრიალე-

---

[10]) Веберъ, стр. 532-35.

[11]) П. Іоселіани, Города, существовавшіе и существующіе въ Грузіи, стр. 60-1. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 166. რუკაზე № 2 სჩანს რომ ორბეთი მდებარებდა ქციას ნაპირად, ქვემოდ სამშვილდე კი ცოტა ზემოდ.

[12]) Варданъ Великій, стр. 126.

თი უბოძა. გიორგი ჭყონდიდელმა მოიხმო დისწული და ორი სხვა დიდებული-აბულეთი და იოან.ე იმათ ,'/სიმარ-
სამშვილდე არის მოხსენებული, თუ რო-
გორ მოხდა მთელ საერისთაოს ციხეთა ბურჯის „მოპარვა“, ხოლო სწერია, რომ სამშვილდის აღებამ შიშის ზარი დასცა მტერსაო. როცა თურქებმა ამ ციხის აღება შეიტყეს, „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე ივლტოდეს და ჩვენთანა მოითვალნეს იგინი“... მეფე იმ დროს იმერეთს იმყოფებოდა. სამშვილდის აღებამ დიდად გაახარა ქართველობა და ეს ამბავი სასიხარულოც იყო: ციხის აღებით მტრის ბატონობა შეირყა, თურქებს გავლენას მოაკლდათ და საქართველოს საზღვრებიდან გავიდნენ. წინად კი სამშვილდე სავსე იყო თურქებითა და გეგონებოდათ, მატიანის თქმისამებრ, „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა აქა არსო“... სულტანიც კი ვერ მოიფიქრებდა ამ საზარელ ამბავს. იმავე დროს, 1110 წელს, ქართველებმა აიღეს **ძერნაც** [13]) და მტკიცედ ფეხი მოიკიდეს მთელ საერისთაოში.

ქართველების გამარჯვებამ ძლიერ გააბოროტა სპარსეთის სულტანი. მაშინ სულტნად თაფარი ბძანდებოდაო [14]). სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ განრისხებული ბატონი დიდის წყრომითა და სიბრაზით პლამოდა საქართველოს დასჯას და ამისათვის მრავალი ჯარი გამოგზავნა. ჩვენის მატიანის მოწმობით, იგი ჯარი ორასი ათასის კაცისაგან შესდგებოდა, მაგრამ ეს რიცხვი მეტად გაზვიადებულია. იმ დროს, 1110 წელს, როცა მტრის ლაშქარი საქარ-

---

[13]) სამშვილდისა და ძერნას აღება მოხსენებული არ ირის Chr. armén-ში, 57. იქ მხოლოდ სწერია, რომ მეფემ მცირე ჯარით დიდი თურქობა დაამარცხაო...

[14]) H. de la G. I. 359 n. 2. მსოფლიო ისტორიისა და ქორონიკონის მიხედვით, სულტნად იმ დროს იჯდა თაფარი კი არა, არამედ ბარქიაროქი, რომელიც გარდაიცვალა 1104 წ. თვით ბარქიაროქის მემკვიდრეს, იმის ძმას მაჰმუდი ეწოდებოდა, Шлоссеръ 645, 450 – 51.

თველოს მუქარით თავს უნდა დასხმოდა, მცირე აზიაში, ჯვა-

როსანთა და მაჰმადიანთა შორის, გაცხარებული სისხლის ღვრა იყო და სულტანიც ორას ათას მეომარს არ მოაცდენდა პატარა საქართველოს დასასჯელად. სახელოვანი ჯვაროსანი რაინდი ტანკრედ მუსრს ავლებდა თურქობას ასურეთში, სადაც ჰსურდა დაეარსებინა იერუსალიმის სამეფოზე უფრო განთქმული და პატივდებული სამფლობელო [15]). ესრეც რომ არ ყოფილიყო, თვით იერუსალიმის კოროლი ბალდუინი მედგრად ებრძოდა მაჰმადიანებს, ლაშქრავდა მისირს (ეგვიპტეს), რომელიც სპარსთა სარწმუნოებრივს მოძღვრებას აღიარებდა [16]) და იმათგან შემწეობას მოსვლოდა. ყველა ამ გარემოების მიხედვით უფრო სარწმუნო და ნამდვილია, რომ სულტანმა საქართველოში მხოლოდ ათი ათასი ჯარი გაგზავნა [17]). ეს ლაშქარიც საკმაო იყო. მაგრამ გენიოსმა სპასპეტმა მცირედის ძალით სხვაფრივ დაატრიალა ბრძოლის ჩარხი და მტერს დაუმტკიცა,რომ ძლევა-მოსილება მარტო მეომართა სიმრავლეზედ არ არის დამოკიდებული. როცა დავით აღმაშენებელი ნაჭარმაგევს [18]) იმყოფებოდა, სულტანის ლაშქარი უმალ თრიალეთზე გაჩნდა და იქ საბრძოლველად დაბანაკდა. მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, დაუყონებლივ ღამით გაეშურა მტრისკენ. იმას მხოლოდ ათას ხუთასი კაცი ჰყავდა. მთელი ღამე თავის ლაშქრით სიარულს მოუნდა და მეორე დღეს, განთიადისას, მტრის პირდაპირ იდგა. მტერი ვერ წარმოიდგენდა ასეთს სისწრაფეს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სალაშქრო ხერხს, სხვათა შორის, სწორედ ეგეთი სისწრაფით მოძრაობა და უცბად მეხისავით თავს დასხმა შეადგენდა. ასტყდა ფიცხელი, სასტიკი შებმა. ცისკრიდან დაწყებული საღამომდე სისხლი იღვროდა. ბინდისას მტერი იძლია, დასტოვა კარავნი, ჭურჭელნი და გაიქცა. და-

---

[15]) Веберъ, 536.

[16]) Шлоссеръ, 663.

[17]) Chron. arm. 58.

[18]) „ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილ-სანადირო და აწ კარალეთად წოდვილი», ვახ. გეოგრაფია, 250.

მარცხებულ თურქობას თავს ზარი დაეცა, ხოლო ბრძოლის

ჟინით აღტაცებულ ქართველობას არც კი ეგონა, რომ მტერი გაიბნეოდა და მეორე დილით ისევ ომიანობას მოელოდა ამიტომ მტერს არ დაედევნენ და იგი გადარჩა სრულს გაჟღლეტას. ამ ბრძოლის შემდეგ სულტანს თითქო გაბედულება მოაკლდა და, ცოტა არ იყოს, საქართველოს შიშიც გულში დაებადა. ქართველობა კი უფრო და უფრო გამხნევდა, იმედი და სასოება მიეცა, მტრის რიდი და მორჩილება. გულიდან აღმოეფხრა...

ხუთმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ მტერი ვერ ჰბედავდა საქართველოში შემოსევას. თრიალეთზე გამარჯვების გარდა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მცირე აზიაში მაჰმადიანთა შორის შუღლი და ბრძოლა თანდათან გამწვავდა. სხვა-და-სხვა ამირნი ერთი-ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ეკამათებოდნენ. მართალია, არც ჯვაროსნები იქცეოდნენ თანხმობითა და ერთგულობით, იმათაც შინაური დავა და უსიამოვნება არ აკლდათ, მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, იმათ მაინც უფრო მეტი პოლიტიკური წინ-მხედველობა მოეპოებოდათ, ვიდრე მაჰმადიანებს. ჯვაროსანთა ლაშქარი მედგრად და მკაცრად ებრძოდა მტერს და ამიტომ სულტანმა უბრძანა მოსულის ამირს მაუდუდს ყველა კუთხეში ჯარის შეკრება და საომრად გამოყვანა. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა ასურეთში, ეფრატისა და ორონთას წყალი სისხლით წითლად შეიღება [19]). რაღა თქმა უნდა, რომ მაჰმადიანობას საქართველოსთვის არა სცალოდა" დავით აღმაშენებელმა ეს მარჯვე დრო კარგად გამოიყენა. მეფემ განიზრახა, რომ თურქობა ჯერ საქართველოში შეემუსრა და მერე მახვილი სამშობლოს გარედ ამოეღო. ამისთვის საჭირო იყო ხმლით აღება იმ ციხე-სიმაგრეთა რომელნიც მტრის ბუდეს შეადგენდნენ „ფრიად მაგარის“ სამშვილდის შემდეგ ჯერი არა ნაკლებ „მაგარ“ რუსთავზე მიდგა. ტფილისის ქვემოდ, მტკვრის მარცხენა მხარეს, მდებარეობდა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც შემდეგ რუსთავი დაერქვა. გარდმო-

---

[19]) Веберъ, 536 – 7

ცემა ამბობს, ვითომ ეს ქალაქი ქართლოსის ცოლმა ააშენაო.

რუსთავი ძნელად ასაღები ციხე იყო და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოს მღელვარე ცხოვრებაში [20]). იგი სდარაჯობდა ყარაიაზის ფართო ველ-მინდორსა და სანადირო ჭალას. მტერს საძოვარი და სანადირო ადგილი ხომ დიდად მსიამოვნებოდა და მტკიცედაც ფეხი მოიკიდა რუსთავში, რომელსაც, სიახლოვის გამო, გაჭირვების დროს თითქო მხარს აძლევდა ტფილისი, სადაც მაჰმადიანთ მეციხოვნენი იდგნენ. რუსთავსაც მალე ისეთი ბედი ეწია, როგორიც სამშვილდეს. საყურადღებოა, რომ ამ ორი მაგარი ციხის აღება გიორგი ჭყონდიდელის საქმე იყო, – როცა მეფე მუხრანს იმყოფებოდა, „წარიღო გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიცაო“, ამბობს მატიანე [21]). რუსთავის წართმევა დიდად საზარალო და საწყინარი იყო თურქებისათვის: რაკი მაგარი ციხე ხელიდან გამოეცალათ, იწყეს „რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისაო“... ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც რუსთავი მრისხანედ დაჰყურებდა ვრცელს საზამთრო სადგომსა. სხვაფრივადაც სავალალო შეიქმნა თურქებისათვის ამ ციხის დაკარგვა. მტერი გაიბნა ველად და მეფეც ყოველსავე ღონის-ძიებას ჰხმარობდა, რომ თავს დასხმოდა მაწანწალა ბრბოს და მუსრი გაევლოს. უბინადრო და პირუტყვის მოშენების მიმდევარ მტერს ველ-მინდვრად ყოფნა ესაჭიროებოდა, მაგრამ რუსთავის მეციხოვნენი აღარა ჰყავდნენ.

დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა თურქთა ზნე და ხასიათი. ამ ცოდნაზე დაამყარა სახელოვანმა სტრატეგიკოსმა თავისი სალაშქრო წესი და ჩვეულება. ერთს ასეთს ჩვეულებას შეადგენდა მალვით და სისწრაფით მტერზე დაცემა. თურქს სიფხიზლე აკლდა, ცოტაც დაუდევარიც იყო და თავის მოწინა - აღმდეგის მხნეობას არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებასა, არაფრად აფასებდა. ამბობენ, რომ მტრის სისუსტის შეგნება ძლი-

[20]) П. Іоселіани, „Города... въ Грузіи“, стр. 37 – 8. ვახუშტის გეოგრაფია. გვ. 181.

[21]) ქ. ცბა, გვ. 245. ეს ამბავი მოხდა 1115 წ.

ერი საშუალებაა ომში გასამარჯვებლადაო. სხვათა შორის, სწო-

რედ ამ საშუალებით ხელმძღვანელობდა დიდებული სპასპეტი. და თუ რა ღირსებისა იყო საზოგადოდ სტრატეგული მოხერ-ხება ამ სპასპეტისა, **ტაოსის ბრძოლა** გვიჩვენებს. სომხითის პირად, კლარჯეთის გვერდით, მდებარებდა ცალკე სამთავრო, რომელსაც ტაო ეწოდებოდა. ტაო მეტად მაგარი ადგილია, მთიან-გორიანი, სადაც მკაცრი და სუსხიანი ზამთარი იცის [22]). თუმცა სომეხნი გვედავებიან და თავიანთ საკუთრებად სთვლიან როგორც ამ ადგილს ისრე ბევრ სხვასაც, მაგრამ ძველადვე ტაო-საქაღთველოს ნაწილს შეადგენდა და ჩვენის მეზობლების ტაი-კი სულ სხვა იყო [23]). რუსთავის აღების-შემდეგ, 1116 წელს, როცა მეფე საქართველოში ჰჟლეტდა მტერსა, სომხითის მხრი-დან დაიძრა მრავალი თურქობა, მოვიდა ტაოს და დაბანაკ-და, – „ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრესა მიენდვესო“, ამბობს მატიანე. მაგრამ მეფემ თურქთა უზრუნველობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ძლევა მოიხვეჭა იქ, სადაც კად-ნიერი მტერი არ მოელოდა. როცა შემოსევა შეიტყო, დავით აღმაშენებელმა მსწრაფლად ბძანება გასცა, ქართლის ჯარი სა-ომრად მოემზადოსო და თითონ ქუთაისს წავიდა: მტერი არ მიხვდეს რომ სალაშქრო მზადებაში ვარო. იმერეთში თითო-ნაც საომარ მზადებას შეუდგა და შემოსთვალა, – ამა და ამ დროს ქართლელნი და მესხნი კლარჯეთს უნდა დამხვდნენო. მტერს „ფიცხელ ზამთრის“ იმედი ჰქონდა, მაგრამ მეფე სწო-რედ ზამთრით გაემგზავრა საკაშქროდ, წარუძღვა „შიდა სპას“ [24]) და სავლელად ამოირჩია ისეთი გზა, საიდანაც თურქნი დასხმას ვერ მოიფიქრებდნენ. ეს გზა იყო ჭოროხის ხეობა, რო-მელიც აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საზღვრიდა ტაოსა. იქ მოიყარა თავი მთელმა ლაშქარმა. ისპირის მთის პირიქით მტერი იდგა. მაშასადამე, ჩვენი ჯარი მთის მეორე მხრიდან,

---

[22]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 120.

[23]) დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია, გვ. 263 – 4.

[24]) «შიდა სპად» იმერნი უნდა იგულისხმებოდნენო, H. de la G. 1. 360 n. 1.

ზურგს უკან დაესხა მტერსა. ასეთს მოხერხებულ მისვლას თურქობა ვერ წარმოიდგენდა და მოუმზადებელი შეხვდა ქართველ ჯარსა. შეიქნა მახვილის ტრიალი და ცემა. მეფის სტრატეგულს ნიჭსა და პირადს მხნეობას იმის ლაშქრის ვაჟკაცობა და მამაცობა თითქო ეჯიბრებოდა. ერთმაცა და მეორემაც მთავარი გონება დაუბნია ურიცხვს მტერს, რომელიც მთელ ტაოსის სიგრძე სიგანეზე იყო გაშლილი. ბევრი გაიჟლიტა, ცოტამ კი გაქცევით თავს უშველა, ადგილობრივ დასტოვა ცოლშვილი და ყოველი სარჩო-საბადებელი მატიანე ჰმოწმობს, რომ ტაოსის გამარჯვებამ მთელი ჩვენი ქვეყანა აღავსო „ყოვლითა კეთილითაო“... [25]).

თუმცა, ვიდრე გარეშე მტერთან ბრძოლას შეუდგებოდა, მეფემ შინაური წესიერება და მშვიდობიანობა დაამყარა, მაგრამ, როგორც სჩანს, მთავართა ურჩობა არა სცხრებოდა. „ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთმა ურჩობამ თავი წუქეთის საერისთაოში, რომელიც მდებარებდა ჰერეთის ქვემოდ, აღმოსავლეთით. იმ დროს იგი საერისთაო ეკუთვნოდა გრიგოლს (გვარი მოხსენებული არაა) და მისი შვილნი – იასამ და შოთა განდგნენ. საერისთაოს ბურჯს შეადგენდა გიშის ციხე, რომელიც მთის ძირში და წყალის ნაპირზედ იყო აშენებული [26]). მეფემ მალე შემუსრა ურჩობა და გიშის ციხე აიღო. შემდეგ თვისი შვილი დიმიტრი დიდის ჯარით გაგზავნა შირვანს საომრად. ეს გარემოება ნათელს ჰფენს ასამისა და შოთას განდგომას. უეჭველია, შირვანის მფლობელი ესარჩლებოდა მეფის ურჩთა, ერისთავ გრიგოლის ძეთა, და გალაშქრების მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო, თორემ მეფე აბა რად ინებებდა დარბევას შირვანისას, სადაც დედოფლად ბრძანდებოდა იმისი უფროსი ქალი თამარი, „მნათობი აღმოსავლეთისა, მამისაგან მიმღე-

---

[25]) ქ. ცბა, 245. Chron. ärmén. 58, სადაც ტაოსის ბრძოლა ძლიერ მოკლედ არის ნაამბობი.

[26]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 304 და carte № 4.

ბელი მზეებრთა შარავანდედთა“… მეფის შვილმა თავისის მხნეობითა და ლაშქრობით განაკვირნა მხილველნი და მსმენელნიო, გასტეხა შირვანის უმაგრესი ციხე **ქალამორი** და ძლევაშემოსილი მოვიდა მამასთან, უთვალავის ტყვითა და ალაფით სავსეო [27]). მაგრამ შირვანი მაინც გონს ვერ მოვიდა, ღალატს თავი არ დაანება და ამიტომაც არა ერთ გზით გამოსცადა ქართველი ლაშქრის მკლავი შეუდრკელი...

დრო თითქო განგებ მოსვენებას არ აძევლდა მხნესა და დაუღალავს მეფესა. თურქებიც საქართველოს ეტანებოდნენ და, როცა გარემოება ხელს უწყობდა, მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ. მტრის მეხსიერებაში თითქო აღმოიფხრა თრიალეთისა და ტაოს საშინელი ამბავი!.. 1118 წელს არეზის ნაპირად დიდ-ძალი თურქობა შეიკრიბა და ჰლამოდა საქართველოს აოხრებასა. ვინ იცის, იქნება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ იმ დროს ჯვაროსნებმა მცირე აზიაში ომიანობა შესწყვიტეს და მახვილი სხვა ადგილას გადაიტანეს. იერუსალიმის კოროლმა ბოდუენმა ჯარი ეგვიპტის საზღვრებზე და დუნაისკენ გაგზავნა, მეწამულის ზღვის მიდამონი გარდაიქცნენ უმთავრეს სალაშქრო ასპარეზად [28]). ამას გარდა, სპარსეთის მდგომარეობაც შეიცვალა და ამ ჩვენს დაუძინებელს მტერს ცოტა ხნობით მაინც ბედმა გაუღიმა: საპრსეთის სულატნმა სანჯარმა სამარყანდი და ხვარამზა დაიპყრა და ისე განდიდდა, რომ თავისი სამეფო ინდოეთამდე წასწია [29]). რასაკვირველია, ყველა ამ გარემოების მიხედვით საქართველოს მეზობლად მყოფ თურქებს სითამამე მოემატათ და განიზრახეს ჩვენის სამშობლოს აკლება და დარბევა. მეფე ჩვეულებისამებრ სისწრაფით მოიქცა და საკმაო ჯარი შეჰყარა. ეს ჯარი ბზობის კვირაში დაბანაკებული იყო ღანუხს, რომელიც მაგარ ციხედ ითვლებო-

---

[27]) სომხური ქრონიკა კი მარტო იმას ამბობს, რომ სიხარულით დაბრუნდაო, Chron. arm. 58.

[28]) Веберъ, 537 – 8.

[29]) Шлоссеръ, 645.

და და მდებარებდა ელისენში, ალაზნის განაპირად, მარცხენა მხარეს [30]). ღანუხიდან ჯარი არეზისკენ დაიძრა. მეფე კი გაემგზავრა სამშვილდის საერისთაოში და იქ, ს. ნახიდურს, მიეგეზა პასექის დღესასწაულს. დღესასწაულის დროს სამხედრო თათბირიც გაიმართ. თათბირი იყო იმის გამო, – შებმოდნენ მტერს და დაეწყოთ ლაშქრობა, თუ არა. გარემოებაც თხოულობდა ასეთს თათბირს. მტრის ზოგი ჯარი კიდეც შემოესია საქართველოს. გამოჩენილი სარდალი ბეშკენ ჯაყელი თუმცა მამაცად დაუხვდა მტერსა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო-რა და ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ჯავახეთში. ბეშკენის სიკვდილმა ყველა ძლიერ დააღონა, და ასეთის სარდლის დაკარგვა იმ გაჭირვებულ დროს მართლაც დიდად დასაღონი და დასაკლისი იყო. დიდებულნი ურჩევდნენ მეფეს, არეზისკენ წასვლა და იქ მტერთან ბრძოლა საშიშიაო, მაგრამ მეფემ თავისი აზრი ამჯობინა და წავიდა არეზის მხარეს, სადაც ღანუხიდან წინად ჯარი გაგზავნა. მდინარე არეზის ნაპირები მთლად თურქებს ეჭირათ. იმათ მრავალა ჯარი ჰყავდათ, მაგრამ მეფეს მტრის სიმრავლე არასოდეს არ აშინებდა.. იგი განგებ მახვილს სცემდა და ლაშქრიდა სწორედ იმ ადგილს, სადაც მტერი ბლომად ეგულებოდა. ქართველმა ჯარმა დაამარცხა თათრები, „მოსრა სიმრავლე მათი ურიცხვი“. მატიანე ამბობს, რომ მეფემ წამოიღო ურიცხვი ალაფი და ტყვეო...

არეზის ბრძოლის შემდეგ, იმავე წელს, მეფემ დაიწყო იმ ციხე-სიმაგრეთა აღება, რომელნიც ჯერ ისევ თურქებს ხელთ ჰქონდათ. ერთი ასეთი ციხე იყო **ლორე**, მდებარე საქართველოს სომხეთში, ორს მდინარეს შუა, კლდეზე [31]). ლორე თუმცა ხან-და-ხან სომხეთის მეფეებს ეკუთვნოდა, მაგრამ ქართველები არ ანებებდნენ და ყოველთვის ედავებოდნენ 32). ამ-

---

[30]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 304 _ 8 და carte № 4.

[31]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 140 და carte № 2

[32])) П. Іоселіани, „Города... въ Грузіи“, 52.

ბობენ, რომ ეს სადავო ციხე მეფე დავით უმამულომ (Давидъ Безземельный) მეთორმეტე საუკუნეში თავის შვილს კვირიკეს აუშენაო [33]). სულ ერთია – ვისაც უნდა აეშენოს, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მაგარი ლორე საქართველოს საზღვრის ნაპირზე მდებარებდა და სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც გარეშე მტერი ჩვენს სამშობლოს უფრო ხშირად სომხითის მხრიდანაც შემოესეოდა ხოლმე. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარს ლორე თურქებმა აიღეს. იმ დროს იგი **კორიჩიანთა**, სომეხ ბაგრატიონთა გვარეულობის სატახტო ქალაქად ითვლებოდა და შესანიშნავი ციხეც იყო [34]). დავით აღმაშენებლისათვის, რასაკვირველია, დიდად საჭირო იყო ლორეს დაჭერა. ამ საშუალებით შეიძლებოდა საქართველოს საზღვრის გამაგრება და ამიტომ მეფემ თურქებს წაართვა იგი ციხე-ქალაქი წდა თავისი მეციხოვნენი მცველად ჩააყენა. მერე რიგი მოვიდა აგარანის აღებისა. მატიანე ამბობს, ბაგრატ მეოთხე სამ თვეს მოუნდა ციხის აღებასა და დავითმა კი მეორე დღეს, დილით, დაიპყრა ეს სიმაგრეო [35]).

აგარანი აიღეს ივლისს 1118 წელსა და იმ დროიდან ორის წლის განმავლობაში ლოშქრობა აღარ ყოფილა, თუმცა თურქთა სხვა ციხენიც ეპყრათ საქართეელოში და თვით ტფილისი ჯერ ისევ იმათ ეკუთვნოდა. სპარსეთში საქმეთა მსვლელობა საქართველოსთვის თითქო სასარგებლოდ მოეწყო, რადგანაც იქ, სულტანის სიკვდილის შემდეგ, შინაური განხეთქილება ჩამოვარდა. მეფემ მაინც ომიანობა შესწყვიტა და ჯარის გამრავლებას შეუდგა. მუდმივმა და დაუცხრომელმა ომიანობამ შეასუსტა, შეამცირა საქართველოს ლაშქარი. ამას გარდა, ახლად დაჭერილ ციხეებში ქართველნი მეციხოვნენი უნდა მდგარიყვნენ და ამიტომ საომრად ფეხზე მდგომს ჯარს რიცხვი აკლ-

---

[33]) Варданъ Великій, стр. 132 и примѣч. 498.

[34]) Грузія и Арменія, II стр. 264, 293 – 4. Варданъ, стр.140.

[35]) მეფე ბაგრატის ცხოვრებაში არა სწერია, რომ იგი სამი თვე იბრძოდა აგარანის ასაღებად, H. de la G. 1. 362.

დებოდა. მეფეს სხვა მოსაზრებაც ჰქონდა. ბრძოლის ველზე ყოველთვის გამარჯვება ქართველებსა რჩებოდათ და ამ გარემოებამ გაამხნევა დავით აღმაშენებელი, დიდი წადილი და სასოება აღუძრა, გაუფართოვა პოლიტიკური საზრი, გაუნათა შორს-მჭვრეტელობა: მეფემ განიზრახა თურქთა სრული შემუსვრა და ამ საშუალებით სამშობლოს დიდების დამყარება, _ „აღიღო მაღლად თავი თვისი და მიმოავლო თვალი გონებისა თვისისა“ ჟამთა ვითარებასა და დაასკვნა, რომ დიდის საქმისათვის საჭიროა დიდი ღონე...

კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარე დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე, სცხოვრებდა თურანის მოდგმის ხალხი, რომელსაც ყივჩაყთ უწოდებდნენ. ზოგი მწერალნი ყივჩაყთ ჰხადიან ჰუნნებად, ხოლო რუსეთის მეისტორიე ამბობს, პოლოვცნი იყვნენო [36]). ძველად ამ ხალხმა თავისის მამაცობით დიდი სახელი მოიხვეჭა, მეცამეტე საუკუნეში მონგოლებს შეუერთდა და ისრე გაძლიერდა, რომ ყივჩაყთა ურდოს რუსეთიც კი ემორჩილებოდა. ყივჩაყნი განთქმულნი იყვნენ სალაშქრო ღირსებითა და, მატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა „უწყოდა მათი სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოველითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა“ [37]). ამას გარდა, მეფე სიძე იყო ყივჩაყთა მთავრის ათრაქასი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე. თითონ ყივჩაყნი, სიღარიბის გამო, მზად იყვნენ როქის სპად დასდგომოდნენ სხვა მფლობელს და ყველა ამ მიზეზის გამო დავით აღმაშენებელმაც იმათ მიმართა. მეფემ თავისი სურვილით სიმამრს შეატყობინა და მთავარი ათრაქაც სიხარულით დასთანხმდა. საჭირო იყო მხოლოდ დარიალას კარების გაღება და უვნებლად გამოვლა იმ ვიწრო და შეუვალ ხეობაზე, რომელიც ბუნებას საკვირველ ციხე-სიმაგრედ გარდაუქცევია. ოსებს და ყივჩაყებს

---

[36]) ვახუშტის ისტორია, გვ. 179, სხოლიო 4.

[37]) ქ. ცბა გვ. 246.

ერთმანეთში მტრობა და შური ჰქონდათ და, რადგანაც დარიალით გადმოსვლა იმათ შორის სისხლის ღვრას გამოიწვევდა, ამიტომ თვით მეფე წაბძანდა ოსეთს და წაიყვანა გიორგი ჭყონდიდელი. კრძალვითა და მოწიწებით მიეგებნენ ოსთა „მეფენი“ და მთავარნი დავით აღმაშენებელს, „ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსას“. მეორე მხრით მოვიდნენ ყივჩაყნი. მეფემ ოსთა და ყივჩაყთა მძევალნი მოსთხოვა, მშვიდობადა სიყვარული დაამყარა მათ შორის და გზა მისცა მომავალს როქის სპას [38]). მაგრამ დროებით მშვიდობის დამყარება ორ ველურ და მესისხლე ერის შორის არა კმაროდა და საჭირო იყო სხვა საშუალება უზრუნველად ყოფისათვის. ესრეთს საშუალებას შეადგენდა დარიალას და კავკასიონის სხვა კართა დაპყრობა. პირველადვე მეტადრე დარიალას, რომელსაც ხევის-კირსაც უწოდებენ, ჩვენი მმფენი დიდს ყურადღებას იქცევდნენ და დავით აღმაშენებელიც ისრე მოიქცა, _ ჩრდილოეთით კლდეზე ააშენა ციხე [39]) და მთელი ხეობა და კავკასიონის გზები დაიჭირა. ამის შემდეგ კი ყივჩაყებს შეეძლოთ უშიშრად მოსულიყვნენ საქართველოში. ათრაქა ცოლ-შვილით და თავის ხალხით მოვიდა. ჩვენის მატიანის თქმით, გადმოსახლდა სულ ორმოცი ათასი მეომარი ყივჩაყი სახლობით და, ამას გარდა, ხუთი ათასი მონა, „ქრისტიანე ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითაო [40]). ხოლო სომეხთა ისტორიკოსი, მათე ედესელი ჰმოწმობს, ვითომ მარტო თხუთმეტი ათასი ყივჩაყი მოვიდა, ხუთასი ალანი და ასი ფრანგიო [41]). რასაკვი-

---

[38]) Chron armén-ში p. 58 შეცდომით თუ სწერია, მშვიდობა განამტკიცა ოსთა და ბ ე რ ძ ე ნ თ ა შორისო...

[39]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 228. ხალხის გარდმოცემით, ვითომ განაახლა დარიალას ციხე, Грузія и Арменія, I. стр. 30. იქ, სადაც ჯვარის მთაა, ჯვარი აღმართა ნიშნად კავკასიის დაპყრობისა; ib. 36.

[40]) ქ. ცბა, გვ. 247.

[41]) H. de la G. 1. 361.n. 3. სომხური ქრონიკა ორმოც ათასს სახლობას იხსენიებს და ამბობს, ხუთას ახალგაზდას მეფე თავის სასახლეში ზრდიდაო, Chron-arm. p. 58. ფრანგებს უწოდებდნენ მთლად ყველა ევროპელებსა.

რველია, დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, თუ რაოდენ კა-

ცისაგან შესდგებოდა როქის სპა და ეს მით უფრო, რომ მეფის ლაშქრის რიცხვი უცილობლად ცნობილი არ არის.

პირველად საზრუნველი ყივჩაყების დაბინავება იყო და მერე საომრად განწყობა და განმზადება. მეფემ დასასახლებლად შესაფერი ადგილები აურჩია და როცა დააბინავა, სალაშქრო წესის დაარსებას მიმართა. ყივჩაყნი ველურს ხალხს წარმოადგენდნენ და მისდევდნენ ეგრედ წოდებულს საგვარეულო ცხოვრებას, – თვითეული გვარი დამოუკიდებელს და საკუთარს კავშირს შეადგენდა და ამიტომ მეფემ იგინი „დააწყვნა გვარად-გვარად“, დაუდგინა სპასალარნი და მართებელნი, ყივჩაყთა რაზმნი ისრე მოაწყო, როგორც იმდროინდელი სამხედრო ხელოვნება ითხოვდა. სჩანს, რომ ყივჩაყთაგან ცხენოსანი ჯარი შესდგა და ცხენოსნობაც უფრო შეეფერებოდა იმათ ზნე-ჩვეულებას და ცხოვრებას. დიდი შრომა მოანდომა მეფემ ამ ცხენოსანთა გაწვრთნას, ბევრი იღვაწა სალაშქრო წესიერების ასაღორძინებლად, მაგრამ სრულიად თავისი წადილი მაინც ვერ შეასრულა. ასე გასინჯეთ, ომის დროსაც კი ყივჩაყნი შფოთსა და უწესოებას არა სტოვებდნენ, ქართველ ჯარს უსიამოვნებას აყენებდნენ, შუღლს უწევდნენ ასეთი გაუწრთვნელობა საქმეს აფერხებდა და ხანდახან მტერს შველას აძლევდა. სწორედ ყივჩაყების მოუსვენრობა და დაუდეგრობა შეიქმნა მიზეზად, რომ შემახიიდან სულტანი მაჰმუდი გაიპარა და ტყვედ არ ჩაუვარდა ძლევა-მოსილს მეფესა [42]). ეს კიდევ არაფერი. არა ერთხელ და ორჯელ განიზრახეს ყივჩაყებმა გვირგვინოსანის სპასპეტის ღალატი და მოკვლაც კი, მაგრამ ვერ მოახერხეს [48]), რადგანაც მეფე იმათ განზრახვას თავის დროზე ტყობულობდა და სპობდა. ყოველ შემთხვევაში, ყივჩაყებმა საქართველოს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანეს, განაძლიერეს მისი სახელი. რასაკვირველია, ამის მიზეზი ისევ

---

[42]) Additions… 238 – 40.

[43]) ქ. ცბა, გვ. 262.

და ისევ მეფე იყო, – უებრო სპასპეტმა და პოლიტიკოსმა ზედ-

მიწევნით იცოდა ყივჩაყების ავიცა ღა კარგიც და ამ ცოდნას სამეფოს სასარგებლოდ ჰხმარობდა. როქის სპის დაარსების შემდეგ მეფემ შრომას უფრო მოუმატა და მემატიანეც განცვიფრებით იხსენებს იმის მხნეობას 44) და დასძენს, – იმის ქმნილთაგან მხოლოდ მცირედს გადმოქცემთო. მაგრამ ეს მცირე დიც“ საკმაოა დავით აღმაშენებლის დიდთა საქმეთა საცნობლად. და თუ მატიანის „მცირედს“ სხვა ცნობებსაც ზედ დავურთავთ, მაშინ ხომ უფრო დიადად აღმოსჩნდება გენიოსის სპასპეტის მოღვაწეობა...

IV

მტერი ჯეროვანს თვალყურს ადევნებდა მეფის მოქმედებას, მისვლა-მოსვლას, იმის თვითეულს ნაბიჯს. მიჩენილი ჯაშუშები ყველაფერს ტყობილობდნენ, მაგრამ მეფის განზრახვას კი ვერ გებულობდნენ. და, სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის ხასიათს თავისი განზრახვის დაფარვა შეადგენდა. მტერთან სპასპეტს გულახდილი და წრფელი დამოკიდებულება არ შეშვენის. იქნება ესრეთი საქციელი წინააღმდეგი იყოს ზნეობრივის კანონისა, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სპასპეტისათვის, რომელიც, ლაშქრობის დროს, უნებლიედ ემორჩილება სხვა გვარს ზნეობას. მეფეც, თუ ასე შეიძლება ითქვას, სალაშქრო ზნეობას მისდევდა: ჩვეულებად ჰქონდა განგებ აფხაზეთს გარდასვლა და მტრის ჩამიტყუება საზამთრო ადგილებში, მტკვრის პირად. და როცა თურქმანები მთებიდან ჩამოდიოდნენ და ერთად გროვდებოდნენ ველ-მინდორზე, მეფე ესხმებოდა და მუსრს ავლებდა. თვით ესრეთი **დასხმაც** [1]) მეფის ჩვეულებრივს სალაშქრო მოქმედებას შეადგენდა. შემ-

---

[44]) ib. 248.

[1]) დ ა ს ხ მ ა ესე არს, რა მტერმან დრო დაიცეს და განუმზადებელს მტერს უეცრად მიეტეოს, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

დეგ როქის სპის დაარსებისა, თურქობა უწინდებურად ვერა ჰბე-

დავდა ვაკედ ბინადრობას, მაგრამ მეფემ ჩამოიტყუვა: 1120 წელს, როგორც კი ზამთარი დადგა, მაშინვე მეფე ქართლიდან იმერეთს წავიდა და გეგუთს დაბინავდა. გეგუთი ზამთრობით მეფეების სად-
გურს შეადგენდა და მდებარებდა რიონის პირად, ქუთაისის ახლო [2]).
იქ იყო მშვენიერი სრა-სასახლე, რომლის ნანგრევები ეხლაც ჰმოწმობენ ამ ძველის „ციხე-დარბაზის“ სიტურფეს [3]). მაგრამ გეგუთიდან დავით აღმაშენებელი მალე გაემგზავრა სავ ზღვი-საკენ და, მტრის თვალის ასახვევად, გადავიდა ხუფთას, ზღვის კიდეებთან მდებარე ალაგს [4]). ჯაშუშნი, მატიანის სიტყვით – **მსტოვარნი,** გაფაციცებით ყურადღებას აქცევდნენ მეფის სი-
არულს და ქართლში ატყობინებდნენ თურქებსა. ამ უკანას-
კნელთ შეიტყეს მეფის შორს ყოფნა და იწყეს საზამთრო ად-
გილს მოგროეება. დიდ-ძალი თურქობა მოგროვდა და დაიზამ-
თრა ბოტორაზე [5]). მეფესაც ხომ ეს უნდოდა და, სცნო თუ
არა ეს ამბავი, დაუყონებლივ და მსწრაფლივ წამოვიდა ქართლს.
თოთხმეტს ფებერვალს უეცრად დაეცა მტერსა. დაიწყო საში
ნელი ღვრა სისხლისა, რომელმაც თოვლით თეთრად მოფენი-
ლი მინდორი წითლად შეღება. ძლიერ ცოტამ უშველა თავს
და ცხენზე შეჯდომა მოასწრო გარდასახვეწად, ხოლო უმრა-
ვლესობა დაატყვევეს. ქართველთა ალაფიც დიდი დარჩათ [6]).

რასაკვირველია, ესოდენ ჯაფის შემდეგ, სხვა სპასპეტი ცოტახნობით მაინც დასვენებას მიეცემოდა, მაგრამ ტყუილად კი არ ამბობს მემატიანე, რომ ჩვენმა წინა-მბრძოლმა „არა ჰსცა ძილი თვალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსვენება ხო-

---

[1]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 370.

[2]) გაზ. «კვალი» 93 წ. № 5, გვ. 11-13.

[3]) ბროსსეს, თუმცა ბეჯითად არა, მაგრამ ჰგონია, რომ ხუფთა მდებარებდა იქ, სადაც მდინარე ხუფსა შავ ზღვას ერთვის, H. de la G. I. 325, n. 1. ვახუშ-ტი ამბობს, ხ ო ფ ს მივიდაო. ხოფი სხვა ალაგია, თუმცა იგიც ზღვის პირად მდე-ბარებს სამეგრელოში, ib 364, n. 1. გეოგრაფია გვ. 396.

[4]) ბოტორას მაგიერ სომხური ქრონიკა თ უ ხ ა რ ს იხსენებს. ბროსსე ამბით, არც ერთისა და არც მეორის მდებარება არ ვიციო, H. de la G. I. 364 .n. 2.

[5]) Chron. armén-იც იხსენებს ამ ამბავს, თუმცა ერთის დღით ადრე, p. 58.

რცთა თვისთაო“... მეფის კურთხეულ მარჯვენას დაღალვა თი-
თქო არ ეკარებოდა. მისი სალაშქროდ სვლა ნამდვილს ფრენას
მიაგავდა და თანამედროეც სწორედ ეგრე განმარტებს, – მეფე
აფხაზეთიდან ბოტორაზე გადმოფრინდაო... ეხლა ეს ახოვანი
და ძლევა-მოსილობით აღფრთოვნებული სპასპეტი ღანუღისკენ
გადაფრინდა და იქიდან, დიდ-მარხვის დამდეგს, თავისის ჯარით
შირვანს შეესია. აიღო მდიდარი ქალაქი ყაბალა, რომელსაც
სომხური ქრონიკა კაპაკალაკს უწოდებს [7]). ყაბალაში მეფემ მრა-
ვალი ოქრო, ვერცხლი და სხვაგვარი ძვირფასი ნივთი მოიპო-
ვა და ალაფით სავსე დაბრუნდა ქართლში, მაგრამ ისევ მალე,
„მყის“, მაისის თვის დამდეგს, მეორედ გაილაშქრა შირვანზე
შეკრებილის ჯარით. არა სწერია, თუ რა იყო მიზეზი პირვე-
ლისა ან მეორის გალაშქრებისა, მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ,
რომ ორსავე ლაშქრობას საგნად ალაფის შოვნა ჰქონდა. იმ
დროს საალაფო ლაშქრობა ჩვეულებად იყო მიღებულთ. მე-
ფემ დააარსა როქის სპა, რომლის შენახვას საზრდო და ჯამაგი-
რი ესაჭიროებოდა და უმთავრესი მიზეზიც ეს არის საალაფო ლა-
შქრობისა. ამას გარდა, შირვანი მტრის თვალით უცქეროდა სა-
ქართველოს გაძლიერებას და, როცა შეეძლო, მხარს უჭერდა
თურქმანთ. ესეც ხომ ხელ-მოსაკიდი საბუთი იყო ლაშქრობი-
სათვის. მეორე ლაშქრობის დროს მეფემ მთლად გადალახა
შირვანი. თან საკმაო ჯარი ჰყავდა. ამ ჯარმა ქურდევანამდე
ინავარდა და მრავალ ალაფით დატვირთული დაბრუნდა საქა-
რთველოში [8]). მაგრამ დიდხანს არ დაუსვენია და იმავე 1120
წელს სხვა ადგილს მოუხდა ომიანობა.

ტაოს სამხრეთით, მდ. არეზის სათავის მიდამოს შუა, მდე-
ბარებდა ერთი ადგილი, სახელად **ბასიანი,** რომელიც წინად
სომხებს ეკუთვნოდა და შემდეგ კი საქართველოს ბაგრატიო-

---

[7]) Chron armén. 58.

[8]) ქ. ცბაში სწერია: «ჩავიდა შარვანს... არაბია-ლიჟათათ ქურდევანამდე და შიშტლანთამდე»... I. გვ. 248. ვახუშტი შიშტლანთას მაგიერ შ ი მ შ ა ტ ა ს სწერს. ბროსსე ამბობს, ლიჟთა ლაიშს მიაგავსო და ლაიში შირვანსაო, ხოლო შიშტლანთა ან შიმშატა სად მდებარეს, არ ვიციო, H. de la G. I. 364 .n. 6.

ნებმა დაიპყრეს და სამცხეს შეუერთეს [9]) ბასიანის გვერდით. და მიჯნით სომხებს ჰქონდათ **აშორნა**, ცალკე სათემო ადგილი. იმ დროს თურქთა ხელთ იყო სომხეთი, საქართველოს საზღვრებამდე, და სომხეთიდან ეცემოდნენ კლარჯეთ-ტაო-ბასიანსა. როცა მტერმა შეიტყო მეფის შირვანში ლაშქრობა, წინ წამოიწია და ჰსურდა საქართველოს შემოსეოდა. მტერს თითქო მეხსიერებამ უღალატა და დაავიწყდა ტაოსის დამარცხება. დავით აღმაშენებელმა შეიტყო თუ არა თურქების გახზრახვა, უმალვე აშორნასკენ გაემართა ჯარით და ჩვეულებისამებრ, დაესხა მტერსა, _ ზოგნი დახოცა და მრავალი ტყვედ წამოიყვანა. ალაფი სხვა იყო. დაბრუნების დროს, გზაში, ქართველებს მეორედ შეემთხვათ მტერთან ბრძოლა. გამარჯვებული მეფე თავზე წაადგა დაბანაკებულ თურქმანებს **სევგელამეჯში** და ისე დაამარცხა, რომ. „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთაო [10]).

თურქმანნი არ ისვენებდნენ და როცა კი მეფეს დაიგულებდნენ შორს, მტკვრის ნაპირებისკენ მოდიოდნენ საზამთროდ. იმათ ქვემო-ქართლს, აქა-იქ, თითო-ოროლა ციხე კიდევ ეჭირათ. ტფილისიც იმათ ხელში იყო. ამას გარდა, სომხეთსა და მცირე აზიაში მდებარე სხვა-და-სხვა საამირო უნებლიედ შველის იმედს უბადავდა. საქართველოში და იმის საზღვრად მყოფ თურქობასა და მიზეზიც ეს არის, რომ 1121 წელს ელი ხალხი სომხეთის მთებიდან ჩამოვიდა და მტკვრის პირად საძოვარ ველ-მინდორს დასახლდა თავისის საქონლითა. იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა და ზამთარიც მკაცრი იყო. მეფე, საქმეების განსაგებლად, აფხაზეთს წავიდა და ბიჭვინტამდე მოვლო. რასაკვირველია, თურქმანთ ეგონათ, მეფეს ჩვენთვის არ

---

[9]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 120. პ. იოსელიანი ამბობს ქ. ბასიანი – ეხლა ასან-ყალა ეწოდება – მეფე ბაკურ მესამემ ააშენაო 576 წელს, Города... въ Грузіи“, стр. 34, მაგრამ ეს ამბავი არაფრით მტკიცდება და იმ დროს არც ბაკურ მესამე, იყო ცოცხალი, H. de la G. I. 214 – 16.

[10]) Chron armén-ი სევგელამეჯის ბრძოლას არ იხსენებს, p. 58. არ ვიცით, სად მდებარებდა ეს ადგილი, რომელსაც ვახუშტი თავის ისტორიაში ს ე ვ გ ე ლ ა მ ე ნ ჩ ა დ სწერს.

სცალიანო და გულ-უშიშრად იმყოფებოდნენ. მაგრამ მეფემ სხვაფრივ ინება და „ლომი“ დაბრკოლებას არ მოერიდა, ქართლში ლაშქარი მზად იყო და მხოლოდ „წინა-მბრძოლის“ მოსვლას ელოდებოდა. ეს, „წინა-მბრძოლიც“ მალე მოვიდა. დიდმა თოვლმა ვერ დააბრკოლა მფრინავი სპასპეტი. ლიხის მთის გადასავალი შეკრული იყო თოვლითა, რომლის სიმაღლე სამ მხარს შეადგენდა, მაგრამ მეფემ „გარდაათხრევინა მთა ლიხისა“ და იმიერნი ამიერთა ლაშქარს შეუერთა. ლაშქრის სიმრავლე დიდი შესდგა. მეფემ ჩვეულებრივს ხერხს მიმართა – სისწრაფესა და დასხმას: ჯერ ქართლში არც კი გაეგოთ, რომ მეფე უეცრად თავს დაეცა სულტანსაო, ამბობს მატიანე [11]). იმ დროს სპარსეთში სულტნად იჯდა ძლიერი-სანჯარი, ხოლო იმის ძმისწულს მაჰმუდს სპარსეთის მცირედი ნაწილი ეჭირა. ამ უკანასკნელის ძმა, სახელად მელიქი, განჯის გამგებლად ითვლებოდა [12]). ამიტომ გვგონია, რომ ამ შემთხვევაშა სულტნად უნდა იგულისხმებოდეს მაჰმუდი, რომელმაც ალბად ჯარი მოაშველა თავის ძმას მელიქს, განჯის გამგებელს. დავით აღმაშენებელმაც სწორედ ამ მიზეზის გამო შეკრიბა მრავალი ლაშქარი. მატიანის სიტყვით, ჩვენმა ლაშქარმა აღავსო მთელი ადგილი ლიხის მთიდან მტკვრამდე და, გაგიდან ბერდუჯამდე [13]). სომხურ ქრონიკიდან სჩანს, რომ მებრძოლეთა პირველი შეჯახება მოხდა ხუნანში [14]). უძველეს დროიდანვე შესანიშნავი ციხე-ქალაქი ხუნანი, რომელსაც პრგვლად მთკვრის-ციხე ეწოდებოდა, ქართლოსმა აღაშენაო და მდებარებდა ტფილისიდან აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც მტკვარს ქცია ერთვის [15]). ხუნანი მტკვრის არემარეს იფარავდა და მტრის მეციხოვნეთ ეკუთვნოდაო. ციხის-

---

[11]) ქ. ცბა, გვ. 249.

[12]) Варданъ Великій, стр. 145 _ 6.

[13]) გაგი ციხე იყო და მდებარებდა საქართველოს სომხითში, ჩირდილო-აღმოსავლეთით, თუმცა კი არა სჩანს, სახელდობრ რა ადგილას, Варданъ, примѣч-716, стр. 176.

[14]) p. 59.

[15]) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 168. იხ. Города... въ Грузіи“, 39 – 40.

გარეშემო, დიდს მანძილზე, მდინარის გაღმა-გამოღმა, საზამთროდ დაბინავებული იყო თურქობა. ხუნანთანაც გამარჯვება დავით აღმაშენებელს დარჩა. იქიდან მეფის ლაშქარი წავიდა ქვემოდ აღმოსავლეთისაკენ, საქართველოს სომხითის სამზღვრის კერძოდ და ისე მოსრა მტერი, რომ ამბავის მთხრობელიც არ გადარჩაო... ამ გალაშქრების შემდეგ მეფე უკანვე დაბრუნდა და ჯარი დაასვენა, მაგრამ ისევ მალე მოუხდა საომრად წასვლა. ორი თვე გავიდა და მეფემაც ხელ-მეორედ შეკრიბა ლაშქარი. იმ წელს, დიდის თოვლის გამო, მტკვარი ძლიერ მოვარდა, წყალს ნაპირნი ვეღარ იტევდნენო. ამის იმედით თურქმანნი უდარდელად დაბინადრდნენ ქ. ბარდასთან, რომელიც განჯას ქვემოდ იდვა, მტკვრის მარჯვნივ. ლაშქარი განჯის გზით არ წავიდა. სჩანს, მეფეს ჩვეულებისამებრ მტერზე **დასხმა** ესურვებოდა და საჭირო იყო სხვა მხრით მისვლა. იგი თავის ყივჩაყებით ხუნანის ახლო ადიდებულ მტკვარში გაცურდა [16]) და მეორე ნაპირას გავიდა. მტერი არ მოელოდა დასხმას და საშინლად დამარცხდა. დავით აღმაშენებელს მრავალი ალაფი დარჩა. ორის დღის შემდეგ ძლევა-მოსილი მეფე ქართლში დაბრუნდა.

ბარდის ბრძოლამ დიდი გავლენა იქონია თურქებზე. ჯერ ერთი, რომ იმათ დასტოვეს ქვემო-ქართლის სამზღვარი და სპარსეთისკენ გადიხვეწნენ; მეორე, – სრულს სასოწარკვეთილებას და შიშს მიეცნენ. ცხადი იყო, რომ მოკლე დროს იმათი ბატონობა უნდა მოსპობილიყ. სწორედ ასეც მოხდა და ეს ეგრედ წოდებულ დიდ-გორის ბრძოლს შედეგი ხყო.

დიდ-გორის ბრძოლას ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო ისტორიაში. თავის დროზე ამ ბრძოლამ აზიის ყურადღება მიიპყრო და მისი ამბავი თვით ევროპაშიც კი გაისმა. უცხოელნი მეისტორიენი აღტაცებით მოგვითხრობენ დიდ-გორის საოცარს ლაშქრობას. ამას თვისი საბუ-

---

[16]) ...«ალონს მტკვარსა გაუცურდა», ქ. ცბა, 249. უნდა იყოს ხ უ ნ ა ნ ს ო, H. de la G. I. 265 n. 3. Chron arm. 59. აქ შეცდომით ხუნანისა და ბარდას ბრძოლა ერთად არის მოხსენებული.

თი აქვს. იქ, დიდ გორის ხეობაში, საქართველოს მეფე გაემ-
კლავა მაჰმადიანობის საუკეთესო სარდალთა, მრავალს, ხელოვ-
ნურად დარაზმულს ჯარს და სრულიად დაამარცხა შეერთე-
ბული ძალა სპარსეთის სულტნისა და მისი ამირებისა. მარ-
თალია, მაჰმადიანთა მწერალნი ღირსეულს ფასს არა სდებენ
მეფის საკვირველს გამარჯვებას და თითქო კიდეც ამცირებენ
დიდ-გორის ბრძოლის მნიშვნელობას, მაგრამ ამის მიზეზი ად-
ვილად გასაგებია და პირუთვნელი ჭეშმარიტება სულ სხვაფ-
რივ ჰმოწმობს. უცილობლად არ შეიძლება ითქვას, თუ რა
დროს მოხდა ეს შესანიშნავი ბრძოლა, თუმცა სინამდვილეზე
უფრო ახლო იქნება, უკეთუ ამ ლროდ 1122 წ. მივიღებთ [17]).
არ ვიცით ბეჯითად თვით ის კერძო გარემოებაც, რომე-
ლიც ბრძოლის საბაბი შეიქნა. რასაკვირველია, საზოგადო მი-
ზეზი საქართველოს და სპარსეთის ურთიერთი მტრობა და
დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლევამოსილობა იყო. საქა-
რთველოს მეფე მეტად საშიში შეიქნა მაჰმადიანობისათვის;
სპარსეთი ამას კარგად ჰგრძნობდა. ხოლო ჩვენი მატიანე ზო-
გადად მოგვითხრობს, რომ „ჭირთაგან“ შევიწროებულნი გან-
ჯელ-ტფილისელ-დმანელნი ვაჭარნი წავიდნენ სულტანი აღა -
მხედრეს საქართვლოზეო [18]). ერთ უცხოელ მეისტორიეს
თქმით, სახელდობრ აი თურმე რამ გამოიწვია დიდ-გორის
ბრძოლა. საქართველოს სამზღვრად, ეჩმიაძინის მხარეს, მდება-
რებდა საამირო თძაკი, რომლის გამგებელი, ამირი კაზი მეფე
დავითის მორჩილების ქვეშ იმყოფებოდა. 1121 წ. კაზი უმიზეზოდ
ოცდა ათი ათასი ჯარით შემოესია თრიალეთის საერისთაოს, აიკ-
ლო და ტყვენი წაიყვანა. მეფემ სამაგიერო გადაუხადა და
დიდი ვაება მიაყენა მოღალატე ამირსა, – ბევრი ხალხი გაუწ-
ყვიტა, მრავალი დაატყვევს და დიდი ალაფი წამოიღო. თურ-
ქებს ეწყინათ. ჩაიცვეს ძაძა, ჩვეულებისამებრ თავზე მტვერი
დაიყარეს და გასწიეს საჩივლელად. ზოგნი თავრიზს წავიდნენ

---

[17]) H. de la G. I. 366 n. 1. Additions… 237 – 9.

[18]) ქ. ცბა, გვ. 249.

სულტანთან და ზოგნი მცირე აზიაში, გავლენიან ამირ ელ-
ღაზთან [19]).

თავრიზის მბრძანებელი მელიქი, რომელიც თავისის ძმის მაჰმუდის თანაშემწედ ითვლებოდა და შემდეგ მთელი სპარსეთის სულტანად დაჯდა, ძლიერ განრისხდა საქართველოს მეფეზე. არა ნაკლებ აღელდა და გასწყრა ელღაზიც, რომელიც უმისოდაც მტრულად უცქერდა დავით აღმაშენებელს და ჰსურდა იმის დამარცხებით ანტიოქია და იერუსალიმი ჯვაროსნებისთვის წაერთმია. ელღაზი ზვავი და გულ-დიდი ამირი იყო, ამასთანავე დიდის და განთქმულის შთამამავლობისა. ვიდრე ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყებოდა, იმისი მამა არს შვილს დაუტოვა. შემდეგ, როცა ჯვაროსნებმა აიღეს წმინდა ქალაქი, ელღაზმა საკუთარი საამ ირო დაარსა და დიდად განითქვა მცირე აზიაში [20]). ეს ამირი გაწვირთნილი იყო ლაშქრობაში და თავის დროს საუკეთესო სარდლად ითვლებოდა. როცა ჯვაროსანნი ალყით ანტიოქიას შემოერტყნენ, ელღაზი გამოჩენილ მოსულის ამირ კერბოღასთან ერთად სამი კვირა, დღე და ღამე, მამაცურად ებრძოდა ევროპელებს და თუმცა ბრძოლა ქრისტიანების სასარგებლოდ გათავდა, მაგრამ ევროპის რაინდნი მაინც განცვიფრებით შეჰყურებდნენ მტრის მხნეობას და გულადობასა [21]). მართალია, ელღაზმა და იმის თანაშემწე სარდლებმა ჯვაროსნებს ვერ წაართვეს ანტიოქია, მაგრამ შემდეგ ელღაზმა საშინლად დაამარცხა ანტიოქიის მთავარი როჟე და ბევრი ჯვაროსანი რაინდი გამოასალმა წუთისოფელს. თვით იერუსალიმის კოროლი ბოდუენ მეორე ვერ გადურჩა იმის ძლევა- მოსილობას და იქნება, ელღაზის მეცადინეობით,
სამეფო ხელიდანაც გამოსცლოდა, მაგრამ ამირს შვილი აეშალა და გამარჯვებული სარდალი თავის სამფლობელოში გაეშუ-

---

[19]) Additions… 228 n. 1-5. იმ დროს ელღაზი ჰალიბის (Алеппо) იმირი იყო, H. de la G. I. 365 n. 8.

[20]) Шлосеръ, 653-4. Веберъ, 452-3.

[21]) Веберъ, 521-3.

რა [22]). ჯვაროსნებთან ლაშქრობამ გამოსცადა და განავითარა სამხედრო ნიჭით შემკული სარდალი, თუმცა იმავე ბრძოლამ დიდი მძულვარება დაუნერგა გულში ქრისტიანობისადმი. ამიტომ, როცა „ჭირთაგან“ შევიწროებულ მაჰმადიანთა მდგომარეობა შეიტყო, დიდს საომარ მზადებას შეუდგა და შეკრიბა ასორმოც და ათი ათასი ჯარი. ელღაზმა ამოდენი ჯარიც არ იკმარა და საშველად მოიწვია თავისი სიმამრი, ჰილლახის ამირი დურბეზი, სადაყას შვილი [23]).

დურბეზი თავის სიძეზე ნაკლებ სარდლად არ იცნობებოდა და დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა. ამასთანავე დიაღგავლენიანი ამირი იყო მთელ მაჰმადიანობაში და ხელთ ეპყრა უზარ-მაზარი ადგილი ეფიოპიიდან ინდოეთამდე. ერთხელ თვით ხალიფის სატახტო ქალაქი ბაღდადიც კი დაიჭირა და რამდენჯერმე შეებრძოლა სპარსეთის გამოჩენილს სულტანს ხანჯარსა. ისტორიკოსნი დურბეზს ჰხადიან ნიჭიერ ამირად, პოეტად, ცბიერად და .ამასთანავე მიაჩნიათ თავისუფალ აზრის კაცად,, რომელიც ჰგმობდა მაჰმადსაო [24]). თავისუფალი აზროვნება დურბეზს არ უშლიდა ფანატიკოსებს მიმხრობოდა, და ათი ათასი კარგად შეიარაღებული ჯარი შეჰყარა საქართველოზე გასალაშქრებლად. თავრიზის ანუ განძაკის მფლობელმა მელიქ თოგრილმა კიდევ ორმოცი ათასი მეომარი გამოიყვანა. ამ სამს სარდალს მეოთხეც მიემატა – ყარაბაღის და ნახჩევანის ბატონი კონდოლი [25]), და ამოდენი უსჯულოება აღსდგა პაწია საქართველოზე, რომელსაც მხსნელად და მეოხად გენიოსი სპასპეტი ჰყავდა. მაჰმადიანთა მწერალნი ამბობენ, ჩვენი ჯარი ოც და ათ ათასს კაცს არ აღემატებოდაო [26]), მაგრამ ეს მართალი არ არის, – იმათი ლაშქარი ორას ათას მეომარზე მეტიც იქნებოდა, რად-

---

[22]) ib. 538 _ 9.

[23]) Additions… 228 n. 6. ჩვენი მატიანე ამბობს თითონ სულტანმა მოიწვია დურბეზიო, გვ. 249.

[24]) Веберъ, 538. Additions… 228 – 9.

[25]) Additions… 239 n. ქ. ცბა, გვ. 249.

[26]) Additions… 237 – 8.

განაც მთელ მცირე აზიის ძალამ ერთად მოიყარა თავი საქართველოს ასაოხრებლად და გასანადგურებლად [27]).

სპარსეთის სულტანმა მხედართ-მძღვანობა ანუ ლაშქრის უფროსობა უბოძა ელღაზს, „კაცსა მრავალ-ღონესა“, „ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“. ელღაზი ჯერ თავრიზს მივიდა და მერე იქიდან საქართველოსკენ დაიძრა. ვინ უწყის, რაოდენი სანეტარო იმედი და წადილი ებადებოდა გულში ამ ბედისაგან გალაღებულს სარდალსა!... ამბობენ, ვითომ დიდ-გორის ომიანობის წინად დავით აღმაშენებელმა მცირე აზიაზე გაილაშქრა [28]) და ევროპელ ჯვაროსნებს მხედრობა მიაშველაო [29]). რასაკვირველია, ამის შემდეგ ჯვაროსანთა და ქრისტიანთა დაუძინებელ მტრის რისხვას საზღვარი არ უნდა ჰქონოდა და ეს მით უფრო, რომ ელღაზს დავით აღმაშენებელი თავის პირად მეტოქედ მიაჩნდა. ჩვენს მეფეს შედარებით ცოტა ჯარი ჰყავდა. საბრძოლველად გამოიყვანა ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაყი, ხუთასი ოსი და ასი ფრანგი, სულ ორმოც და თხუთმეტი ათასი და ექვსასი მეომარი, ე. ი. ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე მტერმა [30]). მაგრამ ამ მცირედს ჯარს დავით აღმაშენებელმა ძლევის სული ჰშთბერა, რადგანაც „წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“.... „უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა“ პირველადვე შეიგნო ელდაზის დიდი შუცდომა. ეს შეცდომა-იმაში მდგომარეობდა, რომ ელღაზი მთიან ადგილას დაბანაკდა და თავისი ლაშქარი ვრცელს მანძილზე გააბნია, ასე რომ რაზმთა და წყობათა შორის კავშირი და ერთობა არ არსებობდა. თავისი-ჯარი სამ ნაწილად გაჰყო და ბანაკად დაუნიშნა თრიალეთი,

---

[27]) ib. 229 n. 4. თუმცა გი,,თიმს გაუზვიადებია ლაშქრის სიმრავლე. მატზე. ჯსელის სიტყვით, მთლად მაჰმადიანთ ჯარი ორას ათასს კაცს შეადგენდა, ib 228 – 9.

[28]) ib. 239.

[29]) II. Іоселіни, Ист. груз. церкви, 1843 г. стр. 72 – 3.

[30]) Additions… 229. n. ასე ანგარიშობს მათე ედესელი, ხოლო გოთიეს თქმით, ქართველებს ჰავდათ 80 ათასი ჯარი, მტერს – 600 ათასი, ib. n 4. მაგრამ ეს გაზვიდებული რიცხვია.

დიდ-გორი და მანგლისი [31]). რადგანაც მტერი ზაფხულს მოვიდა საქართველოში, ალბად ელღაზმაც იმიტომ ამჯობინა გრილი ადგილები, მაგრამ საუბედურო ის იყო, რომ იმ ადგილებში, სადაც ღრე და ოღრო-ჩოღრო პატარა ხეობა მრავალია, დიდი ჯარი ფრთას ვერ გაშლიდა, ერთი რაზმი მეორეს შველას ვერ გაუწევდა. სწორედ ასეც დაემართა მტრის დიდს ლაშქარსა. დავით მეფემ დიაღ კარგად იცოდა ელღაზის შეცდომა. იმან პიველად ელღაზის ლაშქრის მარჯვენა ფრთა დაამარცხა თრიალეთზე, მერე მარცხენა და დასასრულ მიმართა შუაგულ ლაშქარს, რომელსაც დიდ-გორის მთის კალთები ეჭირა. თვით ადგილი დიდ-გორი, სადაც ეს შესანიშნავი ბრძოლა მოხდა, წარმოადგენდა ხეობას, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ზღუდავდა ტყით დაბურული მთა. მეფემ სანგლებით შეჰკრა ხეობის გასავალი გზები და ამითი მოუსპო თავის ჯარს საშუალება უკან დაბრუნებისა. მერე მოწინავე რაზმები წასწია მტრის ბანაკის ახლო, ხეობის სათავისაკენ და ორასი მეომარი მიუსია წინ-მდგომარე ელღაზის რაზმსა [32]). იმ ორასმა მეომარმა ასტეხა ბრძოლა, პირველად იგინი ეკვეთნენ მტერსაო. მაჰმადიანნი იმათ აბრალებენ ოლღაზის დამარცხებას. აბდულ ფარაჯ და ელ-აინის სიტყვით, ორასი ყივჩაყი პირდაპირ წამოვიდა მოწინავე რაზმისაკენ და მაჰმადიანთა ღონის-ძიება არ მიიღეს, რადგანაც მეფის მოღალატენი ეგონათ, მაგრამ ყივჩაყნი რაზმის შუა გულში ჩაერივნენ, ისრის სროლით გაჰფანტეს რაზმი და უკუ აქციესო. უკან მდგომარე რაზმმა იფიქრა, _ წინა რაზმი გამოიქცაო, და თითონაც გაიქცაო. ამის გამო ერთი რაზმი მეორეს დაეჯახა, მთელი ლაშქარი აირივ-დაირივა და საქმე ამით წახდაო 33). საქმე ისაა, რომ პირველსავე შეტაკებაზე ელღაზის ჯარი შედრკა, წესი და რიგი დაჰკარგა და თავ-

---

[31]) Баратовъ IV, 18. დიდ-გორის მთა საბარათიანოშია. ამ მთიდან გამოდის მდ. ალგეთი. დიდ-გორის ქვემოთ სძევს მანგლისი, ვახ. გეოგრაფია, 170.

[32]) Additions… 229. n. 4. გოთიეს სიტყვით, ეს ორასი მხედარი ფრანგნი იყვნენ, მაჰმადიანთა მეისტორიენი კი იმათ ყივჩაყებად ჰხადიან.

33) ib. 237, 239.

ზარი დაეცა. გულადად მიტანილს იერიშს მაჰმადიანნი ვერ გა-უმაგრდნენ და გაიქცნენ. შეიქნა საშინელი სვრა და ჟლეტა, – „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“. ორმოცი ათარი მაჰმადიანი იმსხვერპლა დიდ-გორის ბრძოლამ და ოც და ათი ათასი ტყვე დარჩა ძლევა-მოსილ მეფესა [34]). რვა დღე სდევნიდნენ ქართველები ელღაზის უკუ-ქცეულს ჯარსა. თვით ელღაზი თავში დაიკოდა და ძლივს გადარჩა მოკვლას. მაგრამ მაინც მალე მოკვდა: ფლავი და ნესვი ჭარბად ჭამა და გადა-ჰყვა კუჭსაო [35]), მაგრამ ამ სათაკილო სიკვდილს სამარცხვინო დამარცხება აღემატებოდა. დიდის ლაშქრის პატრონმა და გულ-დიდმა სარდალმა მხოლოდ ათასი მეომარი გაიყოლა, ურიცხვი და ძვირფასი ალაფი დასტოვა და ხელ-ცარიელი დაბრუნდა სა-ხლში [36]).

ტფილისი ჯერ ისევ მაჰმადიანთ ეჭირად. საქართველოს დედა- ქალაქი თავის მიდამოებით ცალკე საამიროს შეადგენდა. ამირობა ბენი-ჯაფარის გვარეულობას ეპყრა და იგი გვარი ორ-ასის წლის განმავლობაში, ითვლებოდა ტფილისის გამგებელად. ბოლო დროს ბენი-ჯაფარის შთამომავლობა იქამდინ დასუსტდა და დაწვრილმანდა, რომ ამირის ღირსება და უფლება მცირე-წლოვანებს ებარათ და თვითეული მათგანი მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში განაგებდა ამირის თანამდებობას [37]). ტფი-ლისში უწესოება და აღრევა არსებობდა. დიდ-გორის ბრძოლის შემდეგ ბენი-ჯაფარიანთ იგრძნეს, რომ იმათ ბატონობის და-სასრული მოახლოვდა და შემწეობა მოსთხოვეს თურქმანთა ზოგიერთ მთავრებსა. ეხლა კი ტფილისმა მიიპყრო ქრისტიანო-ბის და მაჰმადიანობის ყურადღება. მეფემ თავის ჯარით ალყა შემოავლო მაგარს და ძნელად შეუვალს ციხესა და, როგორც ელ-სეჰები ჰმოწმობს, ორი წელიწადი გარშემო ერტყა ქალა-

---

[34]) ibid. 229. მაჰმადიანთა მეისტორიენი კი ამბობენ, ქართველებმა მარტო ოთხი ათასი მოჰკლეს და ამდენივე ტყვედ წაიწყვანესოხ, ibid. 287 – 9.

[35]) Веберъ, 538 – 9.

[36]) Additions… 229. ქ. ცბა, 250.

[37]) idid. 240-42.

ქსა [38]). ტფილისის გარშემო ბრძოლა არა სცხრებოდა და, როცა ციხის კედლებში შემოზღუდული მტერი შესწუხდა დამორჩილება განუცხადა მეფეს, მაგრამ თხოვნა არ შეუსრულლ და, – მეფემ ინება იარაღით. აღება თავის სატახტო ქალაქისა აიღო კიდეც. ჯარმა გაჟლიტა ქართველნი მცხოვრებელნი, რომელთაც სჯული ჰგმეს და მაჰმადიანობა მიიღეს, დასწვა იმათი მიზგითი და ბევრი დაატყვევა. შიშმსა და კრძალვის დასანერგად, ხუთასი ურწმუნო ჩამოჰკიდეს სარჩობელაზედ [40]).

ძლევით წაქეზებულმა ქართველმა ჯარმა დაუწყო რბევა სულტანის სამფლობელოს და დიდი გაჭირვება მიაყენა იმის ქვეშევრდომთა. მეფე ლაშქვრიდა სომხეთისა და დარუბანდისკენ მდებარე ადგილებს. შევიწროვებულმა თათრობან საშველად ჯერ ხალიფს მიმართა ბაღდადში და მერე სულტანს მაჰმუდს. ეს უკანასკნელი განრისხდა და ჯარით მოვიდა ადერბეიჯანს, საიდანაც თავრიზის (განძაგის) გამგებელი მელიქი სამოცი ათასის კაცით გამოგზავნა საქართველოს ასაოხრებლად. მელიქმა ხიდი გააკეთებინა მტკვარზე და შირვანის მხრით ჰსურდა შემოსეოდა საქართველოს, მაგრამ დავით აღმაშენებელმა წადილი მოუსპო. მეფის მოწინავე რაიხმა ხიდი დაანგრია და ხიდის მცველი რაზმიც შემუსრა. მელიქი თავრიზში გაეშურა და იმედგაცრუებული მივიდა სულტან- მაჰმუდთან [41]). მეფე კი შირვანში შევიდა. იქაურს მცხოვრებლებს ვაება დაადგათ ქართველ ჯარისაგან, რადგანაც შირვანი მომხრე იყო სულტანისა და იმის განზრახვას ესარჩლებოდა. დარუბანდელებმა ვეღარ გაუძლეს გაჭირვებას და დესპანები გაუგზავნეს სულტან მაჰმუდს, რომელსაც შემწეობას სთხოვდნენ. მაშინ თითონ სულტანი დაიძრა თავისის ლაშქრით და მოვიდა შირვანში, სადაც მეფე იმყო-

---

[38]) ibid. 238. ჩვენი მატიანე ამბობს, მეფემ «პირველსავე ომსა» ტფილისი 1122 წ. აიღოო, ქ. ცბა, 250. ზოგნი სხვა დროს უჩვენებენ: 1120 – 28 წწ. H. de la G. I. 367 n. 3. ეს წელთა განსხვავება ამტკიცებს, რომ მეფემ უმალვე ვერ აიღო ტფილისი.

[39]) Additions… 242.

[40]) Варданъ Великій, стр. 146.

[41]) Additions 230, 239, 242.

ფებოდა. როცა ორი მოწინააღმდეგე ჯარი ერთმანეთს შეხვდა
და ერთმა მეორეს თვალი გადაავლო, მტერი შიშმა შეიპყრა
და ვეზირმა სულტანს ურჩია კიდეც უკან დაბრუნება, მაგრამ
შირვანელებმა არა ჰქნეს, _ ჩვენ უთქვენოდ ქართველებს ვერ
შევებმითო. სულტანმა შებმა ვერ გაბედა, ველად დაბანაკებული
ჯარი აჰყარა და ქ. შამახიაში გამაგრდა. მეფემ ალყა შემოარტ-
ყა ამ ციხეს და ისრე მჭიდროდ შემოზღუდა, რომ თავმომწო-
ნე სულტანი სიმდაბლით ემუდარებოდა „გზასა სამტოლვაროსა“.
სულტანს საოტი აღარა ჰქონდა. შიმშილმა და წყურვილმა
შეაწუხა. იმის ჯარი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებო-
და და სასოწარკვეთილებას მიეცა. რანის ათაბაგს აღსუნღულს
ეწადა სულტანის ხსნა და საშველად წამოვიდა, მაგრამ ვერას
გახდა: ქართველებმა დაამარცხეს, ოთხი ათასი კაცი დაუზარა-
ლეს და კინაღამ თითონაც არ მოჰკლეს [42]). სულტანი ჯა-
რით დატყვევებას ვერ გადარჩებოდა, მაგრამ იმის საბედოდ
ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა მეფის ბანაკში: მაჰმადიანი მწე-
რალნი ამტკიცებენ, ქართველებსა და ყივჩაყებს რაღაზედაც
უსიამოვნება და ჩხუბი მოუხდათ, ჩხუბი ომად გადაიქცა და
ამის გამო სულტანი ღამით გაიპარა შამახიიდან და თავს ა უშ-
ველაო [43]). თუ არ ასეთი შემთხვევა, სულტანი ხელიდან ვერ
წაუვიდოდა მეფეს, რომელსაც შამახიიდან გასავალი გზები და-
ჭერილი ჰქონდა და სულტანი, თითქო ფრინველი გალიაშიო,
ისე დამწყვდეული ჰყავდა. მაჰმუდის გაპარვის შემდეგ დავით
აღმაშენებელი საქართველოში დაბრუნდა. საჭირო იყო დარ-
ღვეულ სამხედრო წესისა და რიგის აღდგენა, დამნაშავეთა გან-
კითხვა და განსჯა. მაგრამ ერთის თვის გასულს მეფე ჯარით
ისევ შირვანში წავიდა, აიღო სატახტო ქალაქი გულისტანი,
მკვიდრნი დაიმორჩილა და ხარჯი დაადო [44]).

შირვანზე გალაშქრება მეფეს მოუხდა 1123 წ. ივნისს,
„სიცხეთა მათ საშინელთა“ და შემდეგ დაბრუნებისა დასასვე-

[42]) ibid. 238 – 9. ქ. ცბა, 251.

[43]) Additions… 238 – 40, 243.

[44]) Chr. arm. 59. ქ. ცბა, 251. ბროსსე, შეცდომის გამო, ამ ამბავს სხვა-ფრივ სთარგმნის, H. de la G. I. 368.

ნებლად და ეგრედვე სამეფო საქმეების მოსაწყობლად გეგუთს წავიდა. მეორე წელს, მარტის თვეს, ისევ ქართლში მოვიდა დმანისის ასაღებად. **დმანისი, დბანისი** (სიტყისაგან „დაბა“, გარეშემო ბევრი დაბა და სოფელი ერტყა) მდებარებდა. მდ. მაშავერზე, ტფილისიდან დასავლეთით, სომხითში და მაგარ ციხედ ითვლებოდა. დაბის ნანგრევები ეხლაც ამტკიცებენ წარსულს დიდებას მაგარის ციხე-ქალაქისას, რომელიც მეცხრე საუკუნეში შემუსრა ქართლის ამაოხრებელმა ბუღამ [45]) და რომელსაც, განახლების შემდეგ, ძველი მნიშვნელობა არ მოაკლდა. ქართლში მოსვლწს უმალ მეფემ აიღო დმა-ნისი [46]) და მერე, ერთ თვეს უკან, კასპიის ზღვისკენ წაემარ-თა დარუბანდის და მის გარეშე ადგილების დასაპყრობლად. როგორც სჩანს, გალაშქრების მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთის, სულტანი ოცი ათასის ჯარით შირვანს მოეშველა და ჰსურდა, დავით აღმაშენებლის გავლენა და ბატონობა მოესპო ამ სამა-ჰმადიანო სამფლობელოში [47]). მეფემ დაამარცხა სულტანის ჯა-რი, მერე დარუბანდის მფლობელს დაესხა ქ. შაბურანში, სძლია და თავისი მახვილი მიმართა დაღესტანსა [48]). ამბობენ, იმ დროს დაღესტნის მთების ძირად და თვით მთებში, დარუბანდის ახლო, სცხოვრობდნენ ქალდეველნი, რომელნიც ქართულად ლაპარა-კობდნენო [49]). იმავე მხარეში ბინადრობდნენ ქურთნი, გადმო-სახლებულნი აბაშიდან მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს [50]). დავით აღმაშენებელმა დაიპყრა ყველა ეს ხალხი და ეგრეღვე ლე-კნი და კასპიის ზღვის ნაპირად მყოფნი ყივჩაყნი და შემდეგ დაიმორჩილა დაღესტანი და კავკასიის მთანი [51]). ეს ძლევა-მო-

---

[45]) П. Іоселіани Города... въ Грузіи, 46.ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 150 – 4.

[46]) ვარდანის სიტყვით, ხუნანი და დმანისი დავიდის შვილმა მეფე დიმი-ტრიმ აიღო, 147. Additions… 223.

[47])) ibid. 230 n. 7.

[48]) შაბურანი, შაბრანი დაღესტნის ქალაქი იყო. ამბობენ, ვითომ ამ დროს

ეკუთვნის დარუბანდის რკინის კარების მოტანა გელათში, მაბრამ ეს ნამდვილი არ არის, H. de la G. I. 368. n. 3.

[49]) Варданъ В. 126 пр. 491 _ 3.

[50]) H. de la G. I. 190. n. 1.

[51]) Additions… 232.

სილი ლაშქრობა მოხდა აპრილში, ხოლო მაისის დამდეგს მეფემ თავისის ჯარით დაღესტანიდან სომხეთისაკენ გასწია, იქ ბევრი ციხე-ქალაქი და ადგილი დაიჭირა და საქართველოს შემოუერთა [52]). სომხეთში ლაშქრობას მეფე მოუნდა ერთს თვეს და ივნისს სომხეთიდან საქართველოს სამზღვრებს მიმართა, მოვლო ნაპირი ადგილები ტრაპეზუნამდე და, სადაც კი შემთხვევა მიეცა, სძლია და განაბნია თათრები, მრავალი მათგანი დაატყვევა. ალაფითა და ტყვეებით დატვირთული ქართველი ჯარი მოვიდა ოლთისს, რომელიც დასწვა და იქიდან დაბრუნდა თრიალეთს, სადაც მეფემ თავისი ლაშქარი დაითხოვა დასასვენებლად...

მაგრამ ლაშქარს დიდხანს არ დაუსვენია, მეფეს მალე სხვა საქმე გაუჩნდა, – ქ. ანის აღება. სომხეთის ბაგრატიონთა სატახტო ქალაქი ანი თავისის სიმდიდრით, სიმშვენიერით და სიდიდით შესანიშნავი იყო მთელ მცირე აზიაში, მაგრამ 1064 წ. ალპ-არსლანმა ააოხრა და საშინელი ზარალი მიაყენა. დაწიოკებულნი მცხოვრებელნი ყირიმში და პოლშაში გაიფანტნენ. თათრების მთავარმა ფადლონმა სულტანს სთხოვა, ქალაქი მე დამითმეო და ანი თავის შვილი-შვილს მანუჩეს გადასცა. მანუჩე კეთილ-გონიერი გამგებელი იყო, ქრისტიანებს სწყალობდა და ქალაქსაც ძველი დიდება დაეტყო [53]). დავით აღმაშენებლის დროს მანუჩეს ანუ მანუჩარის შვილი აბულ-სევარი განაგებდა ანსა და თავისის ხასიათით და ქცევით დიდად აწუხებდა მცხოვრებლებს. იმას ჰსურდა ანი მიეყიდნა ყარსის ამირისათეის. ქალაჩუნა და კაცურს ღირსებას მოკლებული აბულ-ხევარი შეურაცხებას აყენებდა ქრისტიანობას და ეს მცხოვრებლებს სწყინდათ. იმათ ქრისტიან მეფეს მიმართეს [54]) და, როცა დავით ზაფხულობით ბოჟანოს იმყოფებოდა, მწიგნობარნი მოვიდნენ და სთხოვეს, – ანის ქალაქი თქვენთვის გვიბოძებიაო. მაშინვე მე-

[52]) ქ. ცბა, 251 Chr. arm. 59. Варданъ В. 147 и пр. 291-7.

[53]) Грузія и Арменія, II, 267 – 69. ანის პირველი საკრებულო ტაძარი აშენებულია დავით აღმაშენებელის ბებიასაგან, რომელიც მეუღლე იყო, მეფე გაგიკისაო.

[54]) Варданъ В. 146, пр, 589 – 90. Additions… 232.

ფემ ბძანება გასცა და სამ დღეზე სამოცი ათასი შეკაზმული ცხენოსანი ჯარი შეიკრიბა. მეფე გაეშურა ანისკენ და „უჭირველად“ აიღო ქალაქი და მისი ციხენი. დაატყვევა აბულ-სევარი ცოლ-შვილით და აფხაზეთში გაგზავნა, ხოლო ანის დასაცველად მესხეთის აზნაურნი დააყენა [55]). ანში იმ დროს დაცული იყო საქართველოს-ძვირფასი და წმინდა განძი – ჩვენის განმანათლებელის ნინოს ჯვარი, რომლის სადიდებლად სომხებმა საკუთარი დღესასწაული დაადგინეს [56]). ამბობენ, მეფემ ეს განძი თან წამოიღოო [57]). ანში ყოფნის დროს მეფემ ნება მისცა სომხების და ქართველების სასულიერო წოდებას ერთად შეკრებისა და კრებას ჰსურდა სარწმუნოებრივი კავშირი დაემყარებინა, მაგრამ ეს საქმე ეერ მოხერხდა. ყოველ შემთხვევაშო დავით აღმაშენებელი სათნოებით მოეპყრა სომხებსდა ბევრი მათგანი გადმოასახლა საქართველოში, მიანიჭა ყოველგვარი უფლება და გაათანასწორა ქართველებთან. სამწუხაროდ, ამ ორის მეზობელს ერის ძმობა და ერთობა შემდეგ სხვაფრივ დატრიალდა და დიდებულს მეფეს იქნება საბუთიანად სწამებდნენ პოლიტიკურს შეცდომას [58]).

როცა მეფემ გაათავა სომხეთის საქმე, თავისის ჯარით შირვანში წავიდა. აიღო ქალაქი შამახია და სხვა ციხეები და მალე მთლად შირვანი იარაღით დაიჭირა, მოსპო შირვანშას უფლება და გამგებლად დააყენა სვიმონ ჭყონდიდელი, სახელოვანი დისწული გიორგი ჭყონდიდლისა, „კაცი ყოველითურთ სრული და ბრძენი“ [55]). ხოლო შირვანის დასაცველად დასტოვა მეციხოვნენი და დიდი წყალობა უბოძა ლეკებს და სხვა მთის ხალხს, რომ მორჩილებაში ყოფილიყვნენ. შირვანის და-

[55]) ვარდანის თქმით, მეფემ ანის გამგეობა ჩააბარა აბულეთს და იმის შვილს ივანეს, ხოლო აბულ-სევარი და იმის რვა შვილი თან წაიყვანა, გვ. 146. ამბობენ,

აბულ-სევარის შთამომავლობისანი არიან შარვაშიძენიო, ვახუშტის ისტორია 153, სხოლიო 2.

[56]) Варданъ В. 137 – 8, и пр. 537.

[57]) П. Оселианіи, Жизнеописаніе Св. Гр. цер. 1850 г., стр. 44. Грузія и Арменія, I, 51.

[58]) Баратовъ, IV. 25.

[59]) ამბობენ, ვითომ იქაურს ხალხს ეხლაც ახსოვს ეს ბრძენი გამგებელი, «ივერია», 1882 წ. № 4, 5, მღ. ჯანაშვილის «ისტორიული სურათები», გვ. 9.

პყრობის შემდეგ მეფეს ერთი ბრძოლა კიდევ მოუხდა და დასრულდა კიდეც იმის სამხედრო მოღვაწეობა. სპარსეთის მხედართ-მთავარმა ამირიბრაჰიმმა დიდის ჯარით გამოილაშქრა საქართველოზე. იბრაჰიმს შემწეობას აძლევდნენ სომხეთის ამირი დაუთი და სხვანი მრავალნი ამირნი. მეფე წინ მიეგება მტერს, სძლია, გააქცია და ხუთი დღე სდევნა. ველნი და მინდორნი მოირწყო მტრის სისხლით, აღივსო მძოვრით, რომელიც შორს მანძილზე ჰფენდა სიმყრალის ხუნსაო, ამბობს უცხოელი მეისტორიე [60]). მეფეს „ეგულვებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და ლაშქრობათა“, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა. არც დიდად საჭირო უნდა ყოფილიყო მეტი ლაშქრობა, რადგანაც უიმისოდაც სულტანნი შიშისაგან ძრწოდა, „ეოცნებოდა მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი“...

V

სამწუხარო სანახავს წარმოადგენდა საქართველოს შინაური მდგომარეობა, როცა დავით აღმაშენებელი გამეფდა. თურქთა ბატონობამ შეარყია სახელმწიფო ცხოვრება, მოსპო წესი და რიგი, ზნეობრივად შელახა მთლად საზოგადოება. რასაკვირველია, იმ შავსა და ბნელ დროსაც აქა-იქ ბრწყინავდა თითოოროლა ზნეობით წმინდა და შეუმწიკვლელი მოღვაწე, მაგრამ გახრწნილება და უწესოება მაინც საერთო სენს შეადგენდა. მთავარნი ურჩობასა და ორგულობას მისდევდნენ, „უფროსნი საეპისკოპოსონი“ დასაკუთრებული ჰქონდათ „უღირსთა და უწესოთა“ და ამ უკანასკნელთ ემორჩილებოდნენ „მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი“. რადგანაც სასულიე-

რო მთავრობამ თავისი საღმრთო მოვალეობა დაივიწყა და უკე-
თურებას შეუდგა, უეჭველია, რომ მღვდელობაც ზნეობრივად
დაეცემოდა. ნამდვილად ეგრედაც მოხდა, – მატიანის სიტყვით,
„მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდ-
ვა“... საყურადღებოა, რომ სომხეთის სასულიერო წოდებაც
მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა. იქაც ეპისკოპოსთა და

---

[60]) Additions… 231.

მღვდელთა ბიწიერება და უმეცრება საზოგადო მოვლენა იყო.
საეკლესიო მოხელეობის სყიდვა, სამსახურის ანდერძით გადა-
ცემა, ანგარება და სხვა ამ გვარი ბოროტება ჩვეულებად გადა-
იქცა[1]). კათალიკოზს პატივი და დიდება აეყარა. ერთის საკა-
თალიკოზოს მაგიერად, რამდენიმე კათედრა დაარსდა. შეიქნა
უკადრისი ცილობა და ქიშპობა სხვა-და-სხვა კათალიკოზთა
შორის.

დავით აღმაშენებელმა პირველადვე სასტიკი ყურადღება
მიაქცია სასულიერო წოდების „წყლულებათა კურნებას“. და
რომ მეფის ცდილობამ ამაოდ არ ჩაიარა, ამას შესანიშნავი სო-
მეხი მწერალი ნერსეს ლამბრონელი ჰმოწმობს [2]). როცა მე-
ფემ შინაური მტრობა და ურჩობა დაამხო, დიდი „კრება“ მო-
ახდინა. ყველა საუკეთესო და ქვეყნისათვის გულ-შემატკივა-
რი და მზრუნველი დაესწრო იმ „კრებაზე“, რომელმაც „მრა-
ვალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა“ ვალად
იდვა „ცდომილის განმართება“, უწესოების ძიება და ჭეშმარი-
ტის გზის გაკვლევა. კრების განჩინების ძალით უღირსნი და
ბიწიერნი „გარდმოსთხივნეს საყდართაგან“, შეაჩვენეს და მათ
მაგიერ გაამწესეს ღირსეულნი და ქვეყნის ერთგულნი დასას-
რულ, „კრებამ“ დაადგინა ეგრედ წოდებული **„ძეგლის წე-
რა“** – ეს დიდად შესანიშნავი სჯულ-მდებლობა*), – რომელმაც
აღადგინა საზოგადოების ზნეობა და ცხოვრების წარმატებას
კვალი განუკაფა. „კრებას“ და „სეგლის წერას“ აზრად არა
ჰქონდა მარტო სასულიერო წოდების მდგომარეობა. შეიკრი-
ბნენ და ძეგლი დაადგინეს მთლად საზოგადოების „წყლულე-

[1])Варданъ В. стр. VII _ XI.

[2]) Грузіяи Арменія, II. 207, 215.

*) იხ. ჩემი მონოგრაფია „ჩვენი საეკლესიო სჯულ-მდებლობა _ ძეგლის წერა“, ივერია, 1888 წ., სადაც ვრცლად განმარტებულია ამ სასჯულო ნაშთის მნიშვნელობა და გამოკვლეულია იმ დროინდელ საქართველოს ზნეობრივი მდგომარეობა. კრება მოხდა 1103 წ., რუის-ურბნისის შუა, მინდორზედ, იოანე კათალიკოზის თავმჯდომარეობით, თ. ჟორდანიას «ქრონიკები...» 1893 წ. ბვა 288 და შემდეგნი. ავტორი ახლად აღმოჩენილ საბუთებით ამტკიცებს, რომ კრებაზედ დაესწრო დავით აღმაშენებლის მამაც, რომელმაც შვილთან ერთად იმეფება 1112 წლადე.

ბათა კურნებად“ და თუ უმთავრესი ყურადღება მიაქციეს სასულიერო წოდებას, მიზეზი ის იყო, რომ ამ წოდებას უფრო ესაჭიროებოდა „კურნება“.

შემდეგ მეფემ „ვანაგო ყოველი საქმე... სომხითისა და ანისა“. არა სწერია, – თუ რას შეადგენდა და როგორ სწარმოებდა იგი გამგეობა, მაგრამ ცხადი კი არის, რომ მეფემ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია სომხეთის საეკლესიო საქმეებს და სასულიერო წოდების მდგომარეობას. იქაც დროთა ვითარება თხოულობდა ზნეობრივს „კურნებასა“. თუნდ ესეც არ ყოფილიყო, თვით სომხეთის სასულიერო წოდებამ გამოაცხადა ანის კრებაზე, გვსურს სარწმუნოებრივი კავშირი დაარსდეს ჩვენსა და ქართველთა შორისო. ხოლო ასეთის საქმისათვის საჭირო იყო საეკლესიო და სასულიერო წეს-წყობილების გაუმჯობესობა, ცვლილება და ახალი რიგი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ანის კრების წინადაც, მაგ. ჯერ ისევ მეშვიდე საუკუნეში, კათალიკოზ ეზდრას დროს, სომხებს ჰსურდათ მართლმადიდებლობა მიეღოთ და შემდეგაც ეს სურვილი იმათში არ აღმოფხვრილა, მაგრამ პოლიტიკურმა გარემოებამ და უფრო ბიზანტიის გულქვაობამ შეუძლებელი ჰყო სარწმუნოებრივი ერთობა. სომხეთის დასავლეთი ნაწილი ბიზანტიას ეკუთვნოდა და მართლ-მადიდებელნი იმპერატორნი სათნოებით და ქრისტიანებრივის სიყვარულით არ ებყრობოდნენ ქვეშევრდომს ხალხს, რადგანაც იგი ხალხი მწვალებლობას აღიარებდა. იმ დროს საბერძნეთში სუფევდა უკიდურესი

ორთოდოქსალი მიმართულება, რომელსაც უნებურად იმპერა-
ტორნიც ემორჩილებოდნენ როცა ბაგრატიდების დროს სომ-
ხეთი აღორძინდა და აყვავდა, ბიზანტიის შურს საზღვარი არა
ჰქონდა. საქრისტიანო იმპერიის მძულვარებამ ისევ მალე და-
ამხო მრავალ-ტანჯული სომხეთი. პირდაპირის მტრობის გარდა,
ბერძენნი სხვა-და-სხვა ცილს და უკადრის ამბავს ავრცელებ-
დნენ სომხების შესახებ, სახელს უტეხდნენ, პატივისცემას უს-
პობდნენ მეზობელ ხალხთა შორის [3]). სხვაფრივ იქცეოდა სა-

[3]) ibdi. 209, 213, 216-222 etc.

ქართველოს მეფე. დავით აღმაშენებლის მაღალ და ნათელ გო-
ნებას ეერ დაიმორჩილებდა ცალ-კერძო სარწმუნოებრივი მი-
მართულება, იმის სპეტაკს გულს ვერ მიეკარებოდა ფანატიკო-
სობა. მეფემ კარგად იცოდა, – თუ რა მცირედი განსხვავებაა
მართლ-მადიდებლობის და სომხურ სარწმუნოების შორის. მარ-
თლაც-და, არსებადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სომ-
ხებმა უარჰყვეს ქალკიდონის კრების დადგინება და აღიარეს, _
ქრისტეს ერთი პიროვნება და ორი ბუნება აქვსო (единое ли-
цо и два естества – божеское и человѣческое), მართლ-
მადიდებლობას კი სწამს – ქრისტეს პიროვნებაც ორი აქვსო.
სომხეთის და საქართველოს სარწმუნოებრივი განცალკევება,
რომელიც მეექვსე საუკუნეში მოხდა, უმეტეს ნაწილად პოლი-
ტიკურმა გარემოებამ გამოიწვია. საქართველოს ეკლესიის უფ-
როს პატრონს, სახელოვანს მეცნიერს და მოღვაწეს კვირიონს
ჰსურდა სრული თავისუფალი საეკლესიო გამგეობა მოეპოვა
თავის სამწყსოსათვის და ამიტომ უარჰყო სომხეთის კათალიკო-
ზის ბატონობა, განუდგა კათალიკოზს აბრაამსო. ამის ბრალი
თვით სომხეთის კათალიკოზსაც ედება. აბრაამი გულ-ანჩხლი
და უხასიათო კაცი იყო. ამასთანავე ამპარტავნება და თავ-
მოყვარეობა დიდი ჰქონდა. რასაკვირველია, ასეთი მამათ-მთა-
ვარი უფრო გაამწვავებდა საქართველოს და სომხეთის დამოკი-
დებულებას. ეგრეც მოხდა. სომხებმა კრებაზედ კვირიონი შე-
აჩვენეს. მაგრამ ამით საქმეს ვერაფერი ეშველა [4]), საქართვე-

ლომ მალე მოსპო კავშირი სომხეთთან...

მარტო კრება და ძეგლის დადება ვერას იზავდა. სასულიერო წოდების ასაღორძინებლად საჭირო იყო გონივრული მართვა და ჯეროვანი წრთვნა, ფხიზელი და განუწყვეტელი ხელ-მძღვანელობა, მუდმივი და განუშორებელი ზედა-მხედველობა, წესისა და რიგის დამყარება, განმტკიცება. დავით აღმაშენებელმაც სწორედ ასეთს ღონის-ძიებას მიმართა და თვითმპყრობელს კვერთს დაუმორჩილა მთლად სასულიერო და სა-

---

[1]) Варданъ В. 73 – 4, 86 – 8, 95 – 9 и пр. 247.

ეკლესიო გამგეობა, – „მონასტერნი და საეპისკოპოსონი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა **დარბაზის კარით** მიიღებდიან, ვითარცა კანონსა შვენიერსაო“ [5]). ხოლო **დარბაზი** შეადგენდა უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს და სამჯავროს, რომლის თავმჯდომარე მეფე ბრძანდებოდა. დარბაზი არასოდეს გონების თვალს არ აშორებდა სასულიერო კაცთა მოქმედებას და საეკლესიო საქმეთა მსვლელობას. და თუ რა შორს სჭვრეტდა იგი გონების თვალი, ამის დასამტკიცებლად ისიც საკმაოა, რომ თვით „ლოცვის წესი და რიგი დარბაზის კარით მიიღებოდა“... ცხადია, მეფე ხორციელს უფლებას არ დასჯერდა და სულიერი ბატონობაც ხელთ დაიპყრა. ეს სულიერი ბატონობა იქამდე მიდიოდა, რომ დავით აღმაშენებელი თვითონ სწერდა და ადგენდა მონასტრის. წესდებას, თითონ საკუთრივ უჩვენებდა, თუ როგორ უნდა განაწილდეს მონასტრის შემოსავალი მონაზონთა და სხვა მსახურთა შორის [6]). ერთის სიტყვით, მეფემ თავისი უზენაესი უფლება სცნო როგორც სახორციელო, ისე სასულიერო ხელმწიფობა და თავის სამეფოში დაამყარა ბიზანტიის საპოლიტიკო მოძღვრება. დიაღ საყურადღებოა, თუ როგორ გაჩნდა და აღორძინდა ეს მოძღვრება, რომელსაც, დროთა და ჟამთა ვითარების გამო, დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა ჩვენის სამშობლოს საპოლიტიკო აზრთა მიმდინარეობაზე. ამ საპოლიტიკო სწავლის გავლენა ისე ძლიერი იყო, რომ მაჰმადი-

ანთა ხანგრძლივმა ბატონობამაც კი ვერა დააკლო-რა და ბოლომდე საქართველო აღიარებდა, რომ მეფეს სასულიერო საქმეც ხელმწიფებისო...

როცა კერპთ-თაყვანისცემლობა დაითრგუნა და ქრისტიანობა შეიქმნა სახელმწიფო სარწმუნოებად, მაშინ საერო და საეკლესიო გამგეობაც განისაზღვრა, – სამეფო ტახტმა და ეკლესიამ გაინა-

---

[5]) ქ. ცბა, I. 256.

[6]) Цер. Гудж. დ. ფურცელაძისა, შიო-მღვიმის გუჯარი 94 – 5. შიო-მღვიმის მონასტერს პირველადვე საკუთარი წესდება ჰქონდ, II. Іоселиани, Жиз. св. груз. церкви, стр. 84 и пр. 3.

წილეს უფლება და მოვალეობა. მეფემ დაისაკუთრა სამოქალაქო და სახორციელო გამგეობა, ხოლო ყოველგვარი სასულიერო საქმე ეკლესიის წარმომადგენელს ეკითხოდა. ასეთი განყოფა უფლებისა და მოვალეობისა დაფუძნდა ქრისტიანობის სწავლაზე. წმ. მოციქულნი ჰქადაგებდნენ, რომ სასულიერო კაცი, მაგ., მღვდელი, საეკლესიო და სარწმუნოების საქმეში ისე მაღლა სდგას მეფეზე, როგორც სული ხორცზედაო. იოანე ოქროპირი და სხვანი წარჩინებულნი მამანი ეკლესიისანი ღაღადებდნენ, მეფე მღვდელს უნდა ემორჩილებოდესო. მეოთხე საუკუნეში სახელოვანმა ღვთის მეტყველმა ამბროსიმ განმარტა, რომ ეპისკოპოსი სჯის იმპერატორსა, როცა იგი დამნაშავეა სარწმუნოებისა და ეკლესიის წინაშეო. ყველა კარგი, მაგრამ გარემოებამ მალე შესცვალა ეს უკიდურესი მოძღვრება. დროთა მსვლელობაში ეკლესია სამოქალაქო დაწესებულებად გარდაიქცა, გაიჩინა საკუთრება, შეიძინა მამული. ესეც რომ არ ყოფილიყო, თვით სასულიერო კაცთა იმოხრის უთანხმოება ასტყდა მწვალებლობის გამო და ეკლესია იძულებული იყო იმპერატორის მფარველობისათვის მიემართნა, ამ მფარველობამ განადიდა იმპერატორის ძალა და გავლენა ეკლესიაზე და იმავე მეოთხე საუკუნეში საქმე ისე დატრიალდა, რომ გამოჩენილი ევსევი ჰქადაგებდა, _ იმპერატორი საერთო ეპისკოპოსიაო [7]). თუმცა წმ. მამათა საპოლიტიკო მოძღვრებამ სხვა მიმართულე-

ბა მიიღო, მაგრამ ბიზანტიაში, პირველ დროს, მაინც ერთობა
და ჰარმონია დაარსდა ეკლესიასა და საერო გამგეობას შორის.
სახელმწიფომ ეკლესია დამოუკიდებელ და განსხვავებულ და-
წესებულებად აღიარა და დაადგინა, _ იმპერატორს ვალად სდევს
მხოლოდ იზრუნოს ქრისტიანობის სასარგებლოდ, წმ. მოცი-
ქულთა და მსოფლიო კრებათა მოძღვრების დასაცველად და
სხვ. შემდეგ დრთა ბრუნვამ ესრეთი მზრუნველობა ბატონო-
ბად გარდაჰქმნა და ბიზანტიის იმპერატორს მიენიჭა სრული
უპირატესობა საეკლესიო გამგეობაში. სხვაფრივ დატრიალდა

---

[7]) Б. Чичеринъ, Исторія политическихъ ученій, I ч. 1869 г. стр. 102-9.

საქმე დასავლეთ ევროპაში. იქ პაპის ძალა და უფლება იქამდე
განდიდდა. რომ იმპერატორი ჰთრდოდა რომის ტახტის წინაშე [3]).

უკვე შევნიშნეთ, რომ ბიზანტიის საპოლიტიკო მოძღვრე-
ბას პატივი ჰქონდა საქართველოშიო. დავით აღმაშენებლამდე
იგი მოძღვრება მკვიდრად დამყარდა საქართეელოს ნიადაგზედ.
მართალია, არაბთა ბატონობის დროს საზოგადოების აღგზნე-
ბულმა სარწმუნოებრივმა გრძნობამ დიდი გავლენა შესძინა
სასულიერო წოდებას და ცხოვრებასაც ორთოდოქსალი ხასია-
თი დაამჩნია, მაგრამ ეკლესია მაინც ტახტს ემორჩილებოდა,
დავით აღმაშენებელმა სრულიად ხომ დაიმონავა სასულიერო წო-
დება, ტახტისა და დარბაზის ყმად გადააქცია. თითქო ესეც სა-
კმაო არ იყო და მეფის წადილმა ისე ფრთა შეისხა, რომ შიში
და ზარი თავს დასტრიალებდა ყოველ სასულიერო კაცს, რო-
მელიც „იკადრებდა უწესოდ სვლას“... მატიანის სიტყვით, მე-
ფის დაფარული არა იყო-რა, მეფემ ყველაფერი უწყოდაო [9]).
და როცა აკვირდები ამ სასტიკს გამგეობას, ამ შიშსა და
ზარს, თვალ წინ უნებურად შემაძრწუნებელი სურათი გიდგე-
ბა. გამგეობა სულთა-მხუთავიეით დასწოლოდა კაცის კერძო
ცხოვრებას და თავისუფლებას ყელში უჭერდათ მაგრამ არ
უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ასეთმა გამგეობამ აღმოფხრა
სასულიერო წოდების უწინდელი სილაღე, კადნიერება და თავ-

გასულობა და ნაცვლად ყველა ამისა დაამყარა ზნეობრივი დამოკიდებულება, – „ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება“... და ვაი იმას, ვინც გარდავიდოდა მეფის ნებას – „შიში დიდი და ზარი მისი განითქვა კიდეთა ქვეყნისათა და განჰკრთნეს ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისანი“ [10]). კაცთ მოყვარე და ლმობიერი მეფე გულის-წყრომასაც დიდს იჩენდა, როცა ტახტთა და დარბაზს პატივით და მორჩილებით არ ექცეოდნენ!...

---

[8]) ibid, 120-4, 135-40.

[9]) ქ.-ცხოვ. 258.

[10]) ibid.

თუმცა სასტიკმა გამგეობამ მეტად შეავიწროვა და შეჰხუთა სასულიერო წოდება, მაგრამ, მეორის მხრით, მეფე არც პატივსა და მფარველობას აკლებდა ამ წოდება. იმ დროს თიქთმის მარტო სასულიერო წოდება შეადგენდა განათლებულს საზოგადოებას და იმის შემწეობით შეიძლებოდა სწავლა-მეცნიერების სამეფოში აღორძინება და გავრცელება. ამიტომ დავით აღმაშენებელი ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობდა სასულიერო წოდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. _„ვინ ჯეროვნად წარმოთქვნეს პატივის პყრობანი მონაზონთანი და სიყვარულით შეწყნარებანი მათნი, თვითოეულისა ნიჭნი და სახმარნი, რომელთა უზრუნველ ყვნის ყოველთა საჭიროთაგანაო“ – მოგვითხრობს თანამედროვე მემატიანე. უწინაც სასულიერო წოდებას არ აკლდა მეფეების წყალობა. მაგ., როცა ცამეტნი ასურელნი წმ. მამანი მოვიდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად, ეკლესია განთავისუფლდა სახელმწიფო ხარჯისაგან [11]). მაგრამ ასეთი მზრუნველობა უფრო ღვთის მოსავობის ნაყოფს წარმოადგენდა, სარწმუნოებრივის გრძნობის დაკმაყოფილებას მოასწავებდა. მხოლოდ დავით აღმაშენებელმა იგი მზრუნველობა აღიარა საზოგადო საჭირო საგნად და ფართო მნიშვნელობა მისცა, სამეფო მოურნეობად გარდაჰქმნა. ამ შემთხვევაშიც მეფემ ჩვეულებრივი გამჭრიახობა გამოიჩინა

და ნათლად დაინახა, – თუ რა ძლიერი იარაღია „უზრუნველ-ყოფილი ყოველთა საჭიროთაგან“ სასულიერო წოდება. და იმ დროს, როცა ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნინოსი თა-ვისის საფინანსო გამგეობით ხალხს აღატაკებდvა და საეკლესიო მამულებს გადასახადს ადებდა [12]), დავით აღმაშენებელი სხვა მიმართულებას დაადგა – მონასტერნი და ლავრანი გაანთავი-სუფლა ხარჯისაგან, „ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან“ 13). რადა? – მატიანე ამბობს, ამის მი-

---

[11]) დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია, გვ. 183.

[12]) Веберъ, 429.

[13]) ქ.-ცხოვ. 257. საყურადღებოა, რომ სულტანმაც გაანთავისუფლა სომ-ხეთის სასულიერო კაცნი და მონასტერნი ხარჯისაგან, Варданъ,134.

ზეზი „საღმრთო მსახურება“ იყოო, მაგრამ ნამდვილად კი მეფის განკარგულებას უფრო დიდი აზრი ჰქონდა. სასულიერო წო-დებას ვალად და ტვირთად არ ედვა მარტო წირვა-ლოცვის და საეკლესიო სხვა-და-სხვა წესის შესრულება. ეგრედ წოდებული საღმრთო მსახურება იმ დროს მრავალგვარს მოღვაწეობას ნიშ-ნავდა და შეიცავდა საზოგადოდ ერის კეთილ-მდგომარეობისა-თვის შრომას, ზრუნვას, ფიქრს. უწინაც და დავით აღმაშენებლის დროსაც სასულიერო კაცნი ცხოვრების სათავეში იდგნენ და უმე-ტეს ნაწილად იმათზე იყო დამოკიდებული ერის გონებრივი და ზნეობრივი წარმატება. მკლავითა და ხმლით სამშობლოს დაცვაც კი იმათ წმინდა მოვალეობად ითელებოდა და ეკლესიის უდიდე-სნი მსახურნი სისხლს ანთხევდნენ მტერთან ბრძოლის ჟამს.

არც ლავრა-მონასტერში გაისმოდა მარტო ღვთის ვედრე-ბა და დიდება, იქაც სახორციელო და საქვეყნო საქმე საკმაოდ მოიპოებოდა და ამიტომ მეფემ ბერ-მონაზონთა მყუდრო სა-დგური სამეფო მეურნეობის სახლადაც გარდააქცია და საი-ქაოს შემყურებელთ სააქაოსთვისაც ზრუნვა ვალად დასდო. ნათლების და ქრისტიანობის აყვავება შეადგენდა და მეფემ ამ ორს დიდად საჭირო საგანს მიაქცია მონასტერსა და უდაბნო-ში მყოფთა უპირატესი. ყურადღება. როცა გელათის მონასტე-

რი ააგეს, დავით აღმაშენებელმა შეჰკრიბა ყოველივე სახელოვანი მეცნიერი,რომელიც კი მოიძებნებოდა საქართველოში და „ქვეყნისა კიდეთა“, თვით მონასტერი დაადგინა „მოძღვრად სწავლულებისად, სახლად ათინად“[14]). ამ ახალს „ათინას“ შესწირა დიდი მამული – „ლიპარეტეთი“, მრავალი სოფელი და „უზრუნველი ტრაპეზი გაუჩინა“. აი სწორედ ამ „ათინაში“ და სხვა დიდებულ ლავრა-მონასტრებში იღვწოდა ბერ-მონოზნობა და მეფისგან მინიჭებულ პატივის მიზეზიც ეს იყო. და აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ სწავლა-მეცნიერების მფარ-

[14]) ქ.-ცხოვრება 224. გელათის ზემოდ, იმ ადგილას, სადაც წინად მეფეს ჰსურდა ეს ტაძარი აეშენებინა, იმან დაარსა დ ე დ ა თ ა მ ო ნ ას ტ ე რ ი ფერისცვალების სახელზეო, Груз. и Арм. III. 243.

ველი მეფე ჰბაძავდა მაჰმადიანობის მოღვაწეთა. დავით აღმაშენებლის ღვაწლი განათლების ასპარეზზედ და მისგან დაარსებული „ათინა“ უნებლიედ გაგონებთ ბაღდადის დიდს აკადემიას, რომელიც „მეცნიერების თავადმა“, სახელოვანმა ნიზამელ მულქმა ააშენა და სახელ-განთქმულნი მსწავლულნი მოიწვია აღმოსავლეთის ყოველ კუთხიდან [15]).

სასულიერო წოდების მეორე მოვალეობა მდგომარეობდა ქრისტიანობის გავრცელებაში და მეფეც დიდს ყურადღებას აქცევდა ამ საქმეს. სასულიერო წოდება გულ-მხურვალედ და ბეჯითობით მოეკიდა თავის მოვალეობას: „მრავალნი ნათესავნი წარმართთაგანი შვილად წმინდისა ემბაზისად“ შექმნეს, შეაწყნარეს ქრისტესა“, „მოსტაცეს ეშმაკსა და შეასაკუთრეს ღმერთსა“, „ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესაო“ [16]), ამბობენ, რომ მთიულეთსა და არაგვის ხეობაში ქრისტიანობა დანერგა და განამტკიცა წმ. გრიგოლ ნაზიანელმა, რომელიც მიიცვალა მეოთხე საუკუნის დასასრულს. დავით აღმაშენებელმა დღესასწაული დააწესა ამ წმ. მამის მოსახსენებლად და ახლაც დუშეთის და მის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი ლიტანიის გადახდით იხსენებენ წმ. გრიგოლის და მეფის ღვაწლს [17]), საზოგადოდ დავით აღმაშენებელმა დიდი შრომა

გასწია ქრისტიანობის გასავრცელებლად მთაში, სადაც, იმის დრომდე, მაცხოვრის მოძღვრება მოკლებული იყო ნაყოფიერს ნიადაგსა. ლავრა-მონასტრებიდან ქრისტიანობის ცხოველი სხივნი მზეებრ ეფინებოდა მთელს სამეფოს, ზეგარდმო ნათლითა და შუქით აბრწყინვალებდა თვით მრისხანე და ცივს კავკასიონსა. ლავრა-მონასტერი გონების და ზნეობის აღმზრდელ სკოლას შეადგენდა და ამ სკოლაში მყოფი და იქ განვითარებული მოღვაწე ითვლებოდა მთელ ხალხისათვის ცოცხალ მაგალითად. მეტადრე გელათი შეიქმნა ლამპრად, „წესად, კანო-

[15]) Шлоссеръ, 644ю

[16]) ქ.-ცხოვ., 247, 257.

[17]) П. Іоселіани, Описаніе гор. Дущета, стр. 20, 54-6.

ნად ყოვლისა საეკლესიოსა შვენიერებისად“. სასულიერო წოდების არა-სანატრელი გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა საჭიროებდა განვითარებას, სულითა და გულით აღდგენას და სწორედ ამ მიზეზით მეფემ უპირატესი ყურადღება მიაქცია ჯერ გელათს[18]) და მერე უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტერთა, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს მწიგნობრობას და განათლებას...

ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებმა დაიწყეს სვლა უცხოეთს, სადაც სწავლას და განათლებას იძენდნენ. ასეთს უცხოეთს შეადგენდნენ ასურეთი, პალესტინა, სინაის მთა და სხვ. ხშირად შინაური გარემოება აბრკოლებდა ქართველს თავის სამშობლოში დასდგომოდა განათლების საქმეს და იძულებული იყო უცხოელ ქვეყნისათვის მიემართა, მით უფრო, რომ იქ, უცხოეთში უფრო ჰყვავოდა ქრისტიანობა და განათლება. ამ მიზეზის გამო თავდა-პირველადვე დაარსდა მჭიდრო კავშირი ასურეთსა და საქართველოს შორის, მალე დაფუძნდა ანტიოქიაში საკუთარი ქართველთა „ძმობა“ (Братство), რომელიც გულმოდგინედ იღვწოდა მწიგნობრობის ასპარეზზედ. ჯერ ისევ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული ეს ძმობა შეუდგა საეკლესიო წიგნების თარგმნას და დაჰბადა ისეთნი შესანიშნა-

ვნი მთარგმნელნი, როგორნიც იყვნენ, მაგ., ანტონი, საბა, სტეფანე და სხ... ცამეტნი ასურელნი წმ. მამანი, რომელთაც საქართველოში ქრისტიანობა განამტკიცეს, ანტიოქიის მხრიდან მოვიდნენ და, უეჭველია, იმათ სურვილსა და მოღვაწეობაზედ გავლენას იქონიებდა ხსენებული ძმობაც. არც შემდეგში დაჰკარგა ანტიოქიამ ჩვენთვის მნიშვნელობა. მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეს იქ არსებობდნენ სახელ-განთქმულნი ქართულნი მონასტერნი, სადაც მწიგნობრობა აყვავდა და უმაღ-

[18]) ამბობენ, გელათი დ. აღმაშენებელმა და აფხაზეთის კათალიკოზ ევდემონმა ააგეს ბიჭვინტის ტაძრის მსგავსადაო, Груз. и Арм. III. 170 1, 189, 304. ბროსსეს სიტყვით, XI საუკ. აფხაზეთს კათალიკოზი არა ჰყავდა, H. de la G. I. 193 n. 3. ახალ გამოკვლევით, გელათის მონასტერი ბაგრატ მე-IV ააშენა და დავით აღმაშენებელს ეკუთვნის მხოლოდ გელათის დიდი ეკლესია, რომელიც მეფემ დაიწყო 1106 წელს, თ. ჟორდანიას «ქრონიკები»... 144. 202, 288-9.

ლეს წერტილამდე მიაღწია. იმ დროს ანტიოქია ჯერ ბიზანტიას და მერე ჯვაროსნებს ეკუთვნოდა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ქართველთა მოღვაწეობას [18]).

მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა სინაის მთას ჰქონდა. იქაც ძველადვე აღორძინდა ქართული მწიგნობრობა. მეშვიდე და მერვე საუკუნის განმავლობაში სინაიზედ გადმოთარგმნეს რამდენიმე ფრიად საჭირო საეკლესიო წიგნი. უმეტესი ნაწილი მშვენიერ ხელ-ნაწერთა, რომელნიც ახლაც დაცულნი არიან და არქეოლოგნი განცვიფრებაში მოჰყავთ, სინაის მთაზე სთარგმნეს მეათე საუკუნის ნახევარს ქართველ ბერ-მონოზნებმა. საქართველოს ეკლესია და მადლობელი შთამამავლობა არასოდეს არ დაივიწყებს ნეტარ ხსენებულ და სახელოვან მწიგნობართა-მიხეილს და ევსტაფის, რომელთაც მკვიდრი საფუძველი ჩაუდჯეს მეშვიდე და მერვე საუკუნეში თარგმანების საქმეს სინაიზე [19]). დავით აღმაშენებელმა, თავის მხრით, ღირსეულად დააფასა სინაის მოღვაწეთა პატიოსანი ფრომა, წმ. ეკატერინეს სახელზე ახალი მონასტერი ააგო და შესწირა მრავალი ოქრო, ძვირფასი სამკაული, „წიგნები საეკლესიო სრულებით“. ამას გარდა, ახლად დაარსებულ მონასტერს დი-

დი შემოსავალი გაუჩინა და საკმაო მამული უბოძა. ეს შემოსავალი და მამული ახლაც სინაის მონასტრებისაა, თუმცა უკანასკნელნი საქართველოს აღარ ეკუთვნიან. ამ უხვმა წყალობამ დიაღ რომ ააყვავა როგორც წმ. ეკატერინეს, ისე სხვა მონასტერნი სინაის მთისა და განათლებამ იქ პირველი ადგილი დაიჭირა. ეს სასიქადულო პირველობა მეთექვსმეტე საუკუნემდე არ შეწყვეტილა.მეტერთმეტე საუკუწიდან დაწყებული ექვსასის წლის განმავლობაში სინაის მონასტერნი უხვად ჰფენდნენ საქართველოს განათლების სხივებს და იქაც რომ მნათობი გამქრალიყო, იქნება ივერია უმეცრების წყვდიადს შთა-

---

[18]) А. Цагарели, Пам. Груз. въ Св. землъ и на Синаѣ, 1888 г. Сб, 27- 31. 38.

[19]) ibid. 38, 48. იმავე ავტორის Свѣд. О пам. Груз. пис. В. I. XXVI.

ენთქა, რადგანაც ის დრო შავი და ბნელი იყო ჩვენის სამშობლოსათვის...

წინად კი მნათობლად ითელებოდა წმ. საბას ქართული მონასტერი პალესტინაში [20]). საბას მონასტერი, რომელიც მდებარებს მეწამულ ზღვისკენ, იერუსალიმიდან სამის საათის სავალზე დაარსდა მეექვსე საუკუნეს და პირველადვე მიიზიდა ქართველობა. ჩვენის მწიგნობრობის წარმატება აქ დაიწყო. მეცხრე საუკუნის ნახევარს და გაგრძელდა მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდე, როცა სინაის მთამ უფრო მეტი სიმხნე და ღვაწლი გამოიჩინა. წმ. საბას ლავრასთან ქართველებს ჰქონდათ საკუთარი მონასტერი – „ქვაბი ქართველთა“ (пещерная церковь). ამბობენ, რომ ქართველებსვე ეკუთვნოდა ნაზარეთში ოთხი ეკლესია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშნეს ვახტანგ გორგასლანის დროსაო, მაგრამ სწავლა განათლების წინაშე მნიშვნელობა და ღვაწლი მხოლოდ წმ. საბას ლავრას მიუძღვოდა. მთლად აღმოსავლეთის ქრისტიანობა და კერძოდ ქართველობა დიდის პატივით და თაყვანის ცემით შეჰყურებდა ამ ლავრას. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს წმ. საბას ლავრაში თერთმეტი ათასი ბერ-მონო-

ზანი იმყოფებოდა [21]). პალესტინას საზოგადოდ დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზედ და, როცა ჩვენში ქრისტიანობა დამყარდა, წმინდა ადგილნი იზიდავდნენ ქართველის სულსა და გულსა. მაინც პალესტინა და კერძოდ იერუსალიმი მთელ ქრისტიანობასათვის ყოველთვის უფრო სათაყვანებელი და სადიდებელი იყო. იქ ქრისტიანობით აღტაცებულს ნათლად აგონდებოდა ჯვარ-ცმული მხსნელის ცხოვრება, მისი ზეციური მოძღვრება, სასწაულთ მოქმედება. იქ შეეძლო აღმაღლებულიყო ცათამდე და დამტკბარიყო სარწმუნოებრივის გრძნობით, რომელიც უხილავს ნეტარებას და სიამოვნებას ჰფენს კაცის არსებას... პირველადვე ახლო დამოკიდებულობა დაიდო საქა-

[20]) ქ.-ცხოვ., 256. Памятники грузиской старины... 128,130-5.
П. Іоселіани, Древности Тифлиса, 66 и слѣд. Исторія груз. церкви, 76.
[21]) А. Цагарели, Памятники груз. старины... 126. – 8, 130 – 2, 222.

რთველოსა და იერუსალიმის შორის და მეხუთე საუკუნეს ქართველებმა საკუთარი მონასტერი დააფუძნეს წმ. ქალაქში [22]). უპირველეს მონასტრად ითვლება წმ. იოანე ღვთის-მეტყველის სახელზედ დაარსებული მონასტერი. ამბობენ, რომ იგი ააგო ვახტანგ გორგასლანმა და შემდეგ იუსტინიანე იმპერატორმა განაახლაო. აგრედვე უძველეს ნაშთს შეადგენს წმ. სვიმონ მიმრქმელის მონასტერი, რომელიც იწოდება კატამონი მონა. სტრად და მდებარებს იერუსალიმის მახლობლად, მაღლობ ადგილს. ამ მონასტერში ქართველნი იღვწეოდნენ, ვიდრე მეთერთმეტე საუკ. ნახევარს სახელოვანი პროხორე განაახლებდა დიდებულს ჯვარის მონასტერსა [28]), რომელიც, შემდეგ განახლებისა, შეიქმნა ლამპრად განათლებისა და მწიგნობრობისა. ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომ მეფე მირიანმა დაიწყო ჯვარის მონასტერის საძირკველიო და, თუ ეს მართალია, მაშინ ამ მონასტერს უნდა ეკუთვნოდეს უფროსობა. ჯვარის მონასტრის ნანა მდვილი და საბუთიანი ამბავი კი მომდინარეობს იმ დროიდან, როცა ბაგრატ მეოთხემ, იმისმა დედამ და წმ. ეფთიმემ განიზრახეს ამ მონასტრის განახლება, ხარჯი და შემწეობა აღმოუჩი-

ნეს და საქმე პროხორეს მიანდეს. არც წინად აკლდა ჯვარის მონასტერს მეფეების წყალობა. საქართველო ყოველთვის ხელ-გაშლით და გულ-უხვად უგზავნიდა შესაწირავს თავის უფროს მონასტერსა. ეგრედ წოდებული **მამის ჯვარობა-** ამ მონასტრის წინამძღვარობა _ შეადგენდა დიაღ საპატიო ხარისხს და ხელობას, – **მამის ჯვარელი** იყო გოლგოთის წინამძღვარიც და მას ემორჩილებოდნენ მთლად პალესტინაში მყოფნი ქართველნი ბერ მონოზანნი. დავით აღმაშენებლის დროს მამის ჯვარობა ნაბოძი ჰქონდა არსენ იყალთოელს, რომელმაც მეფის საფასით გაამშვენიერა ეს ძველი ჩვენი პანთეონი, სადაც განისვენებენ მრავალნი წარჩინებულნი გვამნი და მათ შორის გენიოსი მგოსანი, ჩვენი უკედავი დიდება-შოთა რუს-

---

[22]) ibid. 32 _ 7, 129. იერუსალიმის ახლო მეექვსე საუკუნეში ლაზებს საკუთარი მონასტერი ჰქონდათ.

[23]) ibid. 116 – 17, – 123 – 4, – 200.

თველი [24]). ჯვარის მონასტრის სვეტი და კედელნი შემკულია მშვენიერის მხატვრობით, თვით შენობა ლამაზი და თვალის მომხიბლავია. ქართველთ გარდა, ამას ჰმოწმობენ უცხოელნი მოგზაურნიც. შუა საუკუნეთა დროს ამ მონასტრის მხატვრობას და სიტურფეს აღტაცებაში მოჰყავდა მლოცავნი და ახლაც მხატვრობა სასიამოვნო სანახავიაო [25]).

დიაღ, დავით აღმაშენებელმა დიდი ღვაწლი დასდო ჯვარის მონასტრის აყვავებას. იმის დროს იქ მოღვაწეობდნენ მრავალნი სახელოვანნი მწიგნობარნი და მეცნიერნი. იქ იღვწოდა, სხვათა შორის, შესანიშნავი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი რომელმაც შმდეგ ქ. გრემს, ლახეთში, დაარსა აკადემის. ქართველთ სხვა მონასტერნიცა ჰქონდათ იერუსალიმში, მაგი., ილიას და იაკობის სახელზე დაარსებული მონასტერი, რომელიც ბაგრატ მეოთხის მამამ ააშენა და რომელიც იერუსალიმის ყველა მონასტერზე მაღლა სდგას ხუროთ-მოძღვრების ხელოვნებითა. წინად, დავით აღმაშენებლის დრომდე, ილიას და იაკობის მონასტერში ქართული ფული იჭრებოდა [26]), ფულის საჭრელი მან-

ქანა იქ იყო გამართული, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, უბედურება თავს დაგვატყდა მტრების გამო და სომხებს ვალში დარჩათ ჩვენი მშვენიერი მონასტერი. მეფემ არც სხვა ქვეყნის მონასტრებს დააკლო წყალობა, _ „აღავსნა სიკეთითა“ ასურეთის, კიპრის, საბერძნეთის, ბოლღარეთის ღა კილიკიის ლავრანი [27]). ტრაპეზონის პირდაპირ, ღვთის მშობლის მიძინების სახელზე, დაა-ფუძნა ეგრედ წოდებული **სულემის მონასტერი** [28]) და საცხოვრებელი დაუნიშნა. რასაკვირველია, დავით აღმაშენებელმა თავის სამეფოშიაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ლავრა-მონა-

---

[24]) ibid. 43_ 5, 89 _ 93. თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორია, 275 – 83. 292, 295.

[25]) П. Іоселіани, Древ. Тиф., стр. 63. А. Цагарели, Памятники груз. стар... 98, 104. ჯვარის მონასტერი 1643 წ. განაახლა გამოჩენილმა ნიკიფორე ჩოლისშვილმა.

[26]) ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, 280, 290. А. Цагарели, Памятники... 117 – 119.

[27]) ქ.-ცხოვ., 256. Chron. Arm. 60

[28]) თეიმურაზის ისტორია, 283.

სტერთა აშენებას და განახლებას. იმის ღვაწლით აშენდა შიო-მღვიმის დიდი და შესანიშნავი მიძინების ეკლესია, განახლდა მარტყოფისა და და იოანე ნათლის მცემლის მონასტერი [29])
და სხ... ასეთი იყო დროთა ვითარება დია დიდებული მეფეც უნებლიედ მისდევდა ჟამთა ბრუნვას. ცხოვრების ჩარხს უმეტესად სარწმუნოებრივი ძალა ატრიალებდა და მიზეზიც ეს არის რომ დიდი მხნეობა, შრომა და ფასი დაიხარჯა ეკლესია-მონასტრებზე. დავით აღმაშენებლის შემდეგ, პალესტინასა და იერუსალიმში ქართულ მონასტერთა უფრო მეტი პატივი მიენიჭათ. თამარ მეფე ზავით შეეკრა ასურეთისა და ეგვიპტის სულტანს
_ ქართველთ კარგად მოექეცით, ნუ შეავიწროებთ და ჩვენი მონასტერნი ხარჯისაგან გაანთავისუფლეთო. მოგზაურნი და მწერალნი
მოგვითხრობენ, რომ მაჰმადიანნი მართლაც კრძალვით და მოწიწე-

ბით ეპყრობოდნენ ქართველებს, რომელნიც სიმღერით და გაშლილ ბაირაღით შედიოდნენ იერუსალიმშიო. მაჰმადიანობამ მარტო ჩვენ მოგვანიჭა ასეთი უფლება და პატივი, რომლითაც სხვებთან ასე თავი მოგვქონდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულამდე [30]). შემდეგ კი მამა-პაპათაგან ნაამაგევი სახელი აგვეყარა და მხოლოდ ცარიელი წარსული დიდება-ღა შეგვრჩა...

ლავრა-მონასტრების აყვავებას თან მოჰყვა-გონებრივი მოძრაობა, განათლების აღორძინება. უკვე არსებულ ლიტერა,-ტურას ფრთები შეესხა, წარმატება და წინ-მსვლელობა დაეტყო. იმ დროინდელს ქართულ ლიტერატურას, მართალია, ცხადად ამჩნევია მონასტრული და სქოლასტებრივი მიმართულება, იგი უმეტეს ნაწილად მოკლებულია ცხოველ-მყოფელ და შემოქმედებითს ძალუს, მაგრამ თვით ევროპაშიც ლიტერატურას ეგრეთი ხასიათი და მიმართულება ჰქონდა. საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ საქართველომ შეითვისა და შეიძინა თითქმის მთელი იმდროინდელი მეცნიერება. ბიზანტია ხომ ძველადვე განათლების წყარო იყო საქართველოსთვის. ხოლო დავით აღმაშენებლის დროს ქართულ ლიტერატურაზედ დიდი გავლენა იქონია არაბულმა განათლებაშიც. არაბნი ღვთის-

[29]) Груз. н Арм. I. 63, 278, III. 6, 23.

[30]) А. Цагарели, Пам. Груз. письм... 48 – 61.

მეტყველებს და ბერძნულ ფილოსოფიას გარდა, საოცარ შრომის-მოყვარეობით და მეცადინეობით სწავლობდნენ ბუნების მეცნიერებას, ასტრონომიას, ისტორიას, ფილოლოგიას, სჯულსა და სამართალს, მათემატიკას, რიტორობას, სხვა-და-სხვა ხელოვნებას. იმათი განათლება, რომელმაც ჯერ ისევ მეცხრე საუკუნეში შუქი მოჰფინა ქვეყანას, დავით აღმაშენებელის დროს უმწვერვალეს ხარისხამდე მივიდა და სრულიად დაჩრდილა ევრობის სწავლა. ევროპა არაბეთს შესცქეროდა, იქიდან მოელოდდა ცოდნას. ევროპელ სწავლულებს არაბულნი მეცნიერნი მიაჩნდათ თავიანთ ხელმძღვანელად, მასწავლებლად, – თითქო მხოლოდ არაბეთში მოიპოებოდა ჭკუა და გონება. ღირსნიც იყენენ

არაბნი ასეთის ყურადღებისა. მოკლე დროის განმავლობაში იმათ საკვირველი ნიჭი გამოიჩინეს, დიდი ღვაწლი დასდეს კაცობრიობის განვითარებას, სისწრაფით მოჰფინეს განათლება აზიას,
აფრიკას და ევროპას. არაბების დიდს სკოლებს და აკადემიებს ჩვენ დროშიც კი განცვიფრებით იხსენებენ ევროპელნი მეცნიერნი [31]).

არაბებს და საზოგადოდ მაჰმადიანებს ორგვარი სკოლა სჰქონდათ, – დაბალი, რომელიც მიზგითთან იყო გამართული და დიდი ანუ აკადემია. ეს უკანასკნელი ქალაქში მდებარეს და. დაბალ სკოლაში ასწავლიდნენ წერა-კითხვას გრამატიკას, პოეზიას, მაჰმადის მოძღვრებას (კურანი). ასეთი სკოლა მოსწავლეს ამზადებდა უმაღლეს სასწავლებლისათვის: დაბალ სკოლიდან შეგირდები აკადემიაში გადადიოდნენ და იქ იძენდნენ უმაღლეს სწავლას, რომელსაც, სხვათა შორის, შეადგენდა ფილოსოფია, ლოღიკა, დიალექტიკა. ბუნების მეცნიერების შესასწავლად საკუთარი სკოლები ჰქონდათ. მკურნალობას, დოსტაქრობას ღა სხვა, რაც ამ მეცნიერებას შეეხება, პროფესორები სასნეულო სახლში (ქსენონი) ასწავლიდნენ, – სწავლას პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა. თვითეულს დიდს სკოლას, აკადემიას უეჭველად ჰყავდა უფროსი პროფესორი, რომელსაც ებარა

[31]) Вилльментъ, 141 – 52. Веберъ, 457 – 9.

სწავლის საქმის გამგეობა. ყველა დიდ ქალაქში მიუცილებლად აკადემია იყო [32]). ბიზანტიელთაც ჰქონდათ „დიდნი სასწავლებელნი“ მცირე აზიის ზოგ ქალაქში იქ ასწავლიდნენ მათემატიკას, ასტრონომიას, მკურნალობას. ამბობენ, რომ იმ სასწავლებლებმა დიდი გავლენა იქონიეს არაბულ განათლებაზეო [33]).

ჯერ კიდევ გამოკვლეული და განმარტებული არ არის, – თუ როგორ იყვნენ მოწყობილნი სასწავლებელნი საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს [34]), მაგრამ შეიძლება კი ნამდვილად ვთქვათ, რომ მაშინდელი ჩვენი სწავლის საქმე ბერძნულ-არაბულ წესზედ დაფუძნდა. იმ დროინდელი ქართუ-

ლი **დიდი სასწავლებელი,** აკადემია ძლიერ მიაგავს ბიზანტიულ და არაბულ უმაღლეს სასწავლებელს. თვითეულს ქართულ აკადემიასაც ჰყავდა უფროსი პროფესორი, რომელსაც სასწავ-ლებლის მართვა და გამგეობა ეკუთვნოდა. იმ დროს მარტო ქართლ-კახეთში სამი აკადემია იყო. ქ. გრემს აკადემია დაარ-სა ათინაში აღზრდილმა იოანე ჭირჭიმელმა, პეტრიწად წოდე-ბულმა და იგი ითვლებოდა ამ აკადემიის უფროს პროფესო-რადაც. იყალთოს აკადემიას განაგებდა არსენი, ტფილისისას _ გრიგოლი. ყოველ აკადემიაში ასწავლიდნენ ღვთის მეტყვე-ლებას, ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურას და სხ. [35]). არა ერთი და ორი საბუთი ამტკიცებს, რომ მაშინდელმა ქარ-თველმა პროფესორებმა ზედ-მიწევნით იცოდნენ ბერძნულ-არაბული მეცნიერება და, მაშასადამე, ქართულ აკადემია-შიც სწავლის საქმე ივლიდა იმ გზით და წესით, როგორც ბერძნულ-არაბული განათლება თხოულობდა. მსგავსება კიდევ იქიდან სჩანს, რომ საქართველოშიც ყოველ შესანიშნავ ტაძარ-მონასტერთან გამართული იყო **დაბალი სკოლა,** სადაც შეგირ-დები ემზადებოდნენ აკადემიაში შესასვლელად. ამ დაბალ სკო-

---

[32]) Веберъ, 459.

[33]) Шлоссеръ, 357.

[34]) თითო-ოროლა ცნობა ამ საქმის შესახებ მოიპოება თ. გრუზინსკის წიგნთ-საცავში, რომელიც 1880 წ. ს. პ. საიმპერატორო ბიბლიოთეკამ შეიძინა, Цагарели, Свѣдѣнія о пам. груз. письм... XXXVIII.

[35]) თეიმურაზის ისიორია, 295, П. Іос., Ист. Груз. цер. 71 – 2, 79.

ლების გამრავლებას ხელი მიჰყო და დიდი შრომაც დასდო გამოჩენილმა იოანე ტაიჭის ძემ, რომელიც განგებ ამ საქმის-თვის მოვიდა ათონიდან და –

„სწავლა გაჰფინნა, ქართველნი აღაყვავნა“ 36)...

თვით დავით აღმაშენებელმა უფრო უმაღლეს განათლე-ბას მიაქცია ყურადღება და ამიტომ, როგორც წინადაც მოვი-ხსენეთ, ორმოცი ახალგაზდა გაგზავნა ათინაში [37]).

იმ დროის ფილოსოფიას აღარ მოეპოებოდა უწინდელი თავისუფლება და სიცოცხლის ძალა. ღვთის-მეტყველებას უფრო მეტი სიცხოველე და შემოქმედება დაეტყო. ამიტომაც ღვთის-მეტყველებამ თითქო სრულიად სძლია ფილოსოფიას, დაიმონავა, ქრის-
ტიანობის სწავლა-მოძღვრებას დაუმორჩილა და აზრის თავისუფალი აღმაფრენა მოუსპო. ყველგან ღვთის მეტყველება მეფობდა, ყველგან იგი ბატონობდა. თვით პიიტიკოსნიც, ფანტაზიით ღატაკნი, საღვთოს-მეტყველო ჰანგს უფრო ეტრფიალებოდნენ. ჯერ პლატონი და მერე არისტოტელი შეიქმნა სიბრძნის დასაბამად. მწიგნობარნი და მეცნიერნი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ღვთის-მეტყველება დაემყარებინათ ამ სახელოვან ფილოსოფოსთა სწავლაზე. ასეთს მიმართულებას მისდევდნენ როგორც ქრისტიანნი და ებრაელნი, ისრე არაბნი და საზოგადოდ მაჰმადიანნი [38]). არც ქართველნი ფილოსოფოსნი ასცდნენ ამ გზას. იმათ საფილოსოფოსო აზრსაც თავისებურება აკლია, იგინიც პლატონს და არისტოტელს ეთაყვანებიან, ემონებიან, კრძალვითა და განკვირვებით უსმენენ, თითქო წინააღმდეგობა მომაკვდავი ცოდვაარ... ჟამთა ვითარება ამას თხოულობდა. ეს უსაზღვრო თაყვნის-ცემა შეადგენდა საერთო ხარკს, რომელსაც განათლებული საზოგადოება სწირავდა საბერძნეთის უდიდეს ფილოსოფოსთა. მაშ რა საკვირველია, რომ ქარ-

---

[36]) წყობილ სიტყვაობა ანტ. კათალიკოზისა, 1853 წ. გვ. 264 და სხოლიო.

[37]) Варданъ В. 147.

[38]) Чичеринъ, Ист. полит. уч. I ч. стр. 165 и слѣд. Веберъ. 417, 460 – 2. 470 – 1.

თული აზროვნებაც სრულიად დაემორჩილა არისტოტელს, პლატონს და ეგრედ წოდებულ ნეოპლატონთა სწავლას. დიდ ხანს გაგრძელდა ეს მონობა. მხოლოდ პოეზიამ უფრო მალე შემუსრა ღვთის-მეტყველების ჯაჭვი და თამარ მეფის დროს საერო ჰანგზე დაიწყო ჟღერა...

დავით აღმაშენებლის დროის ლიტერატურა ჩვენს ისტო-

რიაში **კლასიკურად** იწოდება. საზოგადოდ ძველი ქართული ლიტერატურა შეიძლება ორ დიდ უმთავრეს ხანად გაიყოს: პირველი ხანა შეიცავს მწერლობას მეხუთიდან მეთორმეტე საუკუნემდე, ხოლო მეორე იწყება მეცამეტე საუკუნიდან და გრძელდება მეჩვიდმეტემდე. ამ მეორე ხანას განმავლობაში საქართველოს გონებრივი მოძრაობა შეფერხდა, თითქმის შესწყდა. პირველი სალიტერატურო ხანა კიდევ ორად უნდა განაწილდეს. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული მეცსრემდე ლიტერატურა ემზადებოდა, ძალ-ღონეს იძენდა, ნელ-ნელა იზრდებოდა. მაშინ გადაითარგმა ყველა საჭირო საეკლესიო წიგნი და ზოგი საღვთოს-მეტყველო თხზულება. მეათე საუკუნიდან მეთორმეტემღე მწერლობა სრულიად განვითარდა, უმაღლეს წარმატებამდე მოვიდა. ღვთის-მეტყველებას გარდა, აღორძინდა სხვა-და-სხვა შტო სწავლა-მეცნიერებისა [39]). ამ უკანასკნელ დროს ეკუთვნის კლასიკური მწერლობა.

დავით აღმაშენებლის მეფობა შესანიშნავია ქართულ ლიტერატურისათვისაც. მაშინ იღწვოდნენ სახელოვანნი კლასიკნი, რომელთაც ააყვავეს სამშობლო მწერლობა და ფართო მიმდინარეობა მისცეს გონებრივს სვლას. ზოგნი იმ კლასიკთაგანი უფრო ფილოსოფიას და საერო მეცნიერებას მისდევდნენ, სხვანი კი საღვთის-მეტყველო სწავლას ემსახურებოდნენ. მაგრამ რადგანაც იმ დროს ღვთის-მეტყველებას მაინც უპირატესობა ეკუთვნოდა, თვით ფილოსოფნიც ღეთის-მეტყველობდნენ.

პირველ ფილოსოფოსად ითვლება იოანე ჭირჭიმელი, პეტრიწად წოდებული, „უბრძენესი ბრძენთა შორის“, „ ჭეშმა-

[39]) А. Цагарели, Свѣдѣнія... XXIV, XXX, 16.

რიტი ფილოსოფოსი“,რომელსაც ღრმად შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა ყოველგვარი მეცნიერება. იმ დროინდელმა ძლიერმა სქოლასტიკამ პეტრიწის მაღალი გონებაც დაიმორჩილა. სახელოვანი ფილოსოფოსი, „ნივთთა“ გარდა, მიუწდომელ „მიზეზთა“ გამოკვლევასაც ეძიებდა და, ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, კიდეც იცოდა

„არა თუ ოდენ ნივთნი,
არამედ მიზეზნიცა“...

მეორეს მხრით, არაბულმა განათლებამაც თავისი გავლენა დაამჩნია ღრმა ფილოსოფოსს. სხვა მეცნიერების გარდა, არაბნი გატაცებით სწავლობდნენ ასტრონომიასაც და დიდი ღვაწლიც დასდეს ვარსკვლავთ მრიცხველობას, თუმცა ისიც ნამდვილია, რომ იმათი საასტრონომიო ცოდნა ასტროლოღიასაც საკმაოდ შეიცავდა. რაც უნდა იყვეს, მაინც მთელ შუა საუკუნეთა განმავლობაში ევროპა არაბულ წიგნებიდან იძენდა ასტრონომიულ სწავლას. ეს სწავლა, არაბთა გავლენის გამო, საქართველოშიც გავრცელდა. ჯერ ისევ 1258 წ. ტფილისს საკუთარი ასტრონომიული ობსერვატორია ჰქონდა [40]). რადგანაც ქართველ ფილოსოფოსმა არაბული განათლებაც მიიღო, ამიტომ იგი ცნობილია ეგრედვე ასტრონომად და ასტროლოღად. ამას უნდა დავუმატოთ რიტორობა და პიიტიკოსობა _

„იოანისნი ბრწყინვენ ლექსნი მზიანი,
სიმაღლით სხვათა უზეს ყოვლად ციან“ [41]).

სიტყვიერების და ენის ცოდნითაც „უბრძენესი ბრძენთა შორის“ მაღლა სდგას ყოველს თავის თანამედროეზედ. პეტრიწმა „ფრიად გაამშვენიერა“ დედა-ენა, განაბრწყინვა ქართული სიტყვიერება „ენა მზეობითა და კვეცილითა ლექსებითა და შვენიერითა თხზულებითა“ [42]). საყურადღებოა, რომ იმ დროს ევროპაშიც ლათინურს ცოტად მაინც ფრთები შეეკვე-

---

[40]) Шлоссеръ, 358, 360.

[41]) წყობილ-სიტყვაობა, 255.

[42]) თეიმურაზი, გვ. 296.

ცა და სახალხო ენას დაეღო პატივი. ამ ენის ხმარებას მიმართა ლიტერატურამ [48]). საქართველოში თუმცა დიდს ყურად-

ღებას აქცევდნენ სამშობლო ენის განვითარებას და ათონის წმ. მამებმა ბევრი იშრომეს ენისა და სიტყვიერების ასაღორძინებლად, მაგრამ პეტრიწის ღვაწლი უფრო დიდად შესანიშნავია: თუ არ იმის დიდი ნიჭი და შრომა, იქნება ქართულ სიტყვიერებას არ მიეღწია იმ სიმშვენიერემდე, რომლითაც შოთა რუსთველი და სხვანი მისი თანამედროენი ჰხიბლავენ მსმენელსა. და მართლად განცვიფრებულია ანტონ კათალიკოზი, როცა პეტრიწის „ენა-მზეობას“ იგონებს –

„არ შესაძლო არს ჩემდა ესე, მამაო,
„რათა ვამჰსგავსო ფრასთა შენთა სიტყვანი“...

პეტრიწმა დასწერა კიდეც საგრამატიკო თხზულება. იგი ცხადად ამტკიცებს ავტორის მახვილ-გონიერებას და ღრმა სპეციალ ცოდნას [44]). რასაკვირველია, ფილოსოფოსმა ზედ-მიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურაც, და, როგორც ამბობენ, ქართული კატალოგი შეადგინაო [45]).

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ იმ დროს არისტოტელი მეფობდა, იმის ბატონობას საზღვარი არა ჰქონდა, თვითეული მეცნიერი იმის თაყვანისმცემელი და მადიდებელი იყო. მეტადრე არაბნი დიდად აფასებდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსს და სახელად „მეორე მაჰმადს“ უწოდებდნენ [46]). ჩვენს „ჭეშმარიტს ფილოსოფოსსაც“, რასაკვირველია, შეგნებული ჰქონდა არისტოტელის ღირსება და დიდება და რამდენიმე მისი თხზულება გადმოიღო ქართულ ენაზედ, სთარგმნა ეგრედვე პროკლე დი ოდოხის, „კავშირი“ (Шрганонъ) [47]), იოსებ ფლავიოსის ის-

---

[43]) Вилльмент, 111.

[44]) А. Цагарели, О грам. литер. груз. яз. 1873 г. стр. 12 – 15, 166. и примѣч. 9.

[45]) Свѣдѣнія о пам. груз. письм... IV..

[46]) Шлоссеръ, 358 – 9.

[47]) П. Іос., инс. груз. церк. 72. მეფე ერეკლე II დროს მზეჭაბუკ ორბელიანმა დასწერა არისტოტელის კატეგორიისა და პროკლე დიოდოხის «კავშირთა» განმარტებანი. Древн. Тифл. 165.

ტორია და სხვ.. პეტრიწის საპიიტიკოსო მოღვაწეობაც საყურადღებოა. პიიტიკოსობის საზოგადო მიმართულებამ და ხასიათმა თავისი ბეჭედი დაასვა ქართველ მელექსესაც. იმ დროს ბიზანტიაში პოეზია სარწმუნოებრივს გრძნობას დამღეროდა, საღვთოს-მეტყველო ხმაზედ ჟღეროდა [48]). არაბნიც ამ გემოს ამჯობინებდნენ. იმათნი ღვთისმეტყველნი დიდის ხალისით სწერდნენ ლექსებსა, მაგრამ იმ ლექსებში ჭეშმარიტი პოეტური მადლი სრულიად არ მოიპოვებოდა [49]). პეტრიწიც არაბთა და ბიზანტიელთა პოეზიის კვალს დაადგა და ლექსით შეადგინა იამბიკო მღვთის-მშობლის სადიდებლად, პროლოღი მსოფლიო წმიდათა პატივად, ეგრედვე ლექსით (ზოგი პროზით) გადმოიღო ქართულ ენაზე კლემაქსი იოანე სინაიტელისა. ამასთანავე პეტრიწი სახელოვანი ღვთისმეტყველიც იყო, _ სთარგმნა სხვადა-სხვა წიგნი ახალის აღთქმისა, იოანე ოქროპირის „განმარტება მარკოზის მახარებელისა“ 50).

პეტრიწის შემდეგ წარჩინებული ფილოსოფოსი იყო არსენი, თავადის იბად ვაჩნაძის ძე, იყალთოელად წოდებული [51]), რომელიც ჯვარის მონასტერში აღიზარდა. მართალია, არსენიმ არცერთი საფილოსოფოსო თხზულება არ დაგვიტოვა, მაგრამ თავის „დიდს სასწავლებელში“ ფილოსოფიას თითონ ასწავლიდა და საფილოსოფოსო სწავლას კათედრიდან ჰფენდადა და ავრცელებდა –

„ამისი არს საქებელ...
ფილოსოფია ხედვითი პრაკტიკათურთ“...

განყენებულ ფილოსოფიას გარდა, არსენმა საფუძვლიანად იცოდა ბუნების მეცნიერებაც _ ფიზიკა, ატომია, ლოღიკოსობა, ბიიტიკოსობა და რიტორობა იმ დრს ხომ მიუცილებელს

---

[48]) Вилльмент, 167.

[49]) Веберъ. 463 _ 4. მადლი და შემოქმედებითი ძალა ამჩნევია მხოლოდ არაბულ ლირიკას.

[50]) ალ. ცაგარლის Свѣдѣнія... 44, 59. წყობილ-სიტყვაობა, გვ. 253. სხოლიო.

[51]) Памятники груз. стар... 110.

საგანს შეადგენდა და ანტონ კათალიკოზი, სხვათა შორის, ასე, ამკობს იყალთოელ პრაკტიკულს ფილოსოფოსს _

„არსენის ფრასი ბრწყინვალე, მშვენიერი,
ალიღორიკა განსაკვირო მაღალი“ 52).

კალმით არსენი განსაკუთრებით საღვთის-მეტყველო მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეობდა. იმის უმთავრეს მიმართულებას და სამწიგნობრო საგანს შეადგენდა მწვალებლობის დევნა, მასთან ბრძოლა და მართლ-მადიდებლობის დაცვა. დროთა ვითარება თხოულობდა ამგვარ მოღვაწეობას. მთელ აზიასა და საქრთველოში გავრცელდა ნესტორიანთა და სხვა მწვალებელთა მოძღვრება. იმათნი ბერ-მონაზონნი დამხობას უქადიდნენ მართლმადიდებლობას, ცრუ მოძღვრებას ჰნერგავდნენ საზოგადოებაში. ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ დიოგენმა ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და ბოროტების აღმოსაფხვრელად საქართველოს საზღვრად მოვიდა. ამბობენ, იმპერატორს ჰსურდა, რომ ძალად სომხეთში მართლ-მადიდებლობა გაევრცელებინა და ყარსში კიდეც დასწვა სომხური ეკლესიაო, მაგრამ სარწმუნოების ერთგულს გვირგვინოსანს აღარ დასცალდა მწვალებლობის მოსპობა: რომანოზ იმპერატორი ჯერ ალპ-არსლანმა დაატყვევა ომში და მერე შემდეგმა იმპერატორმა თვალები დასთხარა [53]). ენა-მჭევრი და ღრმა ლოღიკოსი არ სენ იყალთოელი მედგრად ებრძოდა სომეხთა და ნესტორიანთა, ჭექდა და გრგვინავდა იმათ მოძღვრების შესამუსვრელად –

„ერთ-ბუნებიანთ, სომეხთა-დ ჰქუხს არსენი,
ჰსტყორცს ცეცხლთ, განმეხავს, ჰსწვავს, ადნობს, განაქარვებს“...

არსენიმ ნესტორიანთა მწვალებლობის მოსასპობლად სთარგმნა ქართულად იოანე დამასკელის პოლემიკური თხზულე-

---

[52]) წყობილ-სიტყვაობა, 260 – 62.

[53]) П. Іос., инс. груз. церк. 73 – 5. Варданъ, 127.

ბა _ ოქროს ნექტარი“ [54]). როგორც წინად, ისრე იმ დროს მართლ-მადიდებელი ეკლესიის მშვიდობიანობას არღვევდა სხვა-და-სხვა მწვალებლობა. დიდად ღელავდა მეტადრე ბიზანტია, სადაც მართლ-მადიდებლობას ბევრი შინაური მეტოქე ჰყავდა. წმ. მამანი და ღვთის-მეტყველნი თავის ძალ-ღონეს მწვალებლობის და მეტოქობის დათრგუნვას ახმარებდნენ. თუმცა საქართველოს ეკლესია მყუდროდ იყო და შინაურობაში მწვალებლობას არვის უქადიდა, მაგრამ ქართველი ღვთის-მეტყველნი, ბიზანტიის ბაძით გატაცებულნი, მხურვალედ ეკიდებოდნენ მწვალებლობის საქმეს, ფხიზლად სდარაჯობდნენ მართლ-მადიდებლობას. ბიზანტიის სარწმუნოებრივი მღელვარება თავის ტალღებს საქართველოსაც სცემდა და აქ არის მიზეზი, რომ ჩვენი საეკლესიო მწერლობა ასე მდიდარია საპაექრო ნაწარმოებითა. არსენ იყალთოელიც სასტიკი მცველი იყო მართლ-მადიდებლობისა. ანის კრებაზედ მონაწილეობა მიიღო და სომხეთის ეკლესიის წარმომადგენელთ ცხარედ ეკამათებოდა. რასაკვირველია, რუის-ურბნისის კრებასაც დაესწტო და იმის კალამს ეკუთვნის „ძეგლის-წერა“. არსენ იყალთოელმა აღწერა ეგრედვე ზოგიერთ წმინდანთა ცხოვრება და შეკრიბა გარესჯის უდაბნოს მამათა ცხოვრება 55).

ფილოსოფოსთა შორის დიაღ შესანიშნავი და წარჩინებული იყო იოანე ტაიჭის ძე, სახელოვანი პედაგოგი და მეცნიერი, ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, „სიბრძნის მოყვარე“, „სიბრძნეთა შინა დიდი“, რომელიც ეგრედვე გამოჩენილ რიტორად და პიიტიკოსად ითვლებოდა 56). იოანე ტაიჭის ძემ უმ-

[54]) არსენზე წინად მამა ეფთიმემ გადმოთარგმნა იოანე დამასკელის «ორისა ბუნებისათვის ქრისტესისა,» А. Цагарели, Свѣдѣнія... 88. ბროსსე არსენ იყალთოელს მიაწერს თხზულებას «განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა», H. de la G. I. 376 n. 3.მაგრამ ბ-მა თ. ჟორდანიამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბროსსე და მისი მოაზრენი სცდებიან. ხსენებული თხზულება ეკუთვნის სახელოვანს არსენ II კათალიკოზს, მეათე საუკუნის მწერალს. ამავე არსენიმ სთარგმნა «დოღმატიკონი», სადაც შეკრებილია სხვა-და-სხვა მწერალთა საპაექრო თხზულებანი მწვალებელთა წინააღმდეგ, „ქრონიკები“...79, სხოლიო, 246, 303, 309 – 32.

[55]) П. Іосел., Жиз. св. груз. цер., стр. 15 и пр. 16, 26 и пр. 22.
[56]) წყობილ-სიტყვაობა, 264 და სხოლიო.

თავრესი ყურადღება საფილოსოფოსო თხზულებათა თარგმნას მიაქცია. როცა პირველ საუკუნეთა დროს, ქრისტეს შემდეგ, ათინასა და რომში საფილოსოფოსო სწავლა და აზროვნება დამცირდა და თითქმის კიდეც დაჭლექდა, მაშინ ალექსანდრია შეიქმნა ფილოსოფიის ახალ სახლად, იქ დაარსდა ეგრედ წოდებული **ალექსანდრიის საფილოსოფოსო სკოლა.** თუმცა იგი სკოლა აღმოცენდა პლატონისა და არისტოტელის სწავლის ნიადაგზე, მაგრამ არც თავისებურებას იყო მოკლებულია იმ სკოლის გამოჩენილნი ფილოსოფოსნი ქრისტიანობას ებრძოდნენ, თუმცა იმათი სწავლა ზოგში მიაგავდა კიდეც მეტოქე მოძღვრებას. ალექსანდრიის ფილოსოფიას სარწმუნოებრივი და განყენებული, ეგრედ წოდებული მისთიური მიმართულება ჰქონდა და ამ მხრით ქრისტიანობის დოღმატურს მოძღვრებას უახლოვდებოდა, ამ მიზეზის გამო წმ. მამანი და ქრისტიანნი ფილოსოფოსნი წყურვილით ეწაფებოდნენ იმ ფილოსოფიის ნაყოფს. მრავალ ხანს გაგრძელდა ალექსანდრიის სკოლის გავლენა და იმის ფილოსოფოსთა დიდი სახელი და პატივი დაიმსახურეს. იმათ შორის უფრო განითქვა პორფირი [57]), რომლის შესანიშნავი თხზულება, სახელად „შეყვანილება“ იოანე ტაიჭის ძემ ქართულად სთარგმნა. ჩვენმა ფილოსოფოსმა გადმოიღო ქართულად ეგრედვე დამასკელის კატიღორია ანუ ლოღიკა, შეადგინა დიალექტიკა, რომელიც საყურადღებოა მეცნიერებისათვის. იქ არაბულ ტერმინებით აღნიშნულია სილლოგიზმოები. იოანე ტაიჭის ძემვე გადმოსთარგმნა ეპიფანე კვიპრელის „თორმეტთა ქვათათვის“ [58]) და საგალობელი წმინდათა.

დავით აღმაშენებლის დროს ბრწყინავდა მთელი გუნდი წარჩინებულ ღვთის-მეტყველთა. იმათ შორის უფრო მეტი სახელი და პატივი მოიპოვეს ეფრემ მცირემ და თეოფილემა, რომელნიც საფილოსოფოსო გგნათლებითაც შესანიშნავი იყვნენ.

---

[57])Д. Г. Льюисъ, Исторія филисофіи, 1865 г. стр. 312 – 44.

[58]) თ. ჟორდანიას ქრონიკები... 237 „თორმეტთა ქვათათვის“ წინადაც ყო-

მაგ!, ეფრემ მცირე ცნობილია, როგორც „კაცი დიდი ბრძენთა შორის“, „უცხო მესილოგიზმე“, „უცხო ჭიიტიკოსი“, რიტორი 59). ეფრემი სამცხიდგან იყო და იოანე პეტრიწის ხელ-მძღვანელობით აღიზარდა. ჯერ ასურეთში შავ მთაზედ სცხოვრებდა და მერე იერუსალიმს. სახელოვანმა მასწავლებელმა დიდი გავლენა იქონია თავის მოწაფეზე. ეფრემ მცირემაც საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია, რომელიც ბრძოლის იარაღად მიაჩნდა და ფილოსოფოსთა, „მათითავე ისრითა განგვრემდა“ ეკლესიის დასაცველად. სთარ-
გმნა ეგრედ წოდებული „გადამოცემა“, – არისტოტელებრივი კატიღორია დამასკელისა. ეფრემის საგრამატიკო ღვაწლიც საყურადღებოა: იმან შემოიღო **წენტილი**, – გარკვეული კანონი სასვენ ნიშნების ხმარებისა. ეს კანონი დააფუძნა წერტილის რაოდენობაზედ, ერთიდან ექვსამდე [60]). ეფრემ მცირემ საკმაო ღვაწლი დასდო ქართლის მოქცევის ისტორიასაც. იმან უამბო თავის სამშობლოს „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენოს“. მართალია, ავტორმა ცნობანი უმეტეს ნაწილად ბერძენ ისტორიკოსის თეოდორიტის წიგნიდან გამოკრიბა, მაგრამ მისი შრომა ამით მაინც არ მცირდება. იმის წიგნის მეორე ნაწილი ვახტანგ მეფემ „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანა [61]). ეფრემის შრომაში მოიპოვება ზოგი დიდად საგულისხმიერო ამბავი. მაგ., ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰქონია აგარაკნი ათასი კვამლი „მოსასყიდელად ნივთთა წმიდისა მირონისათა“... თუმცა ეფრემ მცირეზე ადრე, მეათე საუკუნეს, არსენ კათალიკოზმა შეადგინა ქართლის მოქცევის ისტორია, მაგრამ იმის ნაწარმოებს უფრო მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, _ ანტონ კათალიკოზის თქმისამებრ, მხოლოდ ეფრემ მცირემ, „ისტორიკოსა ჩვენდა მოქცევი-

[59]) წყობილ-სიტყვაობა, 257 _ 8.

[60]) А. Цагарели, Свѣдѣнія... 61 – 2. თ. ჟორდანიას «ქრონიკები...» 215 – 18. П. Іосел., Древн. Тифлиса 154-5.

[61]) ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ექ. თაყაიშვილისა, 1891 წ. გვ. XXXVI – VII. ავტორს მთლად დაუბეჭდია ეფრემის შრომა, რომელშიც, თეოდორიტის ცნობებს გარდა, ბევრი სხვა საყურადღებო ამბავია მოხსენებული. შეადარე ა. ხახანაშვილის „Источники по введенію христіан. въ Грузіи“, 93 г. стр. 10 – 11.

სათვის“... პირველად ეფრემმა მიაქცია ვრცელი ყურადღება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და, სხვათა შორის, დასწერა თომა მოციქულის ქადაგება.

მაგრამ ეფრემ მცირის უმთავრესი ძალა და შრომა მიმართული იყო ღვითს-მეტყველებაზე. საღვთის-მეტყველო მწიგნობრობაში გამოიჩინა იმან თავისი დიდი ნიჭი, იქ დაიდგა დიდების ძეგლი. იმის დრომდე ბევრი რამე აკლდა ჩვენს საეკლესიო მწერლობას და ნაკლი ეფრემმა შეავსო. ამბობენ, რომ თანამემამულემ და თანამოღვაწემ საბა თუხარელმა აიძულა ეფრემი სათარგმნელად იმ წიგნთა, რომელნიც ქართულ ენაზედ არ მოიპოებოდაო. ეფრემის თარგმანებს დიდი ღირსება სძევს, – იგი სიტყვა-სიტყვითია, მეცნიერული და სხოლიოებით შემკულია. იმან სთარგმნა გრიგოლ ღვთის-მეტყველის სიტყვანი, ცხოვრება და წამება მრავალთა წმიდათა, ფსალმუნთა განმარტება. იმის ნათარგმნია მეექვსე მსოფლიო კრების „სჯულის კანონი“, თუმცა წმ. ეფთიმის შრომად სთვლიან [62]).

ეფრემ მცირემ ეგრედვე გადმოიღო ქართულად დიონოსის არეოპაგელის „ზეცისა იერარხიისათვის“, წმ. კასიანეს სიტყვანი, იოანე დამასკელის თქმულნი [63]) და ბევრი სხვა შესანიშნავი თხზულება.

საეკლესიო მწიგნობრობას ნაკლები შრომა არც თეოფილემ დასდო. ეს სახელოვანი ღვთის-მეტყველი, რომელიც აღზარდა წმ. გიორგი მთაწმინდელმა, დავით აღმაშენებელის დროს ქ. კონსტანტინეპოლს იმყოფებოდა მონასტერში და მალე ისრე განითქვა, რომ ტარსის მიტროპოლიტობა მისცეს. თეოფილე წოდებულია „მრჩობლ ფილოსოფოსობით ყოვლად განთქმულ კაცად“, „თანამედროეთა თვისთა, ფილოსოფოსთა

[62]) თ. ჟორდანიას „ქრონიკები“... 220 – 8. А. Цагарели, Свѣдѣнія... 58, 88. «სჯულის კანონი» მოხსენებული არ არის წმ. ეფთიმესაგან შედგენილ სიაში, თუმცა

იმის ბიოგრაფი ამბობს, რომ „სჯულის კანონი“ სთარგმნაო.

[63]) ibid. 62. წმ. ეფთიმის ცხოვრების აღმწერელი ამბობს, კასიანეს სიტყვანი წმ. ეფთიმემ სთარგმნაო, ibid 58. წმ. კასიანეს ცხოვრება და სიტყვანი უთარგმნიათ X – XI საუკ. ხელ-ნაწერები სინაის მთაზე მოიპოება, Пам. груз. стар. 229 – 30, 232 – 3.

იოანეს და ეფრემის და არსენის, თანარიცხვის ღირსად“... ამ „ბრჩობლ ფილოსოფოსობით“ შემკულმა მრავალი წიგნი სთარგმნა ბერძნული, სხვათა შორის, ცხოერება წმ. ილარიონ კახელისა, რომელიც ფრიად შესანიშნავი მოღვაწე იყო. წმ. ილარიონის ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ საზოგადოებისათვის. იმან კახეთში დააარსა მამათა და დედათა მონასტერი, გაამშვენიერა გარესჯის უდაბნოს ლავრა და შემდეგ მრავალ ღვაწლისა გარდაიცვალა თესალონიკეში. თავის დროს ისე ბრწყინავდა, რომ მისი გვამი იმპერატორმა ვასილ მაი კედონელმა თესალონიკიდან დიდის პატივისცემით მოასვენა ჯერ კონსტანტინეპოლს და მერე დაკრძალა ქართულ მონასტერს „ჰრომანიაში“. თეოფილემ გადმოიღო ქართულად ეგრედვე ლიტურღია და რამდენიმე კანონი შეადგინა ქართველ წმიდათა სადიდებლად [64]). დასასრულ უნდა მოვიხსენოთ, რომ დავით აღმაშენებლის დროს სცხოვრებდა საერო პოეტი ძაგნაკორელი, არაგვის მხრიდან, რომელმაც თავისებური ლექსთა წყობა შემოიღოო. პოეტის ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია [65]) და ვერცარაფერს ვიტყვით. დავსძენთ მხოლოდ, რომ თვით დავით აღმაშენებლის მემკვიდრე, მეფე დიმიტრი პიიტიკოსი იყო და საუკეთესო მწერლად ითვლებოდა [66]). სჩანს, რომ საერო პოეზიასაც დავით აღმაშენებლის დროს ჩაედგა სული...

---

[64]) წყობილ-სიტყვაობა, 259. Цагарели, Свѣдѣнія ... 79-80. მისივე Памятн. груз. стар 38 – 41. П. Іосел., Инс. груз. церк. 79

[65]) П. Іосел. Описаніе Душета, 65,

[66]) Баратовъ, IV. 92.

VI

წინადვე ვთქვით, რომ დავით აღმაშენებელმა პირველი ყურადღება სამეფოს დამდაბლებულ კვერთხს მიაქცია, განახორციელა თვით-მპყრობელობა, რომელზედაც დააფუძნა განსაკუთრებული ერის მმართველობაო. ეს მმართველობა იმაში მდგომარეობდა, რომ მთლად საზოგადოებრივი ცხოვრება ტახტს და სამეფო კვერთხს დაემორჩილა, ერთს უზენაესს უფლებას დაემონავა. როცა ესეთი წეს-წყობილება არსებობს, მაშინ საზოგადოებრივი თავისუფლება და თვით-მოქმედება მოსპობილია, ადგილობრივი ანუ სათემო გამგეობა საკუთარს მნიშვნელობას და ძალას მოკლებულია. უკეე ისიც მოეიხსენეთ, რომ საქართველოს მდგომარეობა სწორედ ამნაირს გამგეობას თხოულობდა. უმეტეს ნაწილად შინაურმა უწესოებამ დაჰბადა ეს სასტიკი გამგეობა. მართლაც, როცა მემატიანე აღნიშნავს მეფის სხვა-და-სხვა უფლებას და მოვალეობას, მაშინ ცხადად გვიჩვენებს, რომ საქართეელოს მეტად ესაჭიროებოდა მყუდროება და მშვიდობიანობა. მემატიანის განმარტებით, მეფის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენს „განხეთქილებათა კრძალვა“, „სამეფოსა წყნარობისა ღონენი“, „მთავართა ზაკვისა ცნობანი“, „შემცოდეთა წყალობით წვრთნანიო“... ბოლოს მემატიანე დასძენს, რომ ყოველ ამაში „ვერვინ ძველთა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა“ დავითსაო [1]). მაშასადამე, „განხეთქილება“, „ზაკვა“, „შეცოდება“ და სხვა ამგვარი ბოროტება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მეფემაც ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად დაადგინა ის სასტიკი ერის-მმართველობა, რომელმაც მოსპო მთავარ-ერისთავთა ურჩობა და სათემო დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, დროს განმავლობა იყო საჭირო ასეთის ერის მმართველობის ასაღორძინებლად. ახალმა გა-

მგეობამ მაშინ შეისხა ფრთები, როცა მეფემ შემუსრა მტერნი
და მეტოქენი, სულტანი დასვა მოხარკედ თვისად“, „მტვერად
დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“...

---

[1]) ქ.-ცბა, გვ. 255.

ამბობენ, რომ დავით აღმაშენებელმა ვერ შესძლო ფეო-
დალობის დასუსტებაო [2]) და ამ აზრს თითქო კიდეც ამტკი-
ცებს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგაც არ
შეწყვეტილა განხეთქილება და ერისთავთა ზაკვა. მაგრამ საქ-
მე იმაშია, რომ ფეოდალობა სახელმწიფოს ქვა-კუთხედს შეა-
დგენდა, მისი მოსპობა და უარყოფა შეუძლებელი იყო, რადგანაც
ეს ძირიანად შეარყევდა მთელს სამეფო შენობას და არც და-
ვით აღმაშენებელს ჰქონდა დრო და სურვილი ასეთი ცვლი-
ლება მოეხდინა. მეფეს უნდოდა მხოლოდ, სამეფო კვერთხი
აღემაღლებინა და წადილს კიდეც მიაღწია: ფეოდალობა ტახ-
ტის მონად გადააქცია და საერისთვო გამგეობა თავის ნებას
და **დარბაზს** დაუმორჩილა. ერის მმართველობა ახალს გზას
დაადგა, – ყოველივე მეფის ნებით და დარბაზით სწარმოებდა...

შუა საუკუნოების დროს ევროპაში შინაგანი სახელმწი-
ფო გამგეობა და მართვა სულ სხვაფრივ იყო მოწყობილი. იქ
საეკლესიო და სამოქალაქო უწყება ერთი-ერთმანეთს ეწინა-
აღმდეგებოდა, ეცილებოდა და ამიტომ მთელი სახელმწიფოებ-
რივი ცხოვრება დაუცხრომელ ბრძოლას წარმოადგენდა ტახ-
ტსა და ეკლესიას შორის თუმცა ამ ბრძოლაში ეკლესია იმა-
რჯვებდა, მაგრამ მისი ძლევამოსილობა არც ისეთი იყო, რომ
მეტოქეს იარაღი დაეტოვა და გამარჯვებულს დამორჩილებო-
და. აქ არის მიზეზი, რომ ევროპაში ეერ დაარსდა ეგრედ წო-
დებული თეოკრატია, – ეკლესიისა და სასულიერო წოდების
ბატონობა, ხელმწიფება [3]). სხვაგვარად დატრიალდა ერის-
მმართველობის საქმე ბიზანტიაში. ბიზანტია აღიარებდა წმ.
მამათა საპოლიტიკო მოძღვრებას. ხოლო ეს უკანასკნელი
აი რას ასწავლიდა: ყოველი მეფობრივი ერის-მმართველობა,
დაწესებული გამგეობა ღვთიურის შთამოებისაა და ამიტომ ქვეშე-

ვდომნი უნდა ემორჩილებოდნენ დადგენილს წეს-წყობილებას, მაგრამ ესევე არ ითქმის პირადად მმართველისა და გამგებლის შესახებ, _ კაცს უფლება აქვს, როცა გარემოება აიძულებს, ურჩობა

---

[2]) Баратовъ, IV. 36 იხ. ეგრედვე ანტ. ფურცელაძის «ბრძოლა» 95.

[3]) ЧиЧеринъ, 95 – 8.

გაუწიოს ამ უკანასკნელთაო. რასაკვირველია, ლოღიკური დასკვნა ამ მოძღვრებისა თხოულობდა, რომ მეფე შემკული ყოფილიყო სხვა-და-სხვა საჭირო ზნეობრივის ღირსებით და მხოლოდ მაშინ შეეძლო მორჩილება მოეთხოვა [4]). ცხადია, რომ ეს მოძღვრება უფრო დიდს ძალას და მნიშვნელობას ანიჭებდა მეფეს, ვიდრე დასავლეთ ევროპაში იყო. დავით აღმაშენებელმა სამეფოს გამგეობა ბიზანტიის საპოლიტიკო მოძღვრებაზედ დაამყარა და რადგანაც გამგებლის და ხელის-უფლის პირადი ღირსება და წმინდა ზნეობა აღიარებული იყო ერის-მმირთეელობის უპირატეს თვისებად, ამიტომ მეფემ ყოველი ღონის-ძიება იხმარა, რომ ღირსეულთა ჩაჰბარებოდათ სამეფო საქმეების წარმოება. აღმოსავლეთის მაგალითიც თვალწინ ჰქონდა. როგორც წინადაც მოვიხსენეთ, თანამედროე მელიქ-შა ჰუბრძნეს მეფედ ითვ-
ლებოდა. იმისმა ვეზირმა ნიზამ-ალ-მულქმა შეადგინა ერის მმართველობის სახელმძღვანელო და თავის თხზულებაში ბევრი გონივრული დარიგება, ბრძნული რჩევა და სასარგებლო ისტორიული ამბავი წარმოსთქვა სახელმწიფოს შინაურ გამგეობის გასაუმჯობესებლად [5]).

უეჭველია, მელიქ-შაჰის და იმის ვეზირის მოღვაწეობას გავლენა ექნებოდა დავით აღმაშენებელზედ და, სხვათა შორის, ამ გავლენითაც აიხსნება, რომ საქართველოს მეფემ განაახლა ერის მმართეელობა. და საყურადღებო კიდევ ის არის, რომ განახლება დაეტყო მართვა-გამგეობის ყოველ ნაწილს და განუწყვეტელმა ლაშქრობამ მეფე ვერ დააბრკოლა ამ დიდის საქმის შესასრულებლად...

როცა გარემოება და დრო ხელს უწყობდა, მეფის პირ-

ველი ზრუნვა „საქმეთა გამგეობა“ იყო. სამწუხაროდ, მატიანემ საკმაო ცნობა არ დაგვიტოვა, _ თუ როგორ მოაწყო მეფემ ადმინისტრაცული მმართველობა და რა ცვლილება შემოიღო მხოლოდ ცხადად სჩანს, რომ ხელის-უფალნი, მოხელენი და მოწესენი ახალნი დააყენეს. მართვა-გამგეობის წყობილება

[4]) ibid. 98 – 02.

[5]) Шлоссеръ. 643 – 4.

და აგებულება კი ძველივე დარჩა და ეს იმიტომ, რომ ვნება და ბოროტება უფრო მმართველთა და გამგებელთაგან წარმოსდგებოდა, ვიდრე თვით ადმინისტრატულ სისტემისაგან. ძეელნი მთავარ-ერისთავნი სავსენი იყვნენ ბიწიერებით, ეურჩებოდნენ მეფის ყოველ კეთილს საქმეს და წადილს, ღალატსა და ორგულობას არ იშლიდნენ, – „ნათესავი ქართეელთა ორგულ-ბუნება არს პირველითაგანვე თვისთა უფალთაო“ და როცა ძალას შეიკრებს, იწყებს „განძრახვად ბოროტისაო“ [6]). ორგულ-ბუნების“ მოსასპობლად და სამეფო მეურნეობის წარსამატებლად საჭირო იყო მთავარ-ერისთავთა გამოცვლა და დავით აღმაშენებელმაც ამ საშუალებას მიმართა. საყურადღებოა ის ღონის-ძიებაც, რომელსაც მეფე ხმარობდა მართვა-გამგეობის გასაუმჯობესებლად. მატიანე გადმოგვცემს, რომ მეფეს ბრალსა სდებენ, – ერთს შეიყვარებს და განადიდებს, მეორეს მოიძულებს და დაამცირებს, ამას აღამაღლებს და იმას დაამდაბლებსო [7]). ასეთი ბრალის დება ცხადად ამტკიცებს, რომ მეფემ უარჰყო არსებული წესი მთავარ-ერისთაობის მემკვიდრობით მიღებისა და გზა გაუხსნა ნიჭსა და პირადს ღირსებას – „ერთგულნო ფრთხილნი და ახოვანნი ნაცვლად ორგულთა, და ჯაბანთა, და უღირსთა ადიდნეს... არავინ იყო ესოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებისა კაცისასა“... [8]) მაშ სჩანს, რომ განახლება შეეხო პირველად მოხელეთა და არა მოხელეობას, გამგეობას. „ერთგულნო ფრთხილნი და ახოვანნი“ მიწვეულ იქმნენ ქვეყნის საპატრონოდ და იმათ მოვალეობას შეადგენდა მეფის სურვილისამებრ მოქმედება.

მუდმივი ლაშქრობა ნებას არ აძლევდა მეფეს, საკუთარი ყურადღება მიექცია შინაურ წესისა და რიგის დაცვისათვის. შეიძლებოდა ასეთს ლაშქრობას ღალატი და ღელვა გამოეწვია სამეფოში. ამის ასაცილებლად მეფემ მოხელენი თავის „თვალად“ და „ყურად“ გახადა: მეფის უხილავი და უსმჰენელი, იმის უც-

---

[6]) ქ.-ცბა, 260.
[7]) ibid.
[8]) ibid. 261.

ნობელი და გაუგებარი არა იყო-რა – „გინა სიტყვა ბოროტი თქმული, არა რა დაეფარვებოდა“, თვით „გულის სიტყვანიც“ უწყოდა [9])... მოხსენებული არ არის, – თუ როგორ წარმოებდა, რომელ მანქანას და რა ძალას მოჰყავდა მოძრაობაში ასეთი სასტიკი გამგეობა, რომლისთვისაც დაფარული არა იყო-რა, მაგრამ ცხადია, რომ მთელ სამეფოში, ტახტიდან მოკიდებული ყველა კუთხემდე, თითქო ტელეფონი იყო გაბმული და ამ ტელეფონის მართულებს მსწრაფლად ამბავი მიჰქონდათ მეფესთანაო. ასეთმა გამგეობამ სრულიად აღმოფხრა ზაკვა და ღალატი, დაამყარა შინაური მყუდროება, მოსპო ჩვეულებრივი შფოთი ერისთავთა და დანერგა მორჩილება. მემატიანე გვარწმუნებს, რომ ყველამ უწყოდა, – „პირით აღმოსვლასავე თანა სიტყვისას საცნაურ ქმნილ არს წინაშე მეფისაო“, და, რასაკვირველია, „იყო ყოველთაგან საკრძალავი და სარიდო“... „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე იკადრებდა განდრეკილად სვლად“ [10])... არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ყოველ მოხელეს ვალად ედვა წესად სვლა, ესე იგი კანონისა და სამართლის მიხედვით მოქმედებდა. მისი „აღმაღლება“ დამოკიდებული იყო ამ მოვალეობის აღსრულებაზედ და ულმობელი სასჯელი, „განპატიჟება“ მოელოდა, უკეთუ წესად სვლას ასცილდებოდა.

მაგრამ მეფემ წყალობის გაცემაც უხვად იცოდა. მისი მაღალი და გამჭრიახი გონება, მისი ლმობიერი და დროზედ მრისხანე გული მამობრივს სიყვირულს და სისასტიკეს იჩენდა

იმის დაგვარად, – თუ როდის რა იყო საჭირო. მაგალითებრ, ჰერეთ-კახეთის დაპყრობის შემდეგ, მეფემ „მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისასა“... ასე მოიქცა შირვანის აღების დროსაც [11]). წმ. მამათა კრებაზე კი მეფე სასტიკად მოეპყრა დამნაშავეთ, ტფილისის აღების დროსაც მრისხანება გამოიჩინა და ხუთასი მაჰმადიანი სარჩობელაზე ჩამოაკი-

[9]) ibid. 257 – 8.

[10]) ibid.

[11]) ქ.-ცბა, გვ. 243, 252.

დებინა. ხოლო აშორნის ომის შემდეგ, როცა მეფემ ბიჭვინტამდე მოვლო აფხაზეთი, „ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და სწვრთნა“... ესეთი მოქმედება, რომელიც სიმართლეზეა დაფუძნებული და მისგან მომდინარეობს, მეფის პირადს ღირსებას ამაღლებს და ამასთანავე სასოებას და ნუგეშს სთესავს ქვეშევრდომთა სულსა და გულში. მიზეზიც აქ არის, რომ მეფემ „წესად სვლა“ საყოველთაო ჩვეულებად გარდააქცია, თვით „შიში დიდი და ზარი მისი, რომელიც განითქვა კიდეთა ქვეყნისათა“, მოღალატეთა და ორგულთაც კი „წესად სვლას“ უჩვენებდა...

ერის!მმართეელობის ერთს შტოს შეადგენს სამართლის წარმოება. დავით აღმაშენებლის დროს განახლება დაეტყო სამართლის საქმესაც, თუმცა, სამწუხაროდ, არა სჩანს, – როგორ იყო მოწყობილი სასამართლო და მართლ-მსაჯულება. წმ. მამათა კრება და „ძეგლის წერა“ ნათლად ამტკიცებს მხოლოდ, რომ მეფე ჯეროვან ყურადღებას აქცევდა კანონ-მდებლობასაც. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ძველ დროიდანვე ქართველებმა იცოდნენ ბერძნული და რომაული სამართალი [12]), თუმცა საკუთარი რჯული რა კანონი ჰქონდათ და თავის სამართალს მისდევდნენ. მეფის მოვალეობას, სხვათა შორის, სამართლის ქმნაც შეადგენდა, მეტადრე როცა გასაბჭობი საქმე მაღალ წოდებას შეეხებოდა, ანუ სხვაფრივ საყურადღებო იყო. მაგრამ ხშირი ლაშქრობა, „სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სვლა“ მეფეს აბრ-

კოლებდა სამართლის ქმნად, თუმცა მოჩივარნი მისგან ელოდნენ „განკითხვასა და შეწევნასა მეფობრივსა“, ადიოდნენ ბორცვასა, კლდესა და ხესა ზედა და უცდიდნენ – მეფემ გაგვასამართლოსო... ეს გარემოება მოწმობს, რომ საზოგადოებას დიდად ესაჭიროებოდა „ქმნა მართლისა სამართლისა“ და ამისათვის მეფემ განაწესა „კაცნი მართლიად მცნობელნი და გამკვითხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა [18]). ეს ნიშნავს, რომ დაწესდნენ მოხელენი – მოსამართლენი, დაარსდნენ

---

[12]) Баратовъ, IV. 33.

[13]) ქ.-ცბა, 257.

განსაკუთრებულნი სამართალნი. ხოლო წინად სამართლის ქმნა მინდობილი ჰქონდათ მთავართა და ერისთავთა, რომელნიც უიმისოდაც დატვირთულნი იყვნენ მრავალგვარ მოვალეობით. და რადგანაც სამართლის ქმნა განცალკევებულ საქმედ გარდაიქცა და „მცნობელთ“ ჩაჰბარდა, რჯული და კანონიც ახალს გზას დაადგა, ხალხს დიდი შვება მიეცა...

დავით აღმაშენებელმა უფრო შესანიშნავი ცვლილება სამხედრო გამგეობაში მოახდინა. მემატიანე ამბობს, რომ მეფის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენს მხედართა განწესება, სპათა დაწყობა, ღონიერი მიმართება და სხვ. და ყველა ამ საქმეში არც ერთი მეფე – არც ძველი და არც ახალი – არ შეედრებოდა დავით აღმაშენებელსაო [14]). მართლაც-და, უმთავრესი ყურადღება მეფემ სამხედრო გამგეობას მიაქცია და ისეთი შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა, რომ მის მიერ დაარსებული სამხედრო გამგეობა სამაგალითო შეიქმნა. იმის სამხედრო სკოლაში აღიზარდნენ და გაიწვრთნენ სახელოვანნი გმირნი და სპასალარნი, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი სამხედრო ისტორია და დიდება მოუპოვეს სამშობლოსა. და მეფის ასეთი ღვაწლი მით უფრო საყურადღებოა, რომ იმის გამეფებამდე საქართველოს მხედრობა სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველად, რომ ჯარი ცოტა იყო და მეო-

რედ – ჯარს საომარი საჭურველი აკლდა, მედგარი მხნეობა და ვაჟ-კაცობა არა ჰქონდა, მოშიში და დაჯაბანებული იყო. თურქთა სამხედრო გამგეობა და ლაშქარი შედარებით ძლიერ სჯობდა ჩვენს სამხედრო გამგეობას და ლაშქარსა. ამას გარდა, ქართველ ჯარის კაცთ არ იცოდნენ მტრის სალაშქრო ზნე-ჩვეულება და ეს დიდი შეცდომა და ნაკლი იყო. დავით აღმაშენებელმა სამხედრო საქმის გაუმჯობესობა იმით დაიწყო, რომ ჯარი ნელ-ნელა გაწვრთნა, გამბედაობა და გულადობა ჩაუნერგა „ქებითა და ნიჭითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცმითა“ და ბოლოს ხომ ახალი სამხედრო წესი და წყობილება

[14]) ibid. 255.

დაუდგინა. როგორც უკვე შევნიშნეთ, დავით აღმაშენებელს ეკუთვნის როქის სპის დაარსებაც. მართალია, როქის სპა წინადაც იცოდნენ საქართველოში, მაგრამ დავით აღმაშენებელმა სხვაფრივ მოაწყო ამ სპის საქმე, – როქის სპა მუდამ სალაშქროდ მზად იყო, სამხედრო ფეხზედ იდგა, დანიშნული უფროსნი ჰყვანდა და ბანაკ-ბანაკად ესახლა, როგორც როქის სპის, ისე სხვა ჯარის საომრად მოყვანა სისწრაფით შეიძლებოდა. ამას ამტკიცებს ქ. ანისკენ გალაშქრება: მოწვევის მესამე დღეს სამოცი ათასი შეიარაღებული მხედარი წარსდგა მეფის წინაო [15]).

როქის სპაში ითვლებოდნენ საუკეთესო მხედარნი – „ჩვეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი“. მაგრამ ამ ლაშქრის ცვლილება უფრო იმაში მდგომარეობდა, რომ დავით აღმაშენებელმა იგი უცხოელთაგან შეადგინა და სამუდამო ჯარად დააწესა. წინად კი უცხოელთა დროებით საშველად მოიწვევდნენ ხოლმე. როქის სპის უმთავრესი მოვალეობა **მეცხოვნება** იყო, – იმას ებარა ციხე-სიმაგრეთა დაცვა და აღება. ქართველთა ძველადვე მიღებული ჰქონდათ ბერძენთაგან სამხედრო ხელოვნება მაგ., იცოდნენ ხმარება ფილაკავანისა (ქვის სასროლი მანქანა), ტარონისა (გალავნის მრღვეველი), ნაღმისა და ამ მხრივ დავით აღმაშენებელს ახალი არა შემოუღია-რა [16]), მაგრამ პირველად იმან დაარსა მეცხოვნეთა მუდ-

მივი რიზმი. ლაშქრობის დროს როქის სპას და კერძოდ ქართ-
ლის მხედრობას ეპყრა სამეფო დროშა და თავისი საკუთარი
ადგილი ეჭირა ბრძოლის ველზე. სამხედრო წყობის და ტაქ-
ტის მხრითაც როქის სპას მეფემ ახალი დანიშნულება მისცა.

დავით აღმაშენებლის დროს ქართველებს მიღებული ჰქო-
დათ ბიზანტიისა ანუ რომის საომარი დაწყობა ჯარისა, ეგ-
რედ წოდებულ **მწკრივებრივი ტაქტიკა**. ეს ტაქტიკა თხოულობ-
და, რომ რამდენიმე რაზმი ორ მწკრივად დაწყობილიყო, ჯა-

---

[15]) ibid.

[16]) ჟურნალი «ივერია» 1883 წ. № 10, თ. თათარყან დადიშკელიანის გამო-
კვლევა. რამდენიმე საბუთიანი შენიშვნა ამ გამოკვლევაზე იხ. ვლ. მიქელაძის წე-
რილში „О древне-грузинскомъ войскѣ, газ. „Кавказъ“ 84 г. № 92.

დრაკის კაცების მსგავსად. ორისავე მწკრივის რიცხვი თანასწო-
რი უნდა ყოფილიყო. პირველი იერიშით მიდიოდა და, თუ სი-
გრძით მტრის მოწინავე ჯარს აღემატებოდა, მაშინ ფრთებს
ჰშლიდა და ორმხრივ მოეხვეოდა მოწინააღმდეგეს. მეორე
მწკრივი პირველს ჰშველოდა დავით აღმაშენებელმა შესცვალა
ეს სატაქტიკო წესი, – ორის მაგიერ სამი მწკრივი შემოიღო.
თვითვეულს საკუთარი დანიშნულება ჰქონდა. პირველს შეად-
გენდა წინამძღოლი ჯარი, მეორეს – ყოლბი ანუ თავი და თა-
ვი ჯარი, ხოლო მესამეს – მაშველი. მაშველ მწკრივად ითვლე-
ბოდა როქის სპა [17]), რომელსაც თვით მეფე წინ უძღოდა.

ეგრედ წოდებული დისციპლინა ლაშქრის სული და გულია.
ნაკლები მნიშვნელობა არც ჯარის-კაცის ყოფა ქცევას აქვს.
დავით აღმაშენებელმა ახალი წესით და სასტიკის განკარგულე-
ბით აღამაღლა დაცემული ზნეობა ჯარისა, ლაშქარს აღუკრძა-
ლა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, გი-
ნება და ყოველი უწესოება“, ჯარში დაარსდა მორჩილება,
მოვალეობის შეგნება და აღსრულება. სამხედრო კაცის მცი-
რედი დანაშაულებაც კი ვერ დაიფარებოდა. არა თუ საქმე,
თვით სიტყვა კეთილი და ბოროტი არ დაემალებოდა მეფესაო
და ბრალდებულს სასტიკი სასჯელი სდევნიდა [18]). ბოლოს უნ-
და მოვიხსენოთ, რომ მეფემ, სხვათა შორის, ლაშქრობის გა-

საადვილებლადაც ყურადღება მიაქცია გზების გაყვანას და გამართა ხიდნი „მდინარეთა სასტიკთა ზედა“, „გზანი საწყინოდ სავალნა ქვა-ფენილ ჰყვნა“... გზებისა და ხიდების გაკეთებამ ხელი შეუწყო „სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სვლასა.[19]) და საკვირველი არ არის, რომ მფრინავი სპასპეტი უეცრად და მოულოდნელად მტერს ესხმოდა და მუსრს ავლებდა.

იმ დროს აღმოსავლეთში აღებ-მიცემობის და სხვა-და-სხვა მეურნეობის აღორძინებას მეტად მისდევდნენ. არაბთა და საზოგადოდ მაჰმადიანთა თვალთ-გადუწედენელი ველ-მინდორნი

---

[17]) ibid.

[18]) ქ.-ცბა, 856 – 7.

[19]) ibid.

სარწყავ-რუებით მოჰფინეს, მრავალი საქარავნო გზანი გაიყვანეს უდაბნო ადგილებში, ვაჭრობა გაავრცელეს, მრეწველობა და წარმოება გაადიდეს. ამ გარემოებამ გავლენა იქონია საქარომელთზედაც. და როცა დავით აღმშენებელი შრომასა და ხარჯს არ ზოგავდა თავის სამეფოში მიმოსვლის გასაუმჯობესებლად, სამხედრო საჭიროების გარდა, აზრად ვაჭრობისა და მეურნეობის წარმატებაც ჰქონდა. ცნობების უქონლობის გამო ნიშნობლივ ძნელია ითქვას, – თუ რა ღვაწლი დასდო მეფემ მეურნეობისა და ვაჭრობის საქმეს, რაოდენად ააღორძინა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ უცილობელი კია, რომ იგი მზრუნველობას არც ეკონომიურის ცხოვრების წარმატებას აკლებდა. სჩანს, რომ მეფე ცდილობდა მეტადრე მეურნეობის ასაყვავებლად. ამას ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული თქმულება – “თევზი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნესო“ [20]). როქის სპის დაარსება, უხვი შეწირულება მონასტერთა სასარგებლოდ, ტურფა ტაძართა აშენება და განახლება და სხვა ამგვარი საქვეყნო საქმე ღაღადებს, რომ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შესამჩნევად გაუკეთესდა, ხალხის სიმდიდრემ იმატა. აქ არის იმის მიზეზიც, რომ დავით აღმაშენებელმა დააარს დიდი სასნეულო სახლი (ქსენონი), რო-

მელსაც დაუნიშნა საკუთარი შემოსავლი [21]). ქსენონში შეკრიბა „თვითო სახითა სენითა განცდილნი“ და წესდება დაუწერა. ხშირად თითონ მეფე უვლიდა საკუთარს ხელით, პატრონობას უწევდა და ნუგეშს აძლევდა ავადმყოფებსაო. ამ სასნეულო სახლის დაარსება უნებლიედ გაგონებთ სახელოვან ბუიდების მეფობის დროს, როცა სპარსეთში ქ. შირაზს პირველად ააშენეს დიდი ქსენონი [22])...

მეფე სხვაფრივაც ზრუნავდა საზოგადოებისათვის. იმ

[20])Баратовъ IV. 29.

[21]) ქ-ცბა, გვ. 244.

[22]) Шлоссеръ, 348. წინად მოვიხსენეთ, რომ იმ დროს მკურნალობას დოსტაქრობას და სხვა ამგვარ მეცნიერებას ქსენონებში ასწავლიდნენ. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლისაგან დაარსებული დიდი ქსენონი სამკურნალო აკადემიასაც შეადგენდა.

დროს ყველგან აღმოსავლეთში გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა მდგომარეობაზედ იყო მიქცეული ყურადღება. მელიქ-შაჰი და მისი ვეზირი ნიზამ-ელ-მულქი დიდს შემწეობას აძლევდნენ გლახაკთა [28]) და ცდილობდნენ ამ საშუალებით სიღარიბე მოესპოთ. თუმცა წყალობის გაცემით სიღარიბე ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ აღმოსავლეთში ამ საზოგადოებრივის სენის წამლად მაინც წყალობა მიაჩნდათ. ასეთს აზრს სარწმუნოებრივი საფუძველიცა ჰქონდა. როგორც ქრისტიანობა, ისრე მაჰმადიანობა ასწავლიდა, რომ გლახაკთა და დავრდომილთა უწყალობეთ, უნუგეშეთო. დავით აღმაშენებელი დიდად მოწყალის გულისა იყო და უბედურად სთვლიდა იმ დღეს, როცა ფულით სავსე ქისას არ დააცარიელებდა გლახაკთა მისაცემად. ერთს დღეს ოც და ოთხი ათასი დრაჰკანი გარდასცა მოძღვარს ღარიბებისათვის დასარიგებლად და სხვა დროსაც მის უხვს წყალობას თითქო დასასრული არა ჰქონდა. მეფეს უყვარდა ტყვეთა განთავისუფლებაც და, მატიანის თქმით, ვინ მოსთვლის – თუ რაოდენი ტყვე გამოიხსნა ყივჩაყთაგან და თავისფლება მიანიჭა [24])...

დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ დროს ოდესმე

დამცირებული საქართველო ძლიერ სამეფოდ შეიქმნა. სპარსეთი კრძალვითა და შიშით შეჰყურებდა ამ სამეფოს, რომელმაც პირველი ადგილი დაიჭირა მთელ წინა აზიაში. „მოხარკე სულტანო“ მუდამ მეფის სიამოვნების ფიქრში იყო _ „წარმოავლენდის მოციქულთა ძღვნითა“... „წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალ-ფერნი, ფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი და ეძიებნ მშვიდობასა და სიყვარულსაო“... გარეშე პატივსა და დიდებას შინაური მდგომარეობაც შეესაბამებოდა, – საქართველო აჰყვავდა, გონებრივად და ზნეობრივად აღმაღლდა, „გადაემატა ყოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმდიდრითა“... სამშობლო მეტსაც მოელოდა მეფისაგან , რომელსაც , „ეგულვებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა

[24]) ibid. 643, 645.

[25]) ქ.-ცბა, 256 – 7.

საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“. სამწუხაროდ გვირგვინოსანს აღარ დასცალდა, – შუა ზამთარს, იანვრის ოც და ოთხს, შაბათ დღეს გარდაიცვალა და თან წაიღო გულში დამარხული ღრმა და პატიოსანი ფიქრნი და განძრახვანი. მაგრამ საცნობლად საქმენი დარჩნენ და საქართველოც, თავის საბედნიეროდ, დიდ ხანს მისდევდა იმ საქმეთა კვალს. ჩვენმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად აღიარა და იმის თაყვან-საცემლად დღესასწაული დაადგინა. საქართველოს ძველი მადლიანი ეკლესია ყოველ ღირსეულს მოღვაწეს და შესანიშნავს მამული-შვილს წმინდანად სთვლიდა. და მართლაც, დავით აღმაშენებელზე უკეთესი შვილი სხვა ვინ ჰყოლია ჩვენს ეკლესიას და სამშობლოსა?...